# საქართველოს ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

645/2
2007



2007
№7-8



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიქრები სიკეთესა და ბოროტებაზე



მხატვარი ლევან მარგიანი

24974

### დღე და ღამე

თუკი დღისით მოვქსოვთ და ღამით დავარღვევთ, ვერასოდეს მოვქსოვთ.

თუკი დღისით ავაშენებთ, ხოლო ღამით დავანგრევთ, ვერასოდეს ავაშენებთ.

თუკი ღვთის წინაშე ვილოცებთ, მის წინაშე კი ბოროტებას ჩავიდენთ, ვერასოდეს ვერც მოვქსოვთ, ვერც ავაშენებთ საკუთარი სულის სახლს.

### ნუ ენდობი ბედნიერებას

თუ მდიდარი ხარ, იფიქრე იმაზე, შემლებ თუ არა სიღარიბის ღირსეულად გადატანას.

თუ ბედნიერი ხარ, წარმოიდგინე, რომ შეხვდე ღირსეულად უბედურებას.

როდესაც ადამიანები გაქებენ, იფიქრე, შემლებ თუ არა, ღირსეულად გადაიტანო მაგება.

და მთელი ცხოვრების მანძილზე იფიქრე, როგორ შეხვდე ღირსეულად სიკვდილს.

### წყევა და ქება

შეეცადე, გაუკეთო ადამიანებს ის, რისთვისაც ჯერ გაგლანძღავენ, შემდეგ კი შეგაქებენ; და ნურასოდეს გააკეთებ რაიმეს იმისათვის, რათა შეგაქონ, ბოლოს კი გაგლანძღონ.

ნერონი ჯერ აქებდა თავის დედას, რომელსაც იგი ბიწიერებისაკენ მიჰყავდა, მაგრამ როდესაც ამან უფსკრულამდე მიიყვანა, დასწყევლა იგი.

ბავშვი გაიხარებს და შეგაქებს, თუ ციგაზე მჯდომს მთაზე ხელს ჰკრავ, მაგრამ როდესაც დაიმტვრევა, შენ, როგორც თავისი უბედურების მიზეზს, წყევლას დაგიწყებს.

ცოდვილნი ქებით აგავსებენ, როცა მათ ცოდვებს გაამართლებ, მაგრამ, უმჯობესია, არ მიეკარო მათ სასიკვდილო სარეცელს...

### სიცრუე უფალს განგვაშორებს

მხოლოდ და მხოლოდ სიცრუე განგვაშორებს უფალს; იმის თქმა, რომ ღმერთს ჭეშმარიტება გვაშორებს, იგივეა, თითქოს თვითონ ღმერთი განგვაშორებს საკუთარ თავს.

ცრუ ფიქრები, ცრუ სიტყვები, ცრუ სურვილები — აი, სიცრუის ერთობლიობა, რომელსაც არარსებობის, ილუზიისა და ღვთისაგან განდგომისაკენ მივყავართ. ამ გზიდან მძიმე ცხოვრებისეული შერყევის გარეშე უკანდასაბრუნებელი არ არსებობს, სანამ ადამიანი, სავლესავით დაბრმავებული, მიწაზე არ დაეცემა და სანამ ღმერთი მას მტვრიდან და უმწეობიდან არ წამოაყენებს და მხედველობას არ დაუბრუნებს.

### ჭეშმარიტი სიცოცხლე

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, მაინც სიმართლეა: ჩვენ ამქვეყნად იმისათვის მოვდივართ, რათა მისგან თავი ვიხსნათ. ისევე, როგორც ადამიანები ომში იმიტომ კი არ მიდიან, რომ ამით თავი შეიქციონ, არამედ თავი იხსნან მისგან!

დიდი სიკეთისათვის მიდიან ადამიანები საომრად; მიწიერ სიცოცხლეზე მეტი მადლისათვის, მარადიული და უკეთესი ცხოვრებისათვის ვიბადებით ამქვეყნად.

ჭეშმარიტი ქრისტიანები თავიანთ ცხოვრებას ყოველთვის სამხედრო სამსახურად თვლიდნენ. როგორც ჯარისკაცები ითვლიან თავიანთი სამსახურის თითოეულ დღეს და სიხარულით ფიქრობენ შინ დაბრუნებაზე, ასევე ქრისტიანებს გამუდმებით ახსოვთ თავიანთი სიცოცხლის დასასრული და ზეციურ სამშობლოში დაბრუნება.

### მდუმარება

მდუმარებისაკენ მიისწრაფოდა ყველა დიდი სული, რამეთუ ღრმად შეიგრძნობდნენ ხალხური სიბრძნის ჭეშმარიტებას: „დუმილი ოქროა“. ყოველ დაფიქრებულ ადამიანს გამოუცდია და იცის, რომ ის არის არა ის, რასაც იგი საკუთარ თავზე ამბობს, არამედ ის, რაც უთქმელი რჩება. არა ის, რაზეც შეგნებულად დუმილს ამჯობინებენ, არამედ ის, რისი გამოთქმაც შეუძლებელია.

ჩვენი საუბარი ადამიანებთან წვრილი ფულია, რომლითაც თავს გამოვისყიდით, მაშინ, როდესაც მსხვილი ჩვენთან რჩება. ანდა ასე: ადამიანებს შორის ყოფნისას ჩვენ ნიღაბს ვიცვლით, მაშინ, როდესაც ჭეშმარიტი სულიერი პორტრეტი დაფარული რჩება.

მდუმარეა ყველა დიდი სტიქია, ყველაზე მეტად მდუმარე კი ღმერთია, მხოლოდ პატარა ქმნილებები არიან მრავალმეტყველნი. და განა გასაკვირია, რომ დიადი სულები სდუმან?

### ღვთის სიყვარული

ღვთის სიყვარული ადამიანის მიმართ აღემატება ადამიანის სიყვარულს უფლის მიმართ.

ვინ იცის, ეყვარებოდა ბავშვს დედა, რომ არ ეგრძნო მისი სიყვარული თავის მიმართ?

ასევე ადამიანსაც არ შეუძლია, აღანთოს თავის თავში ღვთისადმი სიყვარული მანამდე, სანამ არ იგრძნობს ღვთის დაუსრულებელ სიყვარულს საკუთარი თავის მიმართ.

*წმინდა ნიკოლოზ სერბი*

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ილია — შუქი საქართველოსი



„იმას ვერა ჰგავს ვერავინ გრძნობის მცოცხლები მწერალი: ლომია, ოდეს განრისხდეს, მუდამ ძმობისა მღერალი. იტყვის მართალს და გზიანსა, უპყრია მართლის მწვერვალი, არის ზნე-ქველი, მხნე-მსრბოლი, მედგარი, მოუფერალი“.

*ნიკო დადიანი*

*მწერლის სილუეტი.* 1907 წელი. თეატრში ტევა არ არის. საქართველოს დედაქალაქში ქართველი სწავლული მოხსენებას კითხულობს... ლაპარაკობს ნელა, პაუზებით: ეტყობა სწონის და ზომავს ნათქვამს. თითქო სიტყვა არ ემორჩილება, – გრიგოლ რობაქიძე თვალნათლივ წარმოაჩენს ახალგაზრდა მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის იშვიათი შთამბეჭდაობით აღსავსე სახეს და, ამასთანავე, ამ ბრწყინვალე ესსეში („ივანე ჯავახიშვილი“), მთავარი ყურადღება მკითხველისა გადააქვს უმნიშვნელოვანეს ფაქტზე, რომ მსმენელთა შორის იმყოფება დიდი ქართველი: ჭავჭავაძე ილია, რომლის თანდასწრება მთელ კრებას საზეიმო იერსა ჰფენს... მსმენელნი აღფრთოვანებით აცილებენ ახლად მოვლენილ სწავლულს, ხოლო თვალი მაინც ილიას მიმართ უჭირავთ: უნდათ გაიგონ, თუ რას იტყვის დაულალავი მოურავი საქართველოს კულტურისა. ნელი, მოკლე, შინაგან აღივებული სიტყვით ამცნობს დიდი ქართველი ირგვლივ თავმოყრილთ თავის გახარებას. ილიას სიტყვა ედება მთელ კრებას – რიგიდან რიგებს – ვითარ მადლით განფენილი დასტური. ბოლოს ეს „განაჩენი“ მომხსენებელსაც სწვდება. მის მშვიდ სახეს ნათელი ეფინება – თითქო ჰსურს გამხნევებულს გასძახოს ხევსურულად: „ჯანი მამიმატის!“

*1905.* სათავადაზნაურო საკრებულოს დარბაზი – „დარბაზში ილია ჭავჭავაძე გამოჩნდა. თითქმის დაბალი, მაგრამ სრული. თითქმის სამოცდაათი წლის მოხუცი, შუა გარღვეულ ხალხში დინჯად მოდიოდა და თან მოჰქონდა თავისი სანაქებო დარბაისლობა, ჟამთა ცვალებადობაში უკვე მინელებული დიდება, ნახევარი საუკუნის მესვეურობა და უთვალავი სულიერი ჭრილობანი, რომელიც მას ამ ულევველ გზაზე ორივე მხრიდან – მარჯვენა და მარცხენა მხრიდანაც მიაყენეს“ – ამონარიდი მკითხველს უთუოდ შეახსენებს დიდი ქართველი ბელეტრისტის მიხეილ ჯავახიშვილის რომანს „ქალის ტვირთი“, სადაც ასე დასამახსოვრებლად გაიელვებს ილია ჭავჭავაძის ფიგურა მთელი თავისი დამახასიათებლობითა და დამპყრობელი იერით.

*ილია ორატორი:* ილია ჭავჭავაძის საჯარო ლაპარაკი რამდენჯერმე მოვისმინე. საოცარი ორატორი იყო. არ აღელდებოდა, კილოს არ აუწევდა. თავი რკინის ძეგლსავით ეჭირა. მოპირდაპირეს იშვიათად შეაწყვეტინებდა, და თუ რამდენიმე სიტყვას მიაწოდებდა, მისი რეპლიკა მუდამ მომაკვდინებელი იყო. ხმა ძლიერი ჰქონდა, ლოგიკის ძალა-უნაკლო, დაუნდობარი, რკინისებური, ლაპარაკის მანერა – ბოლომდის დინჯი, მაგრამ შეუბრალებელი, მკვეთრი, გამგმირავი, ზოგჯერ ზომიერად ირონიული, მაგრამ მუდამ ზრდილობიანი, დარბაისლური... შებმას იშვიათად უბედავდნენ. არა თუ ილიას ტოლი, მისი ტიპის ორატორიც აღარ მომისმენია (მ. ჯავახიშვილი)“.

*სოფელი ბანძა.* ილია სამეგრელოში. დადიანების ოჯახში. „ილია ჭავჭავაძე ჩემს ხსოვნაში“, – ასე დაასათაურებს უკვე ხანდაზმული მწერალი და თეატრალი შალვა დადიანი ილია ჭავჭავაძეზე მოგონების ფურცლებს, და ჩვენც სამუდამოდ დაგვამახსოვრებს მისთვის ასე სანუკვარ, დაუვიწყარ ეპიზოდებს:

„ილია ჭავჭავაძე, ეს ბუმბერაზი კაცი იმ დროისა, მთელ საქართველოს მიერ პატივცემული და დაფასებული პირველად ვნახე სამეგრელოში, სოფელ ბანძაში. მამიდა ნინოს სახლში. მე კი ბავშვობიდანვე ვიცნობდი მის სახელს, მარტო ნაწერებით კი არა.

ჩვენს ოჯახში, დიდ აკაკისთან ერთად დიდებულ ილიას კულტი იყო გამეფებული. მამაჩემი პირადი მეგობარი იყო ილიასი და ხშირად გვიამბობდა მის ნათქვამს და ნამოქმედარს.

მახსოვს, როგორი აღფრთოვანებით ვკითხულობდი 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ ფელეტონებად ჩამომწკრივებულ „ოთარაანთ ქვრივს“, და მამა როგორ ქება-დიდებას ასხამდა ამ საუცხოო ნაწარმოებს... ილიას მოწინავე, ილიას პოლემიკური წერილები, განსაკუთრებით „აი ისტორია“ და „ქვათა ღაღადი“ იყო ჩვენს ოჯახში აღტაცების და ქება-დიდების საგანი.

აქედან ჩამენერგა სიყვარული და მოწიწება ამ რჩეულ კაცისადმი.

და აი, – „გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ფართო ეზოში ცხენი შემოაჭენა ერთმა წერწეტა მეგრელმა და მამას გადასცა „ჭანჭანიძე“ მოდის შენთანო. მამას სცოდნოდა, რომ ილია უნდა ჩამოსულიყო, დიდად გაიხარა და ჩვენც გვახარა ეს ამბავი.

მართლაც ცოტა ხნის შემდეგ ეზოში შემოვიდა ასე 20-25 ცხენოსანი, რომელთა შორის სხვებზე ცოტა წინ, იონა მეუნარგიას თანხლებით, გამოჩნდა კარგ ბედაურზე მჯდომი პირბუდალი და და თვალებმცინარე ადამიანი.

მამა რომ მიეგება, ვიცანით, ეს ილია იყო. გავიგე აქ ყოფილხარ, ნიკო, და გულმა არ მომითმინა არ მენახეო.

როგორც ცნობილია, ეს ილია ჭავჭავაძის ისტორიული სტუმრობა იყო სამეგრელოში, მინგრელსკის ბიბლიოთეკის ჩაბარებასთან დაკავშირებით. – თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა მინგრელსკიმ შესწირა ქ.შ.წ.გ.ს, რომლის თავმჯდომარეც იყო ილია ჭავჭავაძე და რომლის კომისიასაც მეთაურობდა იგი იმჟამად.

*ილია ნიკოლოზის ქუჩაზე №21, „ივერიის“ რედაქციაში.*

რაღაც დღესასწაული იყო. მამა უქეიფოდ იყო და მე გამგზავნა თავის მაგიერ მისალოცად.

შევედი დიდ დარბაზში. რასაკვირველია, ევროპულად, მაგრამ სადად იყო მორთული. არაფერი გადამჭიჭული, არაფერი ბრჭყვიალა, გარდა იმ მძივებისა, თაღთან რომ იყო სალუქ ფარდასავით ჩამოკიდებული და დარბაზს ორად ჰყოფდა.

...არ გასულა დიდი ხანი, რომ მძივებმა გაიწკრიალეს და ილიას ჩასკვნილი ფიგურა გამოჩნდა.





ეროვნული



● ილია და ვასილ მაჩაბელი

გამომკითხა მამის ამბავი... და შემდეგ ისევ ამხედ-დამხედა. ილია მეკითხება:

– სად სწავლობ ყმაწვილო?

მოგეხსენებათ, რომ მე არსად სკოლაში არასოდეს არ ვყოფილვარ და ესეც მოვახსენე, თან გულს მომეშვა, მივხვდი, იმიტომ ამხედ-დამხედა, რომ ეგონა რაიმე მაშინდლური სასწავლებლის ფორმაში ვიქნებოდი გამოწყობილი. მე კი 14-15 წლის ვაჟს ცივილური ტანისამოსი მეცვა.

როცა გაიგო ჩემი ვითარება, შემდეგი წარმოსთქვა:

– მამათქვენი ჩვეულებრივი ბილიკით მავალი კაცი არ არის“...

*ბანკობიადა. ქართული თეატრის დარბაზი* (შემდეგში გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრი). არწრუნისეული შენობა.

„პარტერში ისხდნენ ბანკის წევრები და სხდომაზე ხმის მქონენი, ლოჟებსა, აივანსა და ქანდარაზე კი დანარჩენი საზოგადოება. გულის ფანცქალით ვუგდებდი ყურს ორატორებს...

მაჩაბელი ფიცხი ორატორი იყო. ტემპერამენტიანი, სწრაფი მოლაპარაკე. გამიგონია, ფრანგი საზოგადო მოღვაწე გამბეტა ერთ წუთში რამდენიმე ასეულ სიტყვას წარმოსთქვამდა, მაგრამ ისე მკაფიოდ, რომ ყველასთვის გასაგები იყოო. მე მგონია ასეთი იყო მაჩაბელიც.

ილია კი პირიქით: აუჩქარებელი, დინჯი, ტემპერამენტი თითქოს სულ არ ეტყობოდა, თუმცა შინაგან აუცილებლად ბობოქარი, თითქო მტკვარსავით მდორედ, მაგრამ მძლავრად, წამლეკავად მიმდინარე.

დაუვიწყარია ჩემთვის მაჩაბლის მაშინდელი პირველი გამოსვლა ილიას წინააღმდეგ... მე ამ „კონვერსიის, საბანკო ოპერაციებისა და ბალანსის ვერა გავიგე რა, მაგრამ ჩემი ჭაბუკური გული კი დაატყვევა მაჩაბელმა. ეს დამმართა უფრო მისმა წინასიტყვაობამ, რადგან ვიწამე მისი გულწრფელობა.

მაგრამ აგერ გამობრძანდა ილია.

ხაოცარია!

ხუმრობს. თითქოს არაფერი საბუთი. ხალხი ხარხარებს. მაგრამ თანდათან გრძნობთ, რა გამანადგურებელია ეს ხუმრობა.

ახლა ილიამ მომხიბლა საერთოდ მთელი თავისი ნათქვამებით ამ კრებაზე, თავისი შეუვალი ლოგიკით და გამანადგურებელი ჰუმორით.

და ასე მერყეობდა ჩემი სიმპათია ამ ორ კაცს შუა, და განა მარტო ჩემი, გამოუცდელის, ახლადშეღერებული ჭაბუკისა, არამედ ბევრად ჩემზე გამოცდილებისა, თან დიდად სწყინდათ, რომ ილიასა და მაჩაბელს შორის ესეთი დავა ატყდა და თანდათან მწვავე ხასიათს იღებდა.

დანაღვლიანებულებში ერია მამაჩემიც და მისი ნაღვლიანობა მის შვილებს, მე და ჩემ დასაც გვასევდიანებდა“.

*ქუთაისი. გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვა:*

„უკვე მოთავდა სიტყვები სასულიერო პირებისა... ხალხში გაისმა: „ილია, ილია სად არის?“ მამამაც მანიშნა, წადი, მოძებნეო; ხალხი გაირღვა და ილია მოვძებნე – ეზოში, ვთხოვე წამობრძანებულიყო...

აი შევედით ტაძარში.

ჯერ არ იწყებს სიტყვას, მესმის მისი გულის ბაგაბუგი. მკერდი ადის და ჩადის. ეს რა არის? შეკრთა? რა სათქმელია!

ეს ის არის, რომ შინაგან მოზღვავებული სათქმელი ბობოქრობს და ეძებს თავის მხატვრულ გამოსავალსა.

დაიწყო, გარეგან თითქოს დამშვიდდა. მაგრამ მკერდი მაინც ადის და ჩადის. ისე ახლოს ვდგავარ, რომ თვალნათლივ ვხედავ, მესმის მისი გულისძგერა, ამ მკერდიდან აღმომხდარი ხმები“.

საუკუნეზე მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ დღესაც ცხადზე უცხადესად იგრძნობს მკითხველი, რომ ილიასთან ერთად იმ წუთებში მომავალი მწერლის გულიც უთუოდ სხვაგვარად ძგერდა და სავსებით ეჭვს მოკლებულია შალვა დადიანის ეს სიტყვები:

„და დაუვიწყარია ჩემთვის ეს წუთი. მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ბუმბერაზის გულისძგერა მომისმენია ესე ახლოს და თითქოს შევჭრილვარ ლაბორატორიაში, სადაც ითხზვებოდა ჩემი თანდასწრებით ილიას ნაჭედი სიტყვები“.

დაუვიწყარ მოგონებას შესატყვისი ლოგიკური დასასრული აქვს: „მან (ილიამ – ც.ხ.) დაახლოებით ასე დაიწყო: „დიდბუნებოვანი კაცი იმითაც არის შესამჩნევი, რომ რომელი მხრიდანაც არ უნდა მოუარო, ლამაზი სანახავია“.

მეც ამით გავათავებ, მხოლოდ ამჟამად მისი სიტყვები დეე თვით მას მიუდგეს“.

ამ ბედნიერ მოგონებებთან ერთად შალვა დადიანი ერთ მცირე დეტალსაც გაიხსენებს, კერძოდ იმას, რომ ძვირფას ხვედრად ილია ჭავჭავაძის მოფერებაც რგებია: ...„ილიას მოფერება მხოლოდ ერთხელ მახსოვს. საყელოში თითი ჩამიყო და თითქო მომილიტინა. მე ეს დიდად არ მსიამოვნებია, მაგრამ ის მხიარულად იღიმებოდა და მეც თავი შევიკავე“.

*1893 წლის ზაფხული. ილია კახეთში.* დიდი მწერლის პატივისცემის აღსანიშნავად გამართული სადილი თელავში, ისტორიული ჭადრის ქვეშ. – ეს სახელგანთქმული ჭადარი ერთი იქაური თავადიშვილის ბაღში იდგა. თუ არ ვცდები, ბაღი იჯარით იყო გაცემული და მოიჯარადე სულ მცირე ფასად უთმობდა, ვისაც სურდა, ამ შვების ადგილს, – წერს მხატვრული სიტყვის ოსტატი, შესანიშნავი პორტრეტებისა და მუსიკალური ნარკვევების ავტორი ილია ზურაბიშვილი, – ქართულ მწერლობაში „ქართველ სტასოვად“ წოდებული; აღსანიშნავია თუნდაც ის ფაქტი, რომ, როგორც ცნობილია, ილია ზურაბიშვილის 39 მხატვრული ნაწარმოებიდან, 32 „ივერიამ“ გამოაქვეყნა.

აი ამ ადგილას, სალხინობელსა, პირველად ვიხილე ილია ჭავჭავაძე. ადვილი წარმოსადგენია, რა მღელვარებას განვიცდიდი ამ ნახვის მოლოდინში დანარჩენ ახალგაზრდებთან ერთად, რომელნიც ამ ნადიმს დაესწრნენ.

ილიასთან ქეიფი?! ვის ეკადრება? ვინ გაბედავდა ამაზე ფიქრსაც კი? ილია ისეთ მაღალ კვარცხლბეკზე იდგა ყველას წარმოდგენაში, რომ ჩვენ შეგვეძლო მარტოოდენ გულის კრთომით ცქერა, მოსმენა და აღტაცება.

და აი, ვიხილე ილია, არა მის მოთხრობებში, არა მის პოემებში და ლექსებში, არა მის სიტყვებში... არამედ ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანი.

ილია ზურაბიშვილი ბუნებრივია, „ხატავს“ მწერლის გარეგ-

ეროვნული



● ილია დუშეთში

ნულ სახებას, მაგრამ მხატვარი აქ არ ეთანხმება ი. მანსვეტაშვილის „მოგონებანს“, სასიქადულო პოეტის აღნაგობის მანსვეტაშვილისეულ აღწერას: „ილია არ იყო ისე უშნო აგებულებისა, როგორც იგი (მანსვეტაშვილი – ც.ხ.) წარმოგვიდგენს, არც ისე მომცრო ტანისა. რასაკვირველია, ილიას საქანდაკო ფიგურა არა ჰქონდა, წერს აქვე ავტორი მოგონებისა „ილია ჭავჭავაძე“, – იგი იყო შუათანაზე ცოტათი დაბალი, ჯმუხი, არა ბურთივით მრგვალი, როგორც გრიგოლ ორბელიანი ოხუნჯობს თავის მკილავ ლექსში. გულმკერდ აღმოზიდულს, ის ნაწილი სხეულისა, რაც ნეტარხსენებულ ლუარსაბს თავის სიამაყედ მიაჩნდა... „ლიპი“, ილიას სულ არ ეტყობოდა. მისი აგებულების ნაკლი დაბალი კისერი იყო. სამაგიეროდ, სახე იშვიათი სილამაზისა ჰქონდა. ამ სახეს აცისკროვნებდა მაღალი, სპეტაკი შუბლი, საამურად მეტყველი თვალები, სწორი, სურათოვანი ცხვირი მგზნებარე ნესტოებით, ენერგიისა და გრძნობის (არა ვნების) გამომსახველი ტუჩები. ამას გარდა, ჰქონდა ერთი მადლი, რაც ამ ჯმუხ და მაგრად შეკრულ ადამიანში საიშვიათო იყო. ეს იყო კანის საკვირველი ფერი, სპილოს ძვლის სითეთრე, რომელსაც ოდნავი სიყვითლე შეჰპარვოდა, რაც ასე აკეთილშობილებდა ამ სითეთრეს.

ილია რომ ვნახე პირველად, 55-56 წლის იქნებოდა. ოდნავ შეჭაღარავებული იყო და შუახნისაზე მეტი არ გეჩვენებოდათ... ჯერ კიდევ შავი, შუაზე გაყოფილი თმა ილიას დინჯად, უჟინიანოდ ელაგა ორივე მხრით, თანასწორ დახვეწილი. მხოლოდ ერთადერთი ფოტოგრაფიული სურათი იძლევა ილიას სახის იერს, ისიც მხოლოდ ანარეკლად. გიგო გაბაშვილის ფერწერიანი სურათი გვიხატავს ილიას, უკვე ხნოვანებით დამძიმებულს, მაგრამ ენერგიით სავსეს.

ბევრი ჭიქა დაილია. მაგრამ ყანწი და სხვა ამგვარი სასმისი არ დატრიალებულა.

სიტყვა სიტყვას მისდევდა, სიმღერა – სიმღერას... თითქო განგებ შეყრილიყვნენ იმდროინდელი საუკეთესო მომღერალნი – ძმანი კოზმანიშვილები, კიკო ჩოლოყაშვილი, ლევან ჯანდიერი, რეზიკო ყარალაშვილი და სხვანი...

ილიაზე ამბობენ, სმენა არ ჰქონდა, სიმღერა არ ხიბლავდაო.

ამ თემასთან მიმართებაში ახლა მრავალი გასაბათილებელი ფაქტი არსებობს – ილიას კალმის ნაღვაწი და ამის შესახებ აქვე აღნიშნავს ილია ზურაბიშვილიც, ილია ჭავჭავაძის გამოხმაურებას პირველ ქართულ (ლადო აღნიაშვილის) გუნდზე. ერთ მომენტსაც გაიხსენებს საგურამოში ილიაობის დღესთან დაკავშირებით, კერძოდ, ილიას შენიშვნას ახალგაზრდების მიმართ:

– არა, ეგ კახური სიმღერა არ არის, დამახინჯებულია, ძველები სხვანაირად მღეროდნენო.

სიმღერის დროს, როდესაც თვალს ილიას სახის მეტყველებას ვადევნებდი, ნათლად ვხედავდი, რომ იგი უზომოდ დამტკბარი იყო სიმღერით. მისი მწყაზარი, სიცოცხლით სავსე თვალები – ეს „ჭკუაგონების სარკმელნი“, აკაკის თქმით, აღტაცებით მისჩერებოდნენ მოხუცებული კოზმანიშვილის სახეს და ხანდახან ცრემლით ციალებდნენ. ილია მშვენიერ მელოდიებს მთელი არსებით, საამო ჟრუანტელაღძრული როგორც მზის სხივს, ისე უყურებდა.

რა ვიცი, ვისაც შეუძლიან სიმღერით ასე ტკბობა, იმას სმენა აღკვეთილი არ უნდა ჰქონდეს. ამას გარდა, მიაპყარით ყური მის საკვირველ რიტმს პროზაში, რიტმს, რომლის მსგავსს მთელ ჩვენს ლიტერატურაში ვერსად შეხვდებით. რიტმი ხომ იგივე მუსიკაა და ეს კი უსმენოდ წარმოუდგენელია...“

ციური ხეთერელი

---

ილია ჭავჭავაძე

## გუთნის-დედა

„გადი-გამოდი, გუთანო,
ღირღიტავ, ბანი უთხარო“.

ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი,
ბელტი ბელტზედა გადმოვაწვინოთ
და შრომის ოფლი მიწას ვაწვიმოთ.
ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი:
მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით;
შენებრ მეც მელის მიწა ვით მსხვერპლსა,
სიკვდილის შემდეგ დასავიწყელსა.
შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!..
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?
აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომე აჩეჩოს მარტო მიწანი
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?
მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან.
შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!..
აქ, მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი.
მაშ რა გაღონებს?.. გასწი ჭაპანსა
და გაიტანე გუთანი ბოლოს,
ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!..

*4 ივნისი, 1858 წელი*
*პეტერბურგი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯვარიონი

ხევსურთ სალოცა'ში ჯინჭარ მომრავლებულ,
საზღვრებ წელთდენაში შესცვლი,
აღარვის სანთლის ნთებას, აღარვის ხელმიცემას
ჯანგ ხატის ხინჭიკვა'ებს ტკივილად შესცრი.
მეტა დიდ ლოდნას, მაგრ მაინც არვის მოსვლას
ხატ ჭკვითა გადამდგარა–დ'შეშლილ.

*ეთერ თათარაიძე*

უფროსი თაობის თუშებს, რომელთაც ზაფხულობით მთაში უხდებათ ყოფნა, დღემდე ტკბილმოსაგონრად აქვთ დარჩენილი ხევსურეთიდან გადასული ჯვარიონის მათთან სტუმრობა...

„ათნიგენობის“ წინა დღეებში ზარაკებიანი ბურაყის ჟრიალით ჩამოივლიდა სამი-ოთხი ცხენოსანი თუშეთის თითქმის ყველა თემსა და ხეობას.

სამოკეთეოდ შორ გზაზე დამდგარი თავმომწონე ხევსურები იარაღს საჯინჭვლის მთაზე ტოვებდნენ (ეს იმ დროს, როცა სახნავ-სათიბშიც კი მუდამ თან ატარებდნენ ხმალ-ხანჯალს!) და „უაბჯრონი“ შედიოდნენ თუშეთის მიწაზე.

პირიქითის ხეობის სათავეში მდებარე სოფლებიდან იწყებოდა ერთკვირიანი „ოდისეა“.

ხატის მსახურთ, როგორც წესი, სოფელში შესვლისა და სახლში ღამის თევის ნება არ ქონდათ. ნაბდების ამარა მყოფებს ხშირად თავსხმა წვიმაში უწევდათ ღამის გატარება ღია ცის ქვეშ.

ეს რიტუალი, დროთა მანძილზე, ორი მეზობელი კუთხის ჭეშმარიტი ძმობისა და განუყოფელი ერთობის ნათელ გამოხატულებად იქცა. ერთმანეთს ხვდებოდნენ ბახტრიონის ბრძოლის მონაწილეთა შთამომავალნი და ამ შეხვედრით, თავაზიანი სიტყვა-პასუხით, წარსულის თქმითა და გახსენებით სათანადო პატივს მიაგებდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მაშვრალ ძველპართა ხსოვნას...

თუშ-ფშავ-ხევსურთა გენეტიკურ ერთიანობას შორეულ წარსულში უდგას ფესვები. „ქართლის ცხოვრება“ გვეუბნება, რომ მირიან მეფემ წარმართი მთიელების გასაქრისტიანებლად, ახალ სჯულზე მოსაქცევად, მთაში გაგზავნა წმინდა ნინო, ეპისკოპოსისა და ერისთავის თანხლებით. ერწო-თიანეთის ერმა ნათელიღო, ხოლო „ფხოელთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს“...

ხევსურები, სხვადასხვა მიზეზთა გამო, შედარებით ახლო წარსულშიც გადადიოდნენ და მკვიდრდებოდნენ თუშეთში. ომაიძეების, ხაჩიძეებისა და ჯიჯურიძეების შესახებ თუშური ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს: „ხევსურეთიდან წამოსულან ძმები – ომა, ხაჩი და ჯიჯური. ჩამოუვლიათ პირიქითის ხეობა. ჩამოსულან ჭეშოში. ომაიძეს სახლის კედელზე თოფი მიუყუდებია. თოფსა და კედელს შორის მერცხალს ბუდე გაუკეთებია. რახან ჩემ თოფზე მერცხალმა ბუდე გაიკეთა, ჩემი ბუდეც აქ უნდა იყოსო, – უთქვამს ომას და დარჩენილა ჭეშოში. ხაჩი და ჯიჯური შენაქოში წასულან და იქ დასახლებულან. ეს სამი გვარი ახლაც ერთმანეთის ახლობლებად მიიჩნევენ თავს...“

ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერება ყოველივე ეს ისტორიულ სინამდვილეს, ერთი კი ცხადია და უეჭველი: ის ფაქტი, რომ „ხევსურები და თუშები ერთმანეთს ბიძაშვილებად თვლიან“ (ს. მაკალათია), შემთხვევითი არაა და თაობათა მეხსიერებაში შემონახულ, სინამდვილეში მომხდარ მიგრაციის მოვლენებს უკავშირდება...

დროშა ერის ცნობიერებაში იმთავითვე მეომართა შეუვალი სიმტკიცისა და განუწილველი მონოლითურობის



განმაპირობებელ მატერიალურ სიმბოლოს წარმოადგენდა. ის იყო საერთო, საზიარო სულისკვეთებით გამსჭვალული მხედრიონის შემაკავშირებელი და შთამაგონებელი ძალა. მის ქვეშ ნათქვამი ფიცის გატეხა მამულის ღალატს უტოლდებოდა.

სახელოვანი ხევისბერების ხელში ნაჭერ დროშას მიიმძღვარებდნენ ლიქოკელები, ქეთელაურები, სისაურები თუ ალუდაურები მთის გადაღმელ მოყვრებთან და დამხვდურთა ადამიანობის მადლით გულნაჯერებნი ბრუნდებოდნენ უკან.

თუშები საკადრისად ასრულებდნენ ჯვარიონის მიღების ყველა სავალდებულო წესსა და ადათს. ბევრი თუში სწორედ ამ ტრადიციულ რიტუალზე დასასწრებად მიემგზავრებოდა ბარიდან მთაში.

ქცევის მკაცრ ნორმებსა და შეურყვნელ ზნეობრივ პრინციპებს დაქვემდებარებული ლხინი, ქეიფი და დროსტარება მომავლისადმი რწმენითა და თავისთავადობის გონივრული გაგებით აღავსებდა დინჯსა და დარბაისელ სტუმარ-მასპინძელს...

დანოში, სოფლის განაკიდეს მდებარე მომცრო მაღლობზე, ახლაც ფეხზე დგას ჯიხვ-ირმის რქებით შემკული, შუკუმებდატანებული, მკვრივად ნაშენი კარატეს ნიში, რომელსაც, უკვე ხუთი ათეული წელი იქნება, აღარ უხილავს ხევსურეთიდან თუშეთს ჴინაპართა რიგიანი ტრადიციის გამგრძელებლად მისული კაცი. ასევეა თუშეთის ბევრ სხვა სოფელში... არადა, სარგებლობის გარდა არაფერს მოუტანდა არც თუშეთს და არც ხევსურეთს თავის დროზე წარსულის უსარგებლო გადმონაშთად მიჩნეული გზის (აწ უკვე ნაგზაურის!) კვლავ გაკვალვა და განახლება...

სამშობლოს ნამდვილი სიყვარული მამეული მიწა-წყლის ჯეროვანი შეცნობით და დაფასებით იწყება და ეს მადლი რომ არ დაიშრიტოს, საჭიროა ისეთი ბილიკის ძიება, რომელიც მთებში წაიყვანს და იქ დაუნჯებულ სილამაზეს მოახილვინებს წინაპართა კვალს აცდენილ კაცს...

*ამირან არაბული*

ეროვნული ბიბლიოთეკა



„სხვა რომ არ იყოს,ჩვენ ამ ლამაზი ქალების ეშხი დაგვიფარავდა“ – ბაგრატიონების ოჯახიდან წამოსულს ჩემდაუნებურად ამეკვიატა პოეტის ეს სიტყვები და არც-თუ უსაფუძვლოდ: ის საოცარი სითბო და სიყვარული, რაც ლეილა ყიფიანისა და ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის ჭერქვეშ სუფევს, ნამდვილად გამოადგება მაგალითად ნებისმიერ ქართულ ოჯახს.

სამწუხაროდ, ბატონ ნუგზართან გასაუბრება ვერ მოვახერხეთ – იგი ყოველთვის გაურბის ჟურნალისტებთან შეხვედრას,ქალბატონი ლეილა კი სიამოვნებით დათანხმდა „საქართველოს ქალს“ ინტერვიუზე, თუმცა არც მას უყვარს ჟურნალისტებთან ხშირი ურთიერთობა (ცხადია, ინტერვიუს ვგულისხმობთ) – ეშინია, საზოგადოებას თავი არ მოაბეზროს. არადა, მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს ყოვლად წარმოუდგენელია – საზოგადოებას მასთან შეხვედრაც და მის მიერ განსახიერებული როლების ხილვაც ყოველთვის დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

# ლეილა ყიფიანი:

# ქალს შეუძლია შეუძლებელი შეძლოს...

ხატია, ნათელა, ცირა – ეს ის როლებია, რომლებითაც ლეილა ყიფიანმა მაყურებლის გული მოინადირა. ხატია მისი პირველი როლი იყო (ფილმში „მე ვხედავ მზეს“) – წარმატებული დებიუტი ქართულ კინემატოგრაფიაში. ერთ ფილმს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე... თოთხმეტამდე ფილმი დაამშვენა მისმა ცისფერმა თვალებმა, მისმა საოცარმა სიფაქიზემ და სინაზემ. თუ მსახიობთა უმრავლესობას საკმაოდ დიდი დრო და ენერგია სჭირდებათ იმისათვის, რომ მაყურებელს თავი დაამახსოვრონ, ლეილა ყიფიანს ეს არასოდეს გასჭირვებია – პირველი ფილმიდანვე შეიყვარა ქართველმა საზოგადოებამ (და არა მარტო), რისთვისაც, ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მისი ერთი გამოხედვა (ცხადია, ნიჭთან ერთად) გახდა საკმარისი...

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ლეილა პროფესიით მსახიობი არ გახლავთ, კინო თანდათან მისი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად იქცა, ნაწილად, რომელმაც ცხოვრების თანამგზავრს დააკავშირა და ერთგვარად განსაზღვრა კიდეც მისი შემდგომი ბედი. „ჭკუის კოლოფამ“ ფილმიდან „ღიმილის ბიჭები“ არავის დაუთმო მშვენიერი ქალიშვილი და აგერ უკვე ოცდაათ წელზე მეტია ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზუნსკი და ლეილა ყიფიანი ერთად ეწევიან ცხოვრების მძიმე ტვირთს (სხვათა შორის, ბატონი ნუგზარი ერეკლე II პირდაპირი შთამომავალია)...

ქალბატონი ლეილა დღესაც ისეთივე ლამაზი, სათნო და ბავშვივით მიამიტია, როგორც წლების წინათ, პირველი კინოსინჯების გადაღებისას... ძალიან უყვარს ზაფხული, ცისფერი და შავი ფერები, მინდვრის ყვავილების თაიგული ყველა ყვავილს ურჩევნია, მოსწონს სუნამო „ფლეჟა“, უპირატესობას რუსეთის წარმოების მალამოებს ანიჭებს... მიაჩნია, რომ ქალს შეუძლია შეუძლებელი შესძლოს და... თუმცა, ალბათ, უმჯობესია, სხვა დანარჩენი თავად ქალბატონ ლეილასგან შეიტყოთ. „საქართველოს ქალი“ უმშვენიერეს ქალბატონს სიამოვნებით მასპინძლობს.

***– საინტერესოა, კინოში როგორ აღმოჩნდით?***

– ბედნიერი შეთხვევის წყალობით. მელიქიშვილის ქუჩაზე გავიზარდე. ჩვენს ეზოში ცხოვრობდა კინოსტუდიის ოპერატორი თენგიზ ნანობაშვილი, რომელმაც იცოდა, რომ ეძებდნენ გოგონას ხატიას როლისთვის და დედაჩემს თხოვა, ლეილა სინჯებზე წაიყვანეო. სტუდიაში უამრავი გოგონა დამხვდა – ფოტოებს უღებდნენ, მეც გადამიღეს და გამომიშვეს სახლში. ორი კვირის შემდეგ კი დაგვირეკეს, იქნებ სინჯები ფირზე გავაკეთოთო... ძალიან ავღელდი, რადგან კინო ყოველთვის მიყვარდა და მთელი ბავშვობა რაღაც ოცნებასავითაც კი მქონდა, რომ ამ სამყაროს მივახლოებოდი. ფირზე სინჯების გადაღების შემდეგ კიდევ ერთხელ გადამიღეს ახლა უკვე გელა ჭიჭინაძესთან (სოსოიას როლის შემსრულებელი – თ.ო.) ერთად და მითხრეს, რომ ორ კვირაში ტარდებოდა საბჭოს სხდომა, რომელიც გადაწყვეტდა, ვინ ითამაშებდა ხატიას როლს. არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როდესაც დამირეკეს და მითხრეს, რომ როლზე დამტკიცებული ვიყავი... თავისთავად დაუვიწყარი იყო გადაღების დღეებიც, ჯერ მარტო იმ მხრივ, რომ ბუმბერაზი მსახიობების გვერდით მიწევდა მუშაობა. მე მათგან ვსწავლობდი, როგორ უნდა მემოძრავა კამერის წინ, როგორ უნდა მეკეთებინა ყველაფერი ის, რასაც რეჟისორი ჩემგან მოითხოვდა და ა.შ. რაც მთავარია, ყველა ძალიან მეხმარებოდა, რადგან აბსოლუტურად გამოუცდელი ვიყავი, არანაირი შეხება არ მქონია სცენასთან და კინოსთან.

***– როგორც ვიცი, სოსოიას როლის შემსრულებლისათვის – გელა ჭიჭინაძისთვისაც დებიუტი იყო ამ ფილმში მონაწილეობა, თუმცა, მე მგონი, სხვაგან აღარც უთამაშია...***

– ისიც შემთხვევით მოვიდა სინჯებზე და მართლაც დაუვიწყარი სახე შექმნა. იგი არქიტექტორია და სხვაგან მართლაც არსად უთამაშია...

***– მზე, ალბათ, გიყვართ...***

– კი, ძალიან – იმდენად მიყვარს, რომ მიჭირს კიდეც ჩემი დამოკიდებულების გამხატვა...

***– თუ არ ვცდები, მეორე ფილმი, რომელშიც გადაგიღეს, იყო თამაზ მელიავას „ლონდრე“...***

– არ სცდებით... შეიძლება ითქვას, რომ ფილმიდან ფილმზე გადავედი. ის ზაფხული ძალიან დაძაბული იყო ჩემთვის, რადგან გადაღებები მქონდა ახალქალაქში და თან უნივერსიტეტში ვაბარებდი გამოცდებს. საბედნიეროდ, ფილმიც დავასრულეთ და ჩავირიცხე კიდეც.

***– კინემატოგრაფიის გზას რატომ არ გაყევით, ქალბატონო ლეილა? მითუმეტეს, რომ ინტენსიური გადაღებებიც გქონდათ და სურვილიც, რომ, როგორც მითხარით, ამ სამყაროს მიახლოვებოდით...***

– ჩემი დამყოლი ხასიათის გამო – მშობლებს დავუჯერე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველანაირად მიწყობდნენ ხელს ფილმებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთამაშა, როცა დადგა საკითხი, რომ მოსკოვში წავსულიყავი და იქ მესწავლა, ამაზე არ დამთანხმდნენ. თუ საჭირო იქნება, ისედაც გადაგიღებენ, სხვა პროფესიას დაეუფლეო. სხვათა შორის, ამ მხრივ ჩემი მშობლები აბსოლუტურად მართლები გამოდგნენ, რადგან წლების მანძილზე მე საკმაოდ განებივრებული ვიყავი საინტერესო როლებით და მართლაც დიდ სიამოვნებას ვიღებდი გადაღებების დროს.

*— როგორც ვიცი, ბიოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრეთ...*

— კი, თან ვსწავლობდი და თან ფილმებში მიღებდნენ... მერე გავთხოვდი...

*— და მეუღლეც გადაღებების დროს გაიცანით...*

— კი, უფრო სწორედ „ღიმილის ბიჭების" სინჯების დროს... აქედან დაიწყო ჩემი პირადი ცხოვრება... მახსოვს, მე უკვე დამტკიცებული ვიყავი ნათელას როლზე და ბიჭებს სინჯავდნენ თავ-თავიანთ როლებზე. მიხო ბორაშვილთან მქონდა სინჯები და ის იყო გადაღებას მოვრჩით, რომ ამ დროს ნუგზარი მანქანით მოიყვანეს, სათვალეები ეკეთა, რატომღაც კოპებშეკრულმა გადმომხედა და სადღაც შორს, ცის მიმართულებით გაიხედა. ჩემთვის ვიფიქრე, ძალიან უჟმური ვინმეა-მეთქი... მერე ძალიან დავმეგობრდით ყველანი. „ღიმილის ბიჭების" გადაღება რომ დაიწყო, ყველანი სტუდენტები ვიყავით. მხოლოდ „ბოლოკა" იყო მეათე კლასში. ნუგზარიც უკვე თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლობდა. მერე, როგორც კი დაამთავრა, სწავლა სარეჟისოროზე განაგრძო. „ჭკუისკოლოფა" მისი პირველი და უკანასკნელი როლია კინოში.

*— ფაქტია, რომ ბატონმა ნუგზარმა გააქარწყლა თქვენი პირველი შთაბეჭდილება და ოცდაათ წელზე მეტია ერთად მიუყვებით ცხოვრების გზას...*

— ნუგზარი საკმაოდ მეოცნებე პიროვნება აღმოჩნდა... პოეზია უყვარდა და უყვარს კიდეც ძალიან. როცა ერთად ვიკრიბებოდით ხოლმე, მე და ჩემს მეგობრებს ლექსებს გვიკითხავდა... მოკლედ, ჩვენი მეგობრობა ისე თანდათან გადაიზარდა სიყვარულში, რომ ვერც კი მოვასწარით ამის აღქმა...

*— შეყვარებული დიდხანს იყავით?*

— საკმაოდ... სამი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს...

*— თუ გახსოვთ, პირველად რა პრობლემა დადგა დაქორწინების შემდეგ თქვენს წინაშე?*

— როგორც ჩანს, იმდენად უმნიშვნელო რაღაც იყო, აღარც კი მახსოვს... ძალიან თბილ, ტკბილს და ნამდვილ ქართულ ოჯახში აღმოვჩნდი. საოცრად სწრაფად და კარგად აეწყო ჩვენი ურთიერთობები...

*— ბატონი პეტრე გრუზინსკი როგორ შეხვდა პატარძალს?*

— როცა გაირკვა, რომ მე და ნუგზარი შეუღლებას ვაპირებდით, ხუმრობით მითხრა: დაფიქრდი, იცი, ვის მიყვები ცოლადო?! (იცინის)... 10 თებერვალს დავქორწინდით. ქორწინება ყველა წესის დაცვით მოხდა. მახსოვს, საშინელი ქარი ქროდა — სუფსარქისი იყო. ჯვარი სვეტიცხოველში დავიწერეთ. ნუგზარის მეგობრებმა იგალობეს. მაშინ სვეტიცხოველი ხარაჩოებში იყო... მერე სოხუმში წავედით, იქიდან ოდესაში გადავფრინდით...



*— როგორც ვიცი, ორი ქალიშვილი გყავთ...*

— კი, უფროსი გოგონა — ანა, ჟურნალისტია, მაია — ფსიქოლოგი... სხვათა შორის, მაიკომ ორ ფილმში ითამაშა. მეშვიდე კლასში იყო, მიშა კალატოზიშვილმა „რჩეულში" გადასაღებად რომ მიიწვია. შემდეგ „იავნანაში" გადაიღო ნანა ჯანელიძემ — მოზრდილი ქეთოს როლი შეასრულა. ვფიქრობ, საინტერესო ფაქტია, რომ ჩემი პირველი როლია ბრმა გოგონა, მაიკოსი კი — ყრუ-მუნჯი...

*— გამოდის, რომ მაიამ ერთგვარად დედის გზა გააგრძელა — არც თქვენ აირჩიეთ მსახიობის პროფესია და არც მან...*

— სხვათა შორის, არც დაგვიძალებია... საერთოდ, ვფიქრობ, რომ ბავშვმა თავად უნდა აირჩიოს მომავალი პროფესია, იმისათვის, რომ უყვარდეს...

*— ქალბატონო ლეილა, თქვენი გმირები (ხატია, ნათელა), სკოლის პერიოდში არიან შეყვარებულები... თქვენ თუ იყავით შეყვარებული სკოლაში სწავლის დროს?*

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა... ნუგზარი ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარულია (იცინის)...

*— მაინც რა არის, თქვენი აზრით, სიყვარული და როდის იბადება იგი?*

— კონკრეტულად ნამდვილად ვერაფერს გეტყვით... მოდის თავისთავად...

*— და შეიძლება თავისთავად წავიდეს?*

— ალბათ, შეიძლება, რომ თავისთავად წავიდეს...

*— დამეთანხმებით, არ არსებობს ოჯახი, სადაც კამათი არ ხდება...*

— რასაკვირველია, მაგრამ მეუღლეთაგან ერთ-ერთმა უეჭველად უნდა დათმოს...

*— თქვენ უფრო ხშირად თმობთ თუ ბატონი ნუგზარი?*

— ვფიქრობ, მე უფრო დამთმობი ვარ... ისე, იშვიათად ვკამათობთ, უფრო მეგობრულად ვცხოვრობთ...

*— თვისება, რომელიც, მეუღლემ ვერ მოგაშლევინათ და პირიქით...*

— ნუგზარს ხალხმრავლობა უყვარს, მე უფრო ჩაკეტილი პიროვნება ვარ, ჩემთვის ყოფნა მიყვარს — ვერანაირად ვერ გადავწონეთ ერთმანეთი...

*— უფრო სწორედ, ამით, ალბათ, კიდევ უფრო ავსებთ ერთმანეთს...*

*ყველაზე ლამაზად რას გაიხსენებდით თქვენი ურთიერთობიდან?*

— ალბათ, იმ დღეს, როდესაც პირველად მომართვა ყვავილები, იების თაიგული... სხვათა შორის, ძალიან დიდხანს მქონდა შენახული...

*— ბატონ ნუგზართან, როგორც რეჟისორთან, თუ მოგიწიათ მუშაობა?*

— ერთადერთხელ... სატელევიზიო სპექტაკლი დადგა „იკარუსის ფრთები" და იქ შევასრულე მთავარი როლი. სხვათა შორის, შეიძლება არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ძალიან კარგად მუშაობს მსახიობებთან...

*— რატომ არ უნდა ამბობდეთ?*

— რა ვიცი, მეუღლეა და მიკერძოებად არ ჩამითვალონ... რამდენად გამომივიდა ეს როლი, ვერ გეტყვით, მაგრამ მე თვითონ საოცრად კმაყოფილი დავრჩი ამ ურთიერთობით...

*— საერთოდ, როგორ ფიქრობთ, ქალბატონო ლეილა, რამდენად შესძელით თქვენი შესაძლებლობების რეალიზება, როგორც მსახიობმა?*

— ალბათ, მეტის გაკეთება შეიძლებოდა...

*— კონკრეტულად რაიმე როლის თამაშზე თუ გიფიქრიათ ოდესმე?*

— არასოდეს... ყოველთვის მიხაროდა და კმაყოფილი ვიყავი, თუ ვინმე რაიმე როლს შემომთავაზებდა, მიუხედავად იმისა, რომ სულ თან მდევდა უკმარისობის გრძნობა, რადგან თითქმის ყველა ფილმში ერთნაირ ხასიათს განვასახიერებ.

*— დაბოლოს, რას ეტყოდით საქართველოს ქალებს?*

— ქალი ყოველთვის ქალად უნდა დარჩეს!.. მესმის, რომ დღევანდელ დღეს ეს ძალიან ძნელია, მაგრამ უნდა ეცადოს... ქალი ნამდვილად არაა სუსტი არსება — მას შეუძლია შეუძლებელიც შეძლოს...

*თამარ ოთიაშვილი*

# და არც მუსიკა...

მანანა დოიჯაშვილი - საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი, პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიისა და რუსეთის საშემსრულებლო ხელოვნების ფონდის პრემიის ლაურეატი, საფრანგეთის რესპუბლიკის „ლიტერატურისა და ხელოვნების ორდენის რაინდის“ და „მშვიდობის ელჩის“ საპატიო წოდებების მფლობელი. მისი ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსს. 1995 წლიდან არის ამ მუსიკალური კონკურსების ფონდის დირექტორი და ყოველწლიური ფესტივალის „საახალწლო მუსიკალური შეხვედრების“ – ფუძემდებელი და ორგანიზატორი. მისივე ძალისხმევით დაარსდა ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელმაც, თავის მხრივ, ამავე სახელწოდების კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბება განაპირობა.



**– ქალბატონო მანანა, წლევანდელი წელი სრულიად განსაკუთრებულია კონსერვატორიისათვის. მას 90 წლის იუბილე შეუსრულდა. პირველ რიგში, მოგილოცავთ ამ დღესასწაულს. საინტერესოა, რა ღონისძიებებია დაგეგმილი ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით?**

– დიახ, კონსერვატორიას პირველ მაისს 90 წელი შეუსრულდა. ეს არის საქართველოში და მთელს კავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების ისტორიული თარიღი და ამიტომაც აღვნიშნავთ მას საგანგებოდ ამ შემოდგომაზე. იუბილეზე მოწვეული გვყავს კონსერვატორიის აღზრდილი და დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე სახელოვანი მუსიკოსები, გვეყოლებიან საპატიო სტუმრებიც – ლა სკალას აკადემიის, მიუნჰენის უმაღლესი სამუსიკო სკოლის (ჰოხ შულე), ბაქოს, ერევნის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, ტალინის კონსერვატორიების რექტორები, ჩვენი ქართველი და უცხოელი მეგობრები, რომელთა თანადგომა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მთელი ამ წლების განმავლობაში.

კონცერტების საიუბილეო კვირეული, რომელიც 30 სექტემბერს გაიხსნება, ჩემი აზრით, გრანდიოზულ დღესასწაულს პირდება თბილისელ მსმენელს. წარმოიდგინეთ, 30 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე ისინი მოუსმენენ ელისო ვირსალაძეს, დიმიტრი ბაშკიროვს, ალექსანდრე კორსანტიას, პაატა ბურჭულაძეს, იანო ალიბეგაშვილს, ლადო ათანელს და სხვა შესანიშნავ მომღერლებს, გაიმართება ქართული მუსიკის საღამო, რომელზეც შედგება უცხოეთში მოღვაწე ქართველი კომპოზიტორების გია ყანჩელისა და იოსებ ბარდანაშვილის ნაწარმოებების პრემიერები; აუდიტორიის წინაშე წარსდგება საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი, საქართველოს ეროვნული სიმფონიური, თბილისის მუსიკალური ცენტრის, ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური და კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრები, კონსერვატორიის სტუდენტური გუნდი, ხოლო სადირიჟორო პულტთან იდგებიან ზაზა აზმაიფარაშვილი, ჰენრი ბონამი (საფრანგეთი), ვახტანგ კახიძე, ავთანდილ მამაცაშვილი და ანდრეა მუსტონენი (ესტონეთი). მერწმუნეთ, ძნელია იპოვოთ მსოფლიოში საქართველოსნაირი პატარა ქვეყანა, ასეთი დონის მუსიკოსების შეკრება რომ შეძლოს კონცერტების ერთ ციკლში. სხვათა შორის, ამ მუსიკოსებიდან ბევრს მოუხდა საკუთარი შემოქმედებითი გეგმების შეცვლა, რადგან მათ ძალიან უნდათ, ამ კონცერტებში მონაწილეობით პატივი მიაგონ თავიანთ ალმა-მატერს.

კვირეულის ფარგლებშივე გაიმართება თბილისის კონსერვატორიის და, ამდენად, მთლიანად საქართველოში სამუსიკო განათლების ისტორიის ამსახველი სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმი უმასპინძლებს. სხვათა შორის, ჩვენ აგრეთვე გვესტუმრება მოსკოველი მუსიკისმცოდნე, მალერის შემოქმედების მსოფლიოში აღიარებული მკვლევარი ინა ბარსოვა, რომელიც გია ყანჩელის დიდი თაყვანისმცემელია და შესანიშნავი გამოკვლევაც აქვს მიძღვნილი მისი IV სიმფონიისადმი. გაფორმდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები იუბილის სტუმარი კონსერვატორიების რექტორებთან. მზადდება ფილმი კონსერვატორიის წარსულსა და აწმყოზე, სპეციალური ორენოვანი ბუკლეტები მიეძღვნება კონსერვატორიის წარსულსა და აწმყოს, საფესტივალო კვირეულს.

**– თავისთავად, ამ იუბილეს აღნიშვნა დაკავშირებულია ფინანსებთან. საინტერესოა, ვინ აფინანსებს ამ ღონისძიებას?**

– კონსერვატორიის იუბილე საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით აღინიშნება. ქართული მუსიკალურ-კულტურული ცხოვრების ასეთ მასშტაბურ მოვლენას ცხადია, სერიოზული დაფინანსება ესაჭიროება და გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი პრეზიდენტისა და მთავრობის მხარდაჭერა და, აგრეთვე, მერიის, მასმედიისა და სპონსორების იმედი.

**– ქალბატონო მანანა, ზოგადად, რამდენად ექცევა ყურადღება ხელისუფლების მხრიდან თბილისის კონსერვატორიას? როგორია მისი დამოკიდებულება ამ სასწავლებლისადმი?**

– ყოველთვის ვგრძნობ საქართველოს პრეზიდენტის დიდ თანადგომას, ჩვენთან ხომ მისი პატრონაჟითა და უშუალო მხარდაჭერით იმართება თბილისის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსები, ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმები. ან როგორ შეიძლება არ ვიგრძნოთ მისი განსაკუთრებული კეთილგანწყობა, როცა, მაგალითად, წელს მისი უშუალო ჩარევის წყალობით გაეზარდა თბილისის კონსერვატორიის პროფესორებს ხელფასები. ასევე დიდი მხარდაჭერა გვაქვს მთავრობის, კერძოდ, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსაგან. ყოველთვის მხარში გვიდგას მერია. ფაქტია, რომ მიმდინარე რეფორმების პირობებშიც, ხელისუფლება ცდილობს, შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს კონსერვატორიის სპეციფიკა. მაგალითად, სწორედ სახელმწიფო კულტურული პოლიტიკის გამოხატულებაა, როცა ნიჭიერ ახალგაზრდას დამოუკიდებლად არ უხდება ბრძოლა სახელმწიფო გრანტისათვის ხელოვნებისა და სპორტის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის უფლების მოსაპოვებლად და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო პროგრამულად აფინანსებს გარკვეული რაოდენობის სტუდენტების სწავლას. ვფიქრობ, პრეზიდენტისა და ხელისუფლების მხრიდან სწორედ ეს არის კონსერვატორიის მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოხატულება. თუმცა, ისიც დასამალი არაა, გვაქვს გარკვეული სირთულეებიც, განსაკუთრებით კონსერვატორიაში სტუდენტების სპეციალობების მიხედვით მიღებასთან დაკავშირებით, მაგრამ ვიმედოვნებთ, სწორედ ხელისუფლების დახმარებით ამ სირთულეებსაც გადავლახავთ.

**– საუბარში რეფორმა ახსენეთ. საინტერესოა, რა რეფორმა გატარდა სამუსიკო განათლების სფეროში?**

– სამუსიკო განათლება მეტად სპეციფიკურია. ხელოვნების არც ერთი დარგი არ მოითხოვს ისეთ წინასწარ სერიოზულ სისტემატურ განათლებას, როგორც მუსიკა. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით შევიმუშავეთ საქართველოში ლიბერალური, პროფესიული და აკადემიური სამუსიკო განათლების ერთიანი კონცეფცია, რომელიც სერიოზული განხილვის შემდეგ არსებითად საფუძვლად დაედო ამ სფეროში მიმდინარე რეფორმებს. ამ კონცეფციის თანახმად, საქართველოს დედაქალაქსა და ყველა რეგიონში უკვე არსებული სამუსიკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების ბაზაზე დაფუძნდა 6 წლიანი დაწყებითი სკოლები, სადაც ორი სახის სასწავლო პროგრამა იქნება, ერთ — ორიენტირებული ზოგად მუსიკალურ განათლებაზე, ხოლო მეორე — პროფესიულზე. დაწყებითის შემდეგ მოზარდმა შეიძლება სამწლიანი საბაზო განათლება მოდის, რის შემდეგ, თუკი იგი საბოლოოდ აირჩევს მუსიკოსის პროფესიას, სწავლას გააგრძელებს სპეციალურ 12 წლიან სამუსიკო სასწავლებელში. თბილისში 2 ასეთი ცენტრალური სასწავლებელი არსებობს: ერთი ნიჭიერთა ათწლედის ბაზაზე და მეორე მეცხრე სამუსიკო კოლეჯის ბაზაზე. ასევე უნდა მოხდეს რეგიონებში უკვე არსებული სამუსიკო სასწავლებლების მოდიფიცირება. განათლებას ახალგაზრდა 12 წლიანი ზოგადი საშუალო განათლების პარალელურად იღებს., რის შემდეგ, შეუძლია სწავლა განაგრძოს უმაღლეს პროფესიულ კოლეჯსა ან უმაღლეს აკადემიურ სამუსიკო სასწავლებელში, რომელიც საქართველოში, აგერ უკვე 90 წელია, კონსერვატორიის სახელით არსებობს. პროფესიული კოლეჯები მოამზადებენ დაწყებითი სამუსიკო სკოლების პედაგოგებს. კოლეჯის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ კონსერვატორიის ბაკალავრიატში.

**— წეღან ვსაუბრობდით ხელისუფლების თანადგომაზე. საინტერესოა, რა როლი აქვს ზოგადად, კლასიკურ მუსიკას ქვეყანაში და საერთოდ, რას განსაზღვრავს ამ ქვეყნის ხელისუფლებისა და მუსიკალური სივრცის ურთიერთდამოკიდებულება?**

— ვფიქრობ, ხელისუფლებამ და, პირველ რიგში, ისევ საქართველოს პრეზიდენტმა თავიდანვე განსაზღვრა ამ ურთიერთდამოკიდებულების ვექტორი — შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ პრეზიდენტმა თავის ინაუგურაციაზე, მსოფლიოში აღიარებული ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები მოიწვია. კლასიკური, აკადემიური ხელოვნება — ეს ქვეყნის სახეა, მისი კულტურის საზომი. თუ ცნობილი ფრაზის პერეფრაზირებას მივმართავთ — მითხარი, ვინ არის შენი ყველაზე დიდი მეცნიერი, მხატვარი, მუსიკოსი, რეჟისორი, რა პროფესიული და ტრადიციული მემკვიდრეობა გაგაჩნია და გეტყვი, ვინა ხარ, რა ადგილი გიჭირავს მსოფლიოს ხალხთა თანამეგობრობაში. იმის მიხედვით, თუ რა კულტურულ ღირებულებებს აღიარებს სახელმწიფო, შეიძლება განსაზღვრო, რისი ამბიცია აქვს ქვეყანას.

უდიდესი ბედნიერებაა, რომ გვაქვს უნიკალური ხალხური მრავალხმიანობა და საეკლესიო საგალობელი და შევძელით ამის მოტანა XXI საუკუნემდე. ასევე დიდი ბედნიერებაა, რომ ამ ტრადიციულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით ახალმა ქართულმა პროფესიულმა მუსიკალურმა კულტურამ უდიდეს წარმატებას მიაღწია XX საუკუნეში. დღეს მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სცენებზე ჟღერს ქართული მუსიკა და მრავლისმომსწრე უცხოელი მსმენელის წინაშე დიდი წარმატებით გამოდიან ჩვენი კონსერვატორიის აღზრდილი შემსრულებლები. ამიტომ, ამ სფეროს ძალიან ფაქიზი მიდგომა და დიდი ყურადღება სჭირდება ყველას მხრიდან. რაც გვაქვს, იმის დანგრევა ძალიან ადვილია, შემდეგ თავიდან შენებაა ძნელი. ტრადიციის მცირე დროით წყვეტამაც კი შეიძლება მთელი საუკუნით შეაფერხოს მუსიკალური კულტურის განვითარება. დღეს ბევრი რამ კეთდება ქართული ფოლკლორისათვის, ქვეყნის საშემსრულებლო კოლექტივებისათვის, კონსერვატორიისათვის და სამუსიკო განათლების მთელი სისტემისათვის.

**— საინტერესოა, თქვენი აზრი დღევანდელი მუსიკალური თაობის შესახებ. რას გვეტყვით ქართველ მუსიკოს-შემსრულებლებზე?**

— ძალიან ბევრი დიდი მუსიკოსი გვყავს. მათი სახელების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ქართველი მუსიკოსების დიდი ნაწილი დღეს საქართველოს გარეთ მოღვაწეობს. მართალია, ბევრი მათგანი ეკონომიკურმა სირთულეებმა აიძულა წასულიყო საქართველოდან, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის მიზეზი, როცა ხელოვანი სამშობლოს გარეთ ეძებს სარბიელს. მუსიკა ყველაზე კონტაქტური ხელოვნებაა, იგი ღიაა, გახსნილია ყველა რწმენისა თუ ეროვნების ადამიანისათვის. როგორც ამბობენ, დიდ ხომალდს საცურაოდ დიდი ზღვა სჭირდებაო. ამიტომ გამორჩეული მუსიკალური ნიჭის მქონე და თავის პროფესიაში კარგად დახელოვნებული ახალგაზრდა ყოველთვის ცდილობს,თავისი შესაძლებლობების წარმოსაჩენად ფართო ასპარეზი იპოვოს. მე მხედველობაში მყავს არა მარტო მსოფლიოში აღიარებული ქართველი მუსიკოსები, არამედ ახალგაზრდებიც, რომელნიც ეს ესაა ფეხს იდგამენ ევროპის, ამერიკის, იაპონიის სხვადასხვა საოპერო სცენებსა თუ საორკესტრო კოლექტივებში და იქაც დიდ ქართულ საქმეს ემსახურებიან. მაგრამ, დღეს მსოფლიოს საზღვრები აღარაა ჩაკეტილი, ამიტომ, ცხადია, მე მირჩევნია, საქართველოში შეიქმნას ისეთი პირობები, რომ მათ შეეძლოთ აქედან იმოღვაწეონ, აქედან დაგეგმონ თავიანთი საგასტროლო ცხოვრება. ეს კონსერვატორიის პოლიტიკაა — ჩვენ ვცდილობთ დავაბრუნოთ საქართველოდან წასული მუსიკოსები, რომ მათ ჰქონდეთ საკუთარ ქვეყანაში მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა და, რაც მთავარია, არ მოხდეს ტრადიციების წყვეტა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი, სასიცოცხლო საკითხია. სხვათა შორის, საქართველოში კლასიკური ხელოვნების მდგომარეობის საზომად, სამწუხაროდ, მასმედია არ გამოდგება, რადგან მისი ყურადღების ცენტრში, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად ექცევა ღირებული, ჭეშმარიტი ხელოვნება. მან უნდა იზრუნოს ახალგაზრდების გემოვნების ჩამოყალიბებაზე. პრაქტიკულად, ჩვენი სატელევიზიო ეთერი შოუბიზნესს აქვს დაპყრობილი. უფრო მეტიც, კლასიკაშიც კი თითქოს შოუს ელემენტებს ხედავენ. მინდა ვთქვა, რომ ეს არ ხდება მხოლოდ საქართველოში. ეს გლობალური მოვლენაა. მაგრამ დასავლეთში არსებობს არხები, რომლებიც ძირითადად კლასიკურ მუსიკაზე არიან ორიენტირებული. ჩვენთან ჯერჯერობით ამის კულტურა არ არის — მაგალითად, ხანდახან თუ ასეთი პროგრამა გამოერია, ხშირად, ავტორი და ნაწარმოებიც არაა ტიტრებში მინიშნებული.

**— რა აკლდება მასმედიის ამგვარი ქცევით კლასიკურ მუსიკას?**

— ძალიან ბევრი რამ. უპირველეს ყოვლისა, ეს ჩვენი ტელესივრცის კულტურულ სახეს აკნინებს. მაგრამ უფრო ხელშესახებ სფეროს თუ მივმართავთ, ამ ბოლო დროს საზოგადოება შეაშფოთა მოზარდებში აგრესიის, განსაკუთრებული სისასტიკის გამოვლენის ფაქტებმა. ცხადია, ერთმნიშვნელოვნად ამის ახსნა შეუძლებელია. მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ამ ბოლო დროს იგივე საზოგადოება, ოჯახი ვერ ახერხებს ბავშვს სულიერი საზრდო მისცეს. თავის დროზე მეცნიერებმა — სოციოლოგებმა, ფსიქოლოგებმა შეისწავლეს მოზარდზე კლასიკური მუსიკის ზემოქმედების საკითხი და დაასკვნეს, რომ თითქმის არ ხდებოდა დანაშაული იმ მოზარდებში, ვინც მუსიკას სწავლობდა. მუსიკასთან ზიარება ბავშვის სულიერ სამყაროს აფაქიზებს, აკეთილშობილებს. ისინი ურთიერთობაში უფრო რბილები არიან, კეთილგანწყობილნი. ალბათ, გსმენიათ, რომ მუსიკით მკურნალობენ კიდეც. გარდა იმისა, რომ ამისათვის მიმართავენ კლასიკური მუსიკის შედევრებს, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში არიან ადამიანები, რომლებიც ფსიქოლოგიური პრობლემების მოსახსნელად დიდი წარმატებით იყენებენ ქართულ ხალხურ მრავალხმიან სიმღერას. ჩვენ გვაქვს უნიკალური შესაძლებლობები — ქართული სიმღერა-გალობა და კლასიკური მუსიკა ვაქციოთ ჩვენი ახალგაზრდების აღზრდის ქვაკუთხედად. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნისთვის და ამიტომ სახელმწიფო ძალიან ფრთხილად, ფსიქოლოგების რეკომენდაციებზე დაყრდნობით უნდა მიუდგეს საზოგადოებაში არსებული ამ და სხვა მსგავსი პრობლემის გადაჭრას.

**— საუბრისას ყურადღება გაამახვილეთ უცხოეთში წასულ ქართველი მუსიკოსებზე. მაინტერესებს, როგორია მათი როლი კონსერვატორიის ცხოვრებაში?**

— დავიწყებ იმით, რომ კონსერვატორია ყოველი სტუდენტისა და კურსდამთავრებულისათვის, პირველ რიგში, ოჯახია. კონსერვატორია ყოველთვის ცდილობს დაეხმაროს თავის კურსდამთავრებულს და, ისინიც არ წყვეტენ მასთან ურთიერთობას, განსაკუთრებით წარმატებულები ატარებენ კონცერტებს, მასტერკლასებს,ნიჭიერ სტუდენტებს უნიშნავენ სტიპენდიებს, მიჰყავთ ისინი სასწავლებლად. მაგალითად, ლექსო თორაძესთან, საშა კორსანტიასთან აქედან წასული არა ერთი სტუდენტი სწავლობს. ბევრი ნიჭიერი მუსიკოსი დააკვალიანეს ელისო ვირსალაძემ, ალა სიმონიშვილმა, გია ქობულაშვილმა. რასაკვირველია, ყველას ვერ ჩამოთვლი, მაგრამ მხოლოდ კონსერვატორიის მომავალ საიუბილეო ფესტივალს გაგახსენებთ, რომელშიც მონაწილეობა ყველამ დიდი პატივად ჩათვალა. თუმცა, ალბათ, ეს ისევეა, როგორც შვილისა და მშობლის ურთიერთობა — მშობლის ამაგს შვილი ვერასოდეს გადაიხდის.

**├ აქვე მინდა გკითხოთ, უშუალოდ უცხოეთის, სხვადასხვა ქვეყნის მუსიკოსებისა და კონსერვატორიის ურთიერთობაზე. რა სახის ურთიერთობებია და რამდენად მნიშვნელოვანია ეს ყოველივე?**

— იცით, კონსერვატორიაში თითქმის კვირა არ გაივლის, უცხოელი მუსიკოსის მასტერკლასები არ ჩატარდეს. მათი მხრიდან ძალიან დიდია ქართულ კონსერვატორიასთან ურთიერთობის სურვილი. ამის მიზეზი კი არის ის, რომ ჩვენთან ძალიან მაღალია აკადემიური განათლების დონე. სხვათა შორის, თბილისის კონსერვატორია არც ისე დიდი ხანია კონსერვატორიების ევროპული ასოციაციის წევრი გახდა. ისინი აღიარებენ, რომ ჩვენ ბევრი რამ ისეთი გვაქვს, რისი გადაღებაც დიდ სარგებლობას მოუტანთ. მაგალითად, ჩვენში უკვე კარგა ხანია არსებობს სწავლების სამსაფეხურიანი სისტემა და III საფეხური, ე.წ. საშემსრულებლო ასპირანტურა ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით — დოქტორანტურა. შემოქმედებითი დოქტორანტურის შექმნას ისინი მხოლოდ ახლა იწყებენ. დღესდღეობით, თბილისის კონსერვატორიას იცნობენ მსოფლიოს ყველა მუსიკალურ დაწესებულებაში. მე მგონი ეს თავისთავად უკვე ბევრზე მეტყველებს. ამიტომ ყოველთვის გვეუბნებიან: ჯერ თქვენთან ისწავლონ, დაოსტატდნენ და მერე გამოუშვით აქეთ. მათ შეუძლიათ უფრო ფართო ასპარეზი მისცენ საკონცერტო საქმიანობისთვის, რაც აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია ხელოვანის ზრდისთვის. ეს ჩვენმა სტუდენტებმაც კარგად იციან. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, აქ დაამთავრონ მაგისტრატურა, ასპირანტურა და მერე წავიდნენ უცხოეთში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დასავლეთში პროფესორი ისე ინტენსიურად არ ურთიერთობს სტუდენტთან, როგორც ჩვენთან. ეს არის ჩვენი სწავლების დიდი უპირატესობა, საუკუნოვანი ტრადიცია, რომლის დაკარგვაც არ შეიძლება. ეს არის სისტემა, რომელიც ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ და უნდა ითქვას, რომ საბედნიეროდ, ამისათვის ყველა პირობა არსებობს.

**— კონსერვატორიაში ჩაბარება, რამდენადაც ცნობილია, იოლი არ არის. საინტერესოა, ვისთვის არის კონსერვატორიის კარი ღია? როგორ უნდა მოხვდეს აბიტურიენტი კონსერვატორიაში სასწავლებლად?**

— კონსერვატორია არის სპეციფიკური უმაღლესი სასწავლებელი, სხვათაშორის, განსხვავებული სხვა სახელოვნებო უმაღლესებისგანაც კი, რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთან მოდის ის, ვინც წლების განმავლობაში სერიოზული წვრთნა გაიარა — ბავშვმა ექვსი წლიდან თუ არ ისწავლა ფორტეპიანოზე, ვიოლინოზე, ჩელოზე დაკვრა და არ მიიღო სისტემატური განათლება, მრავალი საათი არ გაატარა ინსტრუმენტთან, იგი ვერ დაძლევს მისაღებ მოთხოვნებს. ამიტომ სპეციალური მუსიკალური განათლება კონსერვატორიაში სწავლის წინაპირობაა. თუმცა გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, მომღერალს ან ზოგიერთ ჩასაბერ ინსტრუმენტზე შემსრულებელს, ჩვეულებრივ, 12 წელი არ სჭირდება, რომ ეს მოთხოვნები დააკმაყოფილოს. როცა ადამიანი მუსიკოსის პროფესიას აირჩევს, ინსტრუმენტთან ურთიერთობა მისი ცხოვრების წესი ხდება. ამ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახი, მისი კულტურული ტრადიციები, გარემო, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მუსიკოსის ჩამოყალიბებაზე. შემთხვევითი არ არის, რომ ძალიან ხშირად, მუსიკოსის პროფესიას ისევ მუსიკოსების შვილები ირჩევენ. რასაკვირველია, არიან ძალიან დიდი მუსიკალური ნიჭიერებით გამორჩეული ბავშვებიც, რომელთა მშობლებს მუსიკალური განათლება არ აქვთ, მაგრამ დიდ წარმატებებს აღწევენ. უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ფაქტორი მაინც შრომისმოყვარეობაა. აგრეთვე აუცილებელია კარგი ფიზიკური მონაცემები, არტისტულობა, ძალიან კარგი სმენა, შინაგანი კულტურა; მაგრამ ასევე აუცილებელია კარგი პედაგოგი, ყურადღებიანი და მობილიზებული მშობელი, იმიტომ რომ ძალიან ხშირად მუსიკოსის აღზრდაში მშობლისა და პედაგოგის ტანდემი გადამწყვეტია. სწავლის ძირი მწარე არისო - თავიდან შრომა არის მძიმე. იშვიათად, რომ 6-7 წლის ბავშვს ეხალისებოდეს მრავალსაათიანი მეცადინეობა. საერთოდ, მუსიკალური ნიჭიც სხვადსხვანაირია: ხდება ისე, რომ ბავშვობისას გამოვლენილი ნიჭიერება შემდეგ რაღაცნაირად ფერმკრთალდება; ხდება ისეც, რომ თითქოს და საშუალო მონაცემების ბავშვი, წლების მანძილზე იზრდება, ნიჭი იფურჩქნება და ხდება არაჩვეულებრივი მუსიკოსი. ასე რომ, როგორც არ არსებობს ორი ერთნაირი ადამიანი, ასევე არ არსებობს ორი ერთნაირი ნიჭიერება.

**— თქვენ პროფესიონალი მუსიკოსის თვისებებზე საუბრობდით. ეს თავისთავად, საინტერესო თემაა. როგორ ფიქრობთ, მთლიანობაში რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მუსიკოსი შედგეს?**

— პროფესიონალი მუსიკოსი რომ გახდე, ამისათვის დღე და ღამე უნდა იშრომო; მუდამ უნდა იყო მიღწეულით უკმაყოფილო, რომ წინ იარო; უნდა გქონდეს ძალიან მტკიცე ხასიათი და ფანატიკურად უნდა იყო შეყვარებული შენს საქმეში. მხოლოდ ნიჭიერება არ არის ყველაფრის მისაღწევად საკმარისი. ნიჭიერება არის ის, რაც არ გასვენებს, გამუშავებს, წუთს არ გაძლევს მოსადუნებლად. სწორედ ის არის მამოძრავებელი, წინსვლის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. მუსიკოსი, რომელიც კმაყოფილია იმით, თუ როგორ უკრავს ან მღერის, ძალიან ჩქარა კვდება, როგორც მუსიკოსი. ეს, საერთოდ, ყველა სპეციალობას ეხება. ჭეშმარიტი ნიჭიერება გამუდმებული ძიება და სრულყოფილებისაკენ სწრაფვაა. ამის გარეშე არც პროგრესი, არც დიდი აღმოჩენები, არც დიდი კარიერა და საერთოდ, მე მგონი, არაფერი არსებობს.

**— ქალბატონო მანანა, თქვენს წარმატებულ მუსიკალურ კარიერაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კონკურსებმა. მაინც რით არის ასეთი მნიშვნელოვანი კონკურსში მონაწილეობის მიღება მუსიკოსისათვის?**

— კონკურსები დღეს მსოფლიოში ძალიან ჩვეულებრივი მოვლენაა. მიმაჩნია, რომ მართლა ძალზე მნიშვნელოვანია მათში მინაწილეობის მიღება მუსიკოსისთვის და გეტყვით რატომაც. თანამედროვე პირობებში, ფაქტობრივად, მუსიკოსის აღიარება დაკავშირებულია კონკურსებთან. სწორედ, კონკურსზე ისმენენ მათ პროდიუსერები, აგენტები, იმპრესარიოები, დებენ მათთან კონტრაქტებს, ეხმარებიან კარიერის გაკეთებაში. დღეს კონკურსის გარეშე ძალიან რთულია გაიკვალო გზა. ამიტომ საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსებს განსაკუთრებული იმიჯი აქვთ მსოფლიოში. გარდა იმისა, რომ გამარჯვებული ფულად ჯილდოს იღებს, ბევრი პრესტიჟული კონკურსი თავის თავზე იღებს მონაწილეების დასაქმებას ერთი თუ ორი წლის მანძილზე — აძლევს მას საშუალებას ჩაატაროს კონცერტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ძალიან ხშირად, კონკურსზე გამობრძმედილი ახალგაზრდები ერთი კონკურსიდან მეორეზე გადადიან. ერთგან შეიძლება საუკეთესო პრემია მიიღონ, მეორეგან სულ არაფერი. ასე რომ, კონკურსი ეს არის ბრძოლა საკონცერტო სამყაროში ადგილისათვის. მიხარია, რომ თითქმის ყველა ჩვენი სტუდენტი, ვინც კი წასულა კონკურსზე, ყოველთვის რაღაც ჯილდოთი დაბრუნებულა — ბევრი ლაურეატის წოდებით, ზოგი დიპლომით, ზოგი ანგაჟემენტით. კონკურსი უკვე ყოველდღიურობაა მუსიკოსისათვის. ამავდროულად, პროფესიული თვალსაზრისით, ის ძალიან ზრდის მას, ეს ბუნებრივიცაა, რადგან კონკურსზე მაღალი კონკურენციაა, საჭიროა იყო გამძლე და ყველაფერი ძალიან ზუსტად, ბოლომდე გქონდეს გააზრებული. ამის გარდა, ფართოვდება მუსიკოსის რეპერტუარი. რა თქმა უნდა, კონკურსს უარყოფითი მხარეც გააჩნიათ, მაგრამ, ალბათ, დადებითი უფრო მეტი აქვთ და სწორედ, აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კონკურსში მონაწილეობის მიღება საჭირო და აუცილებელია, თუ გინდა საერთაშორისო კლასის საკონცერტო შემსრულებელი გახდე.

**— კონსერვატორიის ყოფილ რექტორებს შორის ერთადერთი ქალბატონი ხართ. მაინტერესებს, რა მოგცათ რექტორის თანამდებობამ და მესმის, თქვენთვის**



**რთულია ამაზე საუბარი, მაგრამ მაინც მინდა გკითხოთ, როგორ შეაფასებდით დანიშვნიდან დღემდე თქვენს მიერ განვლილ რექტორობის პერიოდს?**

— ჯერ პირველ კითხვაზე გიპასუხებთ. რექტორობამ საშუალება მომცა ვემსახურო იმ ადამიანებს, რომლებიც მუსიკაში ხედავენ თავიანთი სიცოცხლის აზრს; ჩემთვის ეს არის საშუალება, დავეხმარო მათ და ვიყო მათ გვერდით. ვფიქრობ, თუ პიროვნება თვითონ არ ხარ პროფესიონალი, მაშინ რექტორის თანამდებობა არაფერს ცვლის. ასეთ შემთხვევაში ეს ძალინ მძიმე დიდ ტვირთად შეიძლება დაგაწვეს. რექტორობა არის რთული, საპასუხისმგებლო საქმე და ამავდროულად, ეს არის ძალიან დიდი პატივი. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, ამაზე, ალბათ, სხვამ უნდა ისაუბროს. უბრალოდ, ერთ რამეს გეტყვით: რექტორობის პირველი დღიდან სულ ძიებაში ვარ, მინდა ჩვენი კონსერვატორია უკეთესი გახდეს, მსურს, რომ აქ მიღებული განათლება იყოს სრულფასოვანი, პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს. ამიტომაა, გონივრული რეფორმების დიდი მომხრე ვარ. ეს მეტად რთული პროცესია. ჩემი მიზანია შევქმნა ისეთი კონსერვატორია, რომლის მსგავსიც მსოფლიოში არ იქნება. ამის დიდი ამბიცია მაქვს. მინდა დავიხარჯო ბოლომდე და გავაკეთო ის, რაც მაქსიმალურად შემიძლია. ვფიქრობ, საერთოდ, ადამიანები იმიტომ მოვდივართ, რომ ჩვენი შესაძლებლობები ამოვწუროთ და არა იმიტომ, რომ ელემენტარულ ყოფაზე დავიყვანოთ ჩვენი არსებობა. ღმერთმა თუ დაგაჯილდოვა და რაიმეს ნიჭი, უნარი მოგცა, ის აუცილებლად მაქსიმალურად უნდა გამოიყენო. ამით იმის თქმა მინდა, რომ ყველამ უნდა ვაკეთოთ ჩვენი საქმე. მინდა, რომ მაქსიმალურად გამოვადგე ამ სფეროს და შევინარჩუნო ის ტრადიციები, განძი, რაც აქამდე მოუტანია ჩვენს წინაპრებს. რასაკვირველია, მე არ დამიწყია კონსერვატორიის შენება და არც ჩემით დამთავრდება მისი არსებობა. ეს არის, უბრალოდ. მისი ცხოვრების გარკვეული ეტაპი, რომელიც ჩემს სახელს და ჩემი ცხოვრების გარკვეულ პერიოდს უკავშირდება. იმედი მაქვს, რომ ჩემს შემდეგ აქ ჩემზე უკეთესი მოვა და უკეთესად გააგრძელებს ამ საქმეს, მაგრამ მე ჩემი შესაძლებლობებიდან, საშუალებებიდან გამომდინარე ვცდილობ გავაკეთო მაქსიმუმი. რაც შეეხება ჩემი გაკეთებულის შეფასებას, ეს უკვე სხვისი საქმეა.

აუცილებლად მინდა, კიდევ ერთი რამ ვთქვა — 90 წლის იუბილეს თბილისის კონსერვატორია სრულიად განახლებული ხვდება. როგორც იქნა, ამ ზაფხულს მისი ექვსწლიანი მშენებლობა-რესტავრაცია დასრულდა. ისევე, როგორც ბევრი სხვა დაწესებულება იმ ურთულეს წლებში, კონსერვატორიაც ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. მე ძალიან გამიჭირდებოდა რაიმეს გაკეთება, რომ არა ის ადამიანები, ვინც გვერდში ამოგვიდგა. ამის გამო ნება მომეცით, გამოვხატო ძალიან დიდი მოწიწება და მადლიერება იმ კეთილშობილი ადამიანების მიმართ, რომელთა უდიდესმა ძალისხმევამ კონსერვატორიის უნკალური შენობა განადგურებას გადაარჩინა.

**— თქვენ საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკი გაქვთ. ალბათ, ინსტრუმენტისადმი გარკვეული ნოსტალგიაც გაქვთ.**

— დიახ, დატვირთული ნამდვილად ვარ. მაგრამ ინსტრუმენტის და საერთოდ, მუსიკის გარეშე ჩემი ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. მიუხედავად იმისა, რომ როიალთან დიდ დროს ვერ ვატარებ, ასე თუ ისე, დაკვრას მაინც ყოველთვის ვახერხებ. როგორც წესი, ყოველ წელიწადს რამდენიმე კონცერტი მაქვს.

**— თქვენი უახლოესი შემოქმედებითი გეგმების შესახებ რას გვეტყვით?**

— 30 სექტემბერს — იუბილეს გახსნის დღეს, გალა კონცერტზე აუცილებლად დავუკრავ.

**— რა ნაწარმოებს შეასრულებს კონსერვატორიის იუბილეზე თავად კონსერვატორიის რექტორი?**

— არა, ამას ვერ გეტყვით. მირჩევნია, ჯერ ეს არ გავამხილო.

**— ისღა დამრჩენია წარმატებები გისურვოთ.**

*ია ტიგინაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა





# შუქურად აღმართული ტაძარი

Სამების დიდებულ ტაძარში ივერიის ღვთისმშობლის ბრწყინვალე ხატი შემობრძანდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ გულმხურვალე თაყვანი სცა მას.

დედათა შორის უსპეტაკესმა შარავანდედით გააბრწყინა ქართული ზეცა. მრევლმა მოწიწებით დახარა თავი და იგი მუდმივ საბრძანებელთან მიაცილა.

სამების ტაძრის ზარების ეკლესიის დიდ დარბაზში დავანდა მისი მადლი.

იყო დღე აღფრთოვანებისა და სულიერი სიმშვიდისა.

ღვთაებრივ ძალმოსილებასთან ერთად, განსაკუთრებული მადლი ახლდა ამ სიწმინდეს: - უპირველეს ყოვლისა, იგი ქართველი კაცის შთაგონებამ შექმნა და მოზაიკაში ჩამოაქანდაკა, მეორე – ღვთისმშობლის ამ ზომის მოზაიკა (140/80) ერთ-ერთი პირველი გახლავთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უახლეს ისტორიაში...

.... გურამ გუნია ჩუმად, კდემითა და თაყვანისცემით მიჰყვებოდა პროცესიას. სწორედ ამ შემოქმედმა, მხატვარმა, სკულპტორ-მონუმენტალისტმა შექმნა ღვთისმშობლის ეს უწმინდესი სახე (იხილეთ გარეკანის მეორე გვერდი) და ქრისტიანული მოკრძალებით კიდევ ერთი დიდებული ძეგლი დაუდგა ერის სულიერებას.

გუშინ და გუშინწინ არ დაუწყია გურამ გუნიას ამ ძეგლის აღმართვა, - კოლხურ სამანებში მიმდინარე მისი ბავშვობა თავიდან ბოლომდე იყო სიწმინდეთა თაყვანისცემა. მოგვიანებით კი მისი ყალმისა და საჭრეთლის მთავარი თემა გახდა ბიბლიური ამბები, თქმულებები, ლეგენდები, სამშობლოს ისტორიის ფოლიანტები.

სწორედ ამ მოტივებმა შექმნა ღვთისმშობლის ხატი!

როგორც ხელოვნებათმცოდნე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირინე აბესაძე აღნიშნავს, ამ მნიშვნელოვანი მხატვრული ამოცანის გადაწყვეტამდე, გურამ გუნია დიდი შემოქმედებითი გამოცდილებით მივიდა.

1969 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების ფაკულტეტი. მის სადიპლომო ნამუშევარს, მინა-ბლოკისაგან შესრულებულ მხატვრულ ვიტრაჟს „ავთანდილის სიმღერა“, სპეციალისტთა მაღალი შეფასება ხვდა წილად. ეს დიდი ზომის (2X2) ვიტრაჟი დიდხანს ამშვენებდა სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზს, მაგრამ საქართველოს „იმ შავ დღეებში“ იგი გაიძარცვა და განადგურდა. იგივე ბედი ეწია მის მეორე ვიტრაჟს „ჩირაღდანი“ (2,5X1,5), საბედნიეროდ, გურამ გუნიას შემოქმედება საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დღესაც ამშვენებს იქაურ ყოველდღიურობას. მისი შესანიშნავი ნაწარმოებები აღმართულია მოსკოვში, ტაშკენტში, კიევში, რიგაში და საზღვარგარეთის სხვა ქალაქებში. ჩვენს დედაქალაქში კი, ამ ტექნიკით შესრულებული ერთადერთი ნახელავი მხოლოდ კომბინატ „პარიმზის“ ინტერიერს შემორჩა.

1978 წელს გურამ გუნიას, ავტორთა ჯგუფთან ერთად, სოხუმის 340-ადგილიანი სასტუმრო კომპლექსის მხატვრული გაფორმებისათვის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. არქიტექტორ-მშენებელთა შორის ის ერთადერთი მხატვარი იყო, რომელსაც დაევალა, არა მარტო, კონკრეტული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების განხორციელება, არამედ აღნიშნული კომპლექსის არქიტექტურისა და გარემოსთან შერწყმული სრულყოფილი მხატვრულ-ესთეტიკური მთლიანი სახის შექმნა. ამ მნიშვნელოვან შემოქმედებით დაკვეთას გურამ გუნიამ წარმატებით გაართვა თავი, რამაც იმდროინდელი პრესის ფურცლებზე სათანადო გამოხმაურება ჰპოვა.

ამის შემდგომ მხატვარი ეძიებს საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების სრულყოფილად რეალიზების გზებს გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების სხვადასხვა დარგში, იქნება ეს ხეზე თუ ქვაზე კვეთა, ჭედურობა, კერამიკა, მინის მხატვრული დამუშავება, მონუმენტური ფერწერა თუ გრაფიკა. უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვანს თითოეული ეს დარგი ერთნაირად ხელეწიფება, მაგრამ, მაინც უფრო მახლობელი მისთვის აღმოჩნდა მინანქრული ტექნიკის უმდიდრესი ეროვნული ტრადიციების ათვისების ცდა. ტექნოლოგიურ სირთულეთა დაძლევის შემდეგ გურამ გუნიას ამ ტიპის მრავალი ნამუშევარი დაუგროვდა, რომლებშიც მითოლოგიური, ქრისტიანული თუ საერო ხასიათის მოტივებს, ამავე ტექნიკით განხორციელებული პორტრეტები და ნატურმორტები ენაცვლება („მესიის გამოცხადება“, „სიცოცხლის ხე“, „მედეა“ და „იაზონი“, „ტვირთი“ და სხვა). გარდა ამისა, გურამ გუნიას საჭრეთელს ეკუთვნის ბრწყინვალე სკულპტურული ნამუშევრები, რომელთაგან გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს კომპლექსი „აიეტი“, „მედეა“, „არგო“ და სხვა.

გურამ გუნია ერთადერთი ქართველი მხატვარია, რომელმაც 1994 წელს სანკტ-პეტერბურგში და იაროსლავში ჩატარებულ დეკორატიული ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე საქართველო წარმოადგინა და ათი ქვეყნის (აშშ, იაპონია, იტალია, გერმანია, ავსტრია, ბელგია, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი და საქართველო) 140 მხატვართა შორის გამოყენებით-დეკორატიულ ხელოვნებაში სხვადასხვა ტექნიკით მიმდინარე ძიებები წარმატებით დააფიქსირა. ამ გამოფენაზე გურამ გუნიამ სპილენძისა და ცხელი მინანქრის ტექნიკით შესრულებული კომპოზიცია წარადგინა, რომელზეც ბიბლიური მოსე იყო გამოსახული.

... და მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მისი შემოქმედების აპოთეოზი გახლავთ ერთიანი საქართველოს კარიბჭისათვის, (ფოთსა და ბათუმს შორის), გრანდიოზული „ტაძარი – შუქურა“, რომელიც განასახიერებს ქრისტიანული ჯვრის ძალასა და სიდიადეს, მსოფლიოს მართლმადიდებელი სამყაროს სულიერ და ზნეობრივ ერთიანობას.

*ზაურ ფიფია*

# ოჯახური ძალადობა

## ანუ

## [illegible]

ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ლამაზი. საუბრისას ამაოდ ცდილობდა სიმშვიდის შენარჩუნებას. ცრემლები თავისთავად სცვიოდა დიდრონი თვალებიდან.

— დამთავრდა ჩემი სიცოცხლე... არადა იცით, რა ბედნიერი ვიყავი? ცაში დავფრინავდი... ჩემი და ზურას სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა. რამდენჯერ მეგობრებისგან ფარული შურიც კი მიგრძვნია. ნიკუშა რომ შეგვეძინა, ნანატრი ბიჭი, თითქოს ყველაფერი კიდევ უფრო კარგად უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

თქვენი ნებართვით, აქ შევწყვეტ სევდიან მონოლოგს. მით უფრო, რომ მსგავსი სიტყვები სხვადასხვა ინტერპრეტაციით, თქვენც მოგისმენიათ, ალბათ, ძვირფასო მკითხველო, ან იქნებ თავად წარმოგითქვამთ კიდეც... ასეა თუ ისე, ჩვენი საუბრის თემა ოჯახური ძალადობაა, პრობლემა, რომელიც მრავალი ბოროტების სათავეა და თუ დროზე არ დავარისხეთ განგაშის ზარები, ვინ იცის, კიდევ რამდენი „უდანაშაულო" დამნაშავე და „დამნაშავე" მსხვერპლი გაეხვევა განუკითხაობის საბედისწერო ბადეში.

ოჯახს საფუძვლად ღვთისგან კურთხეული სიყვარული უნდა ჰქონდეს. როგორც პავლე მოციქული ამბობს: „სიყვარული არ აიმაღლებს თავს, ყოველივეს ზედა უხარის, ყოველივეს დაითმენსო."

ეს ალბათ, იდეალურ შემთხვევაში, რადგან სამწუხარო სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ ძალზე მცირეა ჰარმონიული ოჯახების პროცენტი, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოჯახების უმეტესობაში ძალადობაა გაბატონებული, რაზეც ღიად არ საუბრობენ, რადგან ამ პრობლემის საჯაროზე გამოტანა ქართულ ოჯახებში ღირსების შელახვის ტოლფასია. ჭირის დამალვა კი, მოგეხსენებათ, გამოსავალი არ არის, რადგან ადრე თუ გვიან მაინც გამომჟღავნდება იმ უბრალო მიზეზით, რომ ჭირი თავად არ დამალავს თავს. უფრო მეტიც. ფსიქოლოგების განმარტებით ოჯახური ძალადობა არის განმეორებადი ციკლი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური შეურაცხყოფისა, რომელსაც ოჯახის ერთი წევრი ახორციელებს მეორეზე, მასზე კონტროლისა და ძალაუფლების მოპოვების მიზნით.



ოჯახური ძალადობის პრევენციაზე ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ, თუმცა უნდა ითქვას, რომ თუ ამ პროცესში სახელმწიფო აქტიურად არ ჩაერთვება, თუ დროულად არ ამოქმედდება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმები, პრობლემა პრობლემადვე დარჩება. როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, ძირითადად ქალები არიან ძალადობის მსხვერპლნი, რომლებიც ცდილობენ უსიტყვოდ, მორჩილად შეასრულონ მოძალადის მოთხოვნები.

ოჯახური ძალადობა მხოლოდ „შინაური" ტრაგედია არ არის. ის სტიქიურ უბედურებას შეიძლება შევადაროთ, რომელიც გარშემო ყველაფერს სპობს და ანადგურებს. ამდენად, ოჯახური ძალადობა სოციალური პრობლემაა და მას საზოგადოება იმდენად აღიარებს, რამდენადაც განვითარების მაღალ საფეხურზე იმყოფება.

ოჯახების ორი მესამედი, ფსიქოლოგების მონაცემებით, კონფლიქტურ ოჯახებად შეიძლება ჩაითვალოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანები საკუთარ ოჯახში უცხოდ, ზედმეტად გრძნობენ თავს.

ამერიკელი ფსიქო-თერაპევტი ვირჯინია სატირი, რომელიც ოჯახის ფსიქოლოგიისა და თერაპიის ფუძემდებლად ითვლება, აუცილებლად მიიჩნევს, რომ ადამიანები ყოველდღიურად ხვეწდნენ ურთიერთობებს. ოჯახი ურთულესი ფენომენია. ადამიანების უმეტესობა კი ეგუება ისეთ ცხოვრებას, რაც „განგებამ არგუნა" და მის შეცვლას არც კი ცდილობს (შეცვლაში, ბუნებრივია, მეუღლის გამოცვლა არ იგულისხმება).

ჩვენი გრძნობები, ჩვენი ენერგია ჩვენვე გვეკუთვნის და უნდა შევძლოთ საკუთარი თავის მართვა. ვალდებულებიც ვართ, რადგან პრობლემურ ოჯახებში ყველაზე მეტად ბავშვები იჩაგრებიან. პატარები გამუდმებით საჭიროებენ მშობლების სიყვარულს, მხარდაჭერას. სანაცვლოდ კი უფროსებისაგან უყურადღებობას და გაღიზიანებას იღებენ. ამის გამო თანაგრძნობას და „თავშესაფარს" სახლის გარეთ, ქუჩაში ეძებენ. ქუჩაში კი რა აღარ ხდება...

უარყოფითი ემოციებით და ენერგიით თქვენს გადატვირთვას მოვერიდები და აღარ შეგახსენებთ ბოლო დროს დატრიალებულ ტრაგედიებს. ერთს ვიტყვი მხოლოდ-კატასტროფულად იმატა დანაშაულის რიცხვმა მოზარდებში. მათ შორის უბრალო შეკამათებაც კი ხშირად საბედისწერო შედეგებით სრულდება. როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, დანაშაულის ასაკობრივ „გაახალგაზრდავებას" ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ფონი უწყობს ხელს. მოგეხსენებათ, ბავშვის აღზრდაში ოჯახი, სკოლა და საზოგადოება სხვადასხვა დოზით მონაწილეობს. თუმცა ძირითადად მაინც ოჯახში ხდება პიროვნების ჩამოყალიბება. იმის გასარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელია ქართულ სინამდვილეში ჯანსაღი, სრულყოფილი ადამიანის აღზრდა, ქალთა საკონსულტაციო ცენტრ „სახლს" ვეწვიე. ეს ცენტრი შეიქმნა 1997 წელს ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია ოქსფამის ბაზაზე. 2000 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელ არასამთავრობო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა და მთლიანად ოჯახური ძალადობის პრობლემაზე მუშაობს. ,,სახლს" ხელმძღვანელობს ფსიქოლოგი რუსუდან ფხაკაძე. ,,საქართველოს ქალის" კითხვებზე კი ფსიქოლოგი ნანა ხოშტარია უპასუხებს.

— ოჯახი უნდა შეიქმნას სიყვარულით, რაც თავისთავად წყვილის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის ნაყოფს წარმოადგენს. სწორედ სიყვარული არის ჰარმონიული ოჯახის საფუძველი, სადაც აგრესია და ძალადობა ვერასოდეს მოიკიდებს ფეხს. სამწუხაროდ, ხშირად გარკვეული ემოციისა თუ უბრალო ლტოლვის გაიგივება ხდება სიყვარულთან, რომელიც ვერანაირ ცხოვრებისეულ გამოცდას ვერ უძლებს და ფსევდო-სიყვარულზე შექმნილი ოჯახების უმეტესობა ხუხულასავით იშლება.

**— თუმცა უთანხმოების სხვა მიზეზებიც არსებობს, ალბათ...**

— ოჯახური პრობლემების, კონფლიქტებისა და ოჯახური ძალადობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ეკონომიკური სიდუხჭირე და უმუშევრობაც შეიძლება ჩაითვალოს. რაც თავისთავად ოჯახში მამაკაცთა ფუნქციების შესრულებას აფერხებს და შესაბამისად ურთიერთობებს ამძიმებს.

**— პრობლემურ ოჯახებში განსაკუთრებით, ალბათ, მაინც ბავშვები იჩაგრებიან.**

— რა თქმა უნდა. იმ ოჯახებში სადაც ძალადობა არის გაბატონებული, ბავშვები მუდმივი სტრესის ქვეშ იმყოფებიან, რაც შეიძლება გამოვლინდეს როგორც დათრგუნული ფსიქიკით,ასევე ჰიპერაქტიურობითა და აგრესიულობით, მაგრამ ყველაზე სამწუხარო და დამაფიქრებელი ის არის რომ, ძალადობა ძალადობასვე წარმოშობს. პატარები უფროსების მაგალითზე იზრდებიან. ვერანაირი შეგონება და სიტყვა ვერ გაჭრის პირად მაგალითზე მეტად. როცა ბავშვი სისტემატურად ხედავს ნაცემი დედის სახეს, ისმენს მთვრალი მამის გინებას და ა.შ. და ა.შ. გაორებული დამოკიდებულება უყალიბდება მშობლების მიმართ. დადგენილია, რომ პრობლემურ ოჯახებში გაზრდილი ვაჟები შედარებით ადვილად ყალიბდებიან დამნაშავეებად და მოძალადეებად, გოგონები კი, რომლებიც პასიურ, ნერვიულ ქალებად იზრდებიან, ხშირად ბედს სწორედ აგრესიულ მამაკაცებს უკავშირებენ.

**— პირადი მაგალითი ახსენეთ და აქვე უნდა ითქვას, რომ მშობლები ძირითადად სახლიდან არიან გასულები სარჩოს მოსაპოვებლად. ,,დედა შინაა, გული საგულესააო", ამბობს ქართული ანდაზა. დედა მაგდალინას აზრითაც, დედის სულიერი როლი ოჯახისათვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი ფინანსური დახმარება, რომელიც მან შეიძლება გასწიოს. ოჯახში მას ვერავინ შეცვლის, მით უფრო, თანამედროვე ოჯახში...**

— ადამიანის ქცევაზე უამრავი რამ ახდენს გავლენას, ანუ მრავალფაქტორიანია. როცა ოჯახში ერთმანეთზე ზრუნავენ, შეიძლება მშობელი დაკავებული იყოს, მაგრამ ოჯახში იქმნება ისეთი ატმოსფერო, რომელიც თავისთავად დადებითად ,,მუშაობს" და შედეგიც შესაბამისად პოზიტიურია. არის საპირისპირო შემთხვევებიც.

მშობელი შეიძლება მთელი დღე სახლში იყოს, მაგრამ შვილს ცუდ მაგალითს აძლევდეს, რაც ბავშვის ფსიქიკაზე დამღუპველად იმოქმედებს. ასეთ დროს, დამეთანხმებით, ალბათ, რომ უკეთესიც კი იქნება, თუ მშობელი გასული იქნება სახლიდან. ასე რომ, მთავარი მაინც ის არის, თუ ვინ ,,აშენებს" მოზარდის სულს, რა იდეალებითა და ღირებულებებით კვებავს მის ცნობიერებას.

**— აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რამდენად მოქმედებს მძაფრსიუჟეტიანი და ეროტიკული ფილმები მოზარდის გემოვნების თუ ფსიქიკის ჩამოყალიბებაში?**

— არსებობს ასეთი ტერმინი — ძალადობა მედიიდან, რაც ხორციელდება კიდეც საკმაოდ დიდი დოზით ტელეეკრანებიდან. მოზარდები, რომლებიც ჩამოყალიბების, ძიების პროცესში არიან და ჯერ კიდევ ვერ გაურჩევიათ თეთრი შავისაგან თუ ცუდი კარგისაგან, დიდ ინტერესს იჩენენ მსგავსი ფილმებისადმი, რაც თავის მხრივ აგრესიულობის დონის მომატებას იწვევს ახალგაზრდებში. ინდივიდის გემოვნება და სექსუალური მორალი გარდატეხის პერიოდში ყალიბდება, ასე რომ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რამდენად სწორად განავითარებს მოზარდის მისწრაფებებსა და ვნებებს ეს ფილმები.

**— რამდენად სწორია გამოთქმა — ,,ძნელად აღსაზრდელი ბავშვი"? მით უფრო, რომ ,,ასეთი" ბავშვებისათვის შეიძლება სპეციალური სკოლები გახსნან.**

— როცა ბავშვს ასეთ იარლიყს მიაკერებენ, ეს უკვე მისი მხრიდან ცუდად მოქცევის წინა პირობაა. ის იჯერებს, რომ მართლა ცუდია და მაშ რატომ უნდა მოიქცეს კარგად? ამდენად გამართლებულად არ მიმაჩნია მათი იზოლაცია. ისინი ჩვეულებრივი ბავშვები არიან და პედაგოგები ვალდებულები არიან თითოეულ მოსწავლესთან გამოძებნონ საერთო ენა და მოიპოვონ მათი ნდობა. თავისთავად კარგი ფაქტია, რომ სკოლებში ფსიქოლოგები მუშაობენ.

**— ფსიქოლოგთან ვიზიტი პრობლემის გადასაჭრელად წინ გადადგმული ნაბიჯია თუ წყალწაღებულის ხავსზე ჩაჭიდება?**

— ბუნებრივია, პროგრესული ნაბიჯი. როცა ადამიანს პრობლემები ექმნება, დიდი სულიერი ტკივილებით იტანჯება, ჩიხიდან გამოსავალს ველარ ხედავს და სასოწარკვეთაში ვარდება. ფსიქოლოგთან ურთიერთობა, ხშირ შემთხვევაში, მართლაც სასწაულს ახდენს. თუნდაც იმის შეგრძნება, რომ მარტო არ ხარ, ეს უკვე ბევრს ნიშნავს. უბრალო თანაგრძნობას ადამიანში დიდი ცვლილებების გამოწვევა შეუძლია.

**— თქვენთან კონსულტაციაზე ძირითადად მანდილოსნები მოდიან. რამდენად გენდობიან და თუ გაქვთ საშუალება თვალი ადევნოთ მათ შემდგომ ცხოვრებას?**

— ფსიქოლოგთან ურთიერთობა ეფექტური მაშინ არის, თუ ადამიანი მზად არის, რომ შეებრძოლოს პრობლემებს და შეცვალოს საკუთარი ცხოვრება. მაგრამ თუ ძალადობის მსხვერპლი შეგუებულია თავის მდგომარეობას, მაშინ სასურველი შედეგის მიღწევა თითქმის შეუძლებელია. დახმარებისათვის სამი ათასამდე ქალმა მოგვმართა და ჩვენი დაკვირვებებიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში ქალები, თუ მოინდომებენ, ოჯახში დაძაბულობის განმუხტვას ახერხებენ კიდეც.

**— ზოგჯერ ადამიანები ცდილობენ, გამოასწორონ მეუღლის ესა თუ ის ნაკლი. რამდენად შესაძლებელია ზრდასრული ადამიანის შეცვლა?**

— მათი მცდელობა თავიდანვე განწირულია.

**— ესე იგი არ ღირს ჭირვეულის მორჯულება?**

— ასე გამოდის.

**— ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ჩვენს საუბარს ერთი ფრაზით დავასრულებთ, რომელიც თავისთავად გამოხატავს ოჯახის მთელ ფილოსოფიას:**

**— დაუთმე სხვის ნებას სიყვარულის გამო!**

*მარინე ნაკაიძე*



# „როცა კბილებში იჭეჭკება ლირიკის ქვიშა“

გუჩა კვარაცხელიას სახელი კარგად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. ის ახსოვთ სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს, რომელთაც ქართულ ენას აზიარებდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

მათ, ვისი ბავშვობისა და ყმაწვილობის ხანა გასული საუკუნის 80-იან წლებს დაემთხვა, ახსოვთ სატელევიზიო გადაცემის, — „ათიათასად ზრდილობის“ სულმოუთქმელი მოლოდინი, რომლის ავტორი და წამყვანი თავად ხუთი შვილის დედა — გუჩა კვარაცხელია გახლდათ.

90-იანი წლების გარკვეულ მონაკვეთში ქალბატონი გუჩა განათლების მინისტრი იყო, მოგვიანებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს მდივანი.

გუჩა კვარაცხელიას — პოეტს, დიდი ხანია იცნობს ის ქართველი მკითხველი, ვინც თვალს ადევნებს ლიტერატურულ პროცესს. იცნობს იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც მან, ჯერ კიდევ მე-10 კლასის მოსწავლემ, პირველი ლექსები დაბეჭდა მაშინდელ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“. მის თანაკურსელებს, რომელთა დიდი ნაწილი დღეს ცნობილი ლიტერატორია, ახსოვთ მის მიერ სტუდენტობისას შექმნილი პოეტური ციკლი, რომელიც არსად დაუბეჭდავს და არც შემოუნახავს ავტორს.

გუჩა კვარაცხელია —პოეტი საკმაოდ დიდ ხნის განმავლობაში ნაკლებად ჩანდა და მისი მრავალმხრივი საქმიანობის ეს სფერო, შემოქმედება, ერთგვარად უკანა პლანზე იყო გადატანილი, რის გამოც, ქართული ლიტერატურისმცოდნეობა ვალშია მისი პოეზიის წინაშე.

თუმცა ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, გუჩა კვარაცხელიას მრავალმხრივი საქმიანობის ეს სფერო, პოეტური შემოქმედება, ერთგვარად უკანა პლანზე იყო გადაწეული, მაინც, ქალბატონი გუჩა უპირველესად პოეტია, სიტყვით მხატვარი, ვისაც შეუძლია ბავშვობის შთაბეჭდილებები ულამაზეს ხატად აქციოს.

უკანასკნელ წლებში, ზედიზედ გამოქვეყნდა პოეტის სამი კრებული, ავტორისავე ნახატებით გაფორმებული.

მიზეზი იმისა, რომ რომ დროზე არ მოხდა ამ პოეზიის აღმოჩენა და აღიარება, იქნებ ისიც იყო, რომ ლიტერატორთათვისაც კი რთული იყო ამ ლექსებთან მისასვლელი გზა.

გუჩა კვარაცხელიას პოეზია მძიმედ შესათვისებელი ლიტერატურაა. არაფერი არ არის ადვილად თქმული ამ ლექსებში. მათი ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ მას მკითხველი სჭირდება, ბევრი მკითხველი, როგორც ნებისმიერ ავტორს, არ ცდილობს გააიოლოს, თვალისმომჭრელი სამკაულებით შემოსოს თავისი პოეზია. მან საკუთარ თავს შეუქმნა (ოღონდ არა თვითმიზნურად) ეს სირთულე. დაინახა, რომ ეს სამყარო არის რთული და არ შეეცადა მის გამარტივებას.

თუ დღეს ვინმეს შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის ორიგინალური და თავისთავადია, ეს, პირველ რიგში, ითქმის გუჩა კვარაცხელიას პოეზიის შესახებ. ის სრულიად განსხვავებული სააზროვნო და ისტორიული ორიენტირებით, ემოციის კულტურით აკვირვებს მკითხველს და განკუთვნილია მათთვის, ვისთვისაც პოეზია არა მარტო სახალისო საკითხავია.

ამ ლექსების ავტორი ძალიან მამაცი ქალია, ვინც უდროობის ხანაში, როცა მთავარი იყო ბრბო და არა ინდივიდი, შეძლო საკუთარ თავში მოგზაურობა და არ დატოვა არაფერი მოუხილველი ამ სამყაროში. იმ მკითხველისთვის, ვინც შეძლებს ყველა სირთულის გადალახვას, უცებ გაიღება ჯადოსნური კარი და შევა ორიგინალური და გამორჩეული პოეზიის სამყაროში. ყველაფერი მის ლექსებში, ავტორის მიერვეა განცდილი და არა სხვა ლიტერატურული გამოცდილებიდან გადმოტანილი; რადგან ამ პოეზიის წარმომშობი მიწიერი ყოფაც მძიმე და რთული იყო, პოეტს არ შეეძლო შემოქმედებით სამყაროში მაინც შეემსუბუქებინა არსებობა; როგორც ჩანს, ემოცია ადექვატური უნდა იყოს მისი წარმომშობი მიზეზისა.

ენათმეცნიერი-მკვლევარი და პოეტი, ერთი შეხედვით, თითქოს ორი სრულიად განსხვავებული გზაა. მაგრამ ეს ასე არ არის. პოეზია ხომ სიტყვის ფლობის ცოდნაა, უნარია იმისა, სიტყვათა უსაზღვროებიდან ამოარჩიო სწორედ ის, რომელიც ზუსტად გამოხატავს შენს სულიერ მდგომარეობას; ერთმანეთს დაუწყვილო ჩვეულებრივ ვითარებაში სრულიად შეუთავსებელი, განსხვავებული სიტყვები და ამ საოცარი, ამავე დროს, უზუსტესი წყვილებით მიიტანო მკითხველამდე შენი განცდები, რომელიც მათიც არის, ზოგადი განცდაა ტკივილისა და სიხარულისა.

— არ ვიცი, რამდენად სწორია ადამიანს ჰკითხო, როგორ ასწრებდა და ასწრებს ის ერთდროულად ამდენი რამის გაკეთებას. აქ, ალბათ, პასუხი ერთია, ან გვაქვს ამის ნიჭი და უნარი, ან არა. და მაინც, ხშირად გვგონია, რომ რეცეპტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**არსებობს და ისინი, ვისი ცხოვრებაც წარმატებული და ნაყოფიერია, ამ წარმატების საიდუმლოს თუ ცოტათი მაინც გვაზიარებენ, ჩვენც შევძლებთ მისით სარგებლობას. ამიტომ, ჩვენი მკითხველის გასაგონად, მინდა გკითხოთ, როგორ ასწრებდით, ერთდროულად ამდენ განსხვავებულ საქმეს?**

— ამ კითხვას, წლების განმავლობაში, ხშირად მისვამდნენ, ხუთ შვილთან ერთად როგორ ვახერხებდი ამდენ რამეს. სხვათა შორის, ოცდაცამეტი წლის ასაკში უკვე ხუთივე შვილი მყავდა. ცხოვრებაში არაერთი ცუდი ამბავიც გადამხდენია, ოჯახური ტრაგედია (ქალბატონი გუჩა, წლების განმავლობაში, უბედური შემთხვევის გამო, საწოლს მიჯაჭვულ მეუღლეს უვლიდა). ისიც არაერთხელ უთქვამთ, ეს უბედურება რომ არა, ამდენს ვერ შეძლებდიო. მახსოვს, როგორ გაუკვირდა ბატონი არნოლდ ჩიქობავა ამის მთქმელს, თქვენ რა იცით, რისი მიღწევა შეეძლო გუჩას, მეტი დრო და საშუალება რომ ჰქონოდაო.

**— გასულ წელს, ლიტერატურულ გაზეთ „კალმასობაში," რეჟისორ რეზო ესაძის ზეპირი მოთხრობების ციკლი ქვეყნდებოდა. ბატონმა რეზომ საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას, სადაც, თავისი პირველი პროფესიით, ფიზიკის მასწავლებლად მუშაობდა და პარალელურად, მომავალი პროფესიითაც იღვწოდა, ბავშვების მონაწილეობით საკმაოდ რეზონანსულ სპექტაკლებს დგამდა, რომელთა პრემიერებიც ხშირად ნამდვილი, სახელმწიფო აკადემიური თეატრების სცენებზეც კი იმართებოდა. მის მონათხრობში, თქვენ, ქალბატონო გუჩა, მნიშვნელოვანი ადგილი გეჭირათ, როგორც საყვარელ მოწაფესა და ნიჭიერ მსახიობს...**

— რეზო ესაძე ფიზიკას გვასწავლიდა; ძალიან ვმეგობრობდით. ჩემ კლასში სწავლობდნენ ლია გუდაძე, ჟანრი ლოლაშვილი, რომელიც, სხვათა შორის, მოწაფეობისას მსახიობობის სურვილს მაინცა და მაინც არ ამჟღავნებდა, მომავალი რეჟისორი გოგი ქავთარაძე და სხვები. ჩვენს სკოლას თეატრალური წარმოდგენების გამართვის დიდი გამოცდილება ჰქონდა. სანამ რეზო ესაძე გამოჩნდებოდა, სკოლის დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა რეჟისორი გოგი ჩხაიძე, მსახიობ ვასილ ჩხეიძის (ცნობილი „ბიძია-ბაბუას") ვაჟი. მისი ხელმძღვანელობით „რღვევა" დავდგით. ამ სპექტაკლთან დაკავშირებით კურიოზიც შემემთხვა, ეს იყო ჩემი პირველი „მარცხი" სცენაზე. იმ დროს „დასში" ყველაზე პატარა ვიყავი, მე-7 თუ მე-8 კლასელი. ქალთა როლები, ბუნებრივია უფროსკლასელ გოგონებს ერგოთ, მე პანოვის როლი გადამიკეთეს პანოვად; როლისთვის ჯარისკაცული ჩექმები და ფარაჯა მჭირდებოდა, რაც არცთუ იოლი მოსაპოვებელი იყო. ჩემს თანაკლასელს, გოგი ქავთარაძეს, ჰყავდა ბაბუა, რომელიც ჩვენი მოწაფეობისას უკვე საწოლს იყო მიჯაჭვული და თითქმის არასოდეს დგებოდა. ჩექმები ბაბუას ჰქონდა, საწოლთან ელაგა. რომ დაეძინება, ჩუმად ავიღოთო, გოგიმ მითხრა და ასეც მოვიქეცით.

სცენა იყო ასეთი: მე კატარღით მოვდივარ, დანარჩენები გემზე არიან, მეუბნებიან პაროლს —„ცენტროლიტი" და მხოლოდ ამის შემდეგ ვამბობ ჩემ გვარს — პანოვა. არ ვიცი, ჯარისკაცულმა ჩაცმულობამ იმოქმედა თუ რა მოხდა, სპექტაკლზე ძალიან ბოხი ხმით დაველაპარაკე, რაც რეპეტიციებზე არ გამიკეთებია. სასაცილოდ გამოვიდა. მერე კითხულობდნენ, ის თითისტოლა ბავშვი ვინ იყო, ხმას რომ იბოხებდაო. ამ არცთუ წარმატებული დებიუტის მიუხედავად, მერე არაერთი როლი ვითამაშე, ვიყავი მართა სანებლიძე, კლდიაშვილის მოთხრობების მიხედვით რეზო ესაძის მიერ დადგმულ სპექტაკლში, ასევე — ოთარაანთ ქვრივი, კორჩინინა...

საერთოდ, ძალიან კარგი სკოლა გვქონდა, მაშინ, ჯერ კიდევ, გიმნაზიადამთავრებული პედაგოგები გვასწავლიდნენ, ახლა რომ ყველაფერზე სკოლის გარეთ უნდა ატარო ბავშვები, ასე როდი იყო, სკოლაშივე მოქმედებდა სპორტული — ჭადრაკის, კალათბურთის, ფრენბურთის, ველოსპორტის, სტენდზე სროლის წრეები, დრამწრეც, რასაკვირველია.

**— თქვენს გატაცებებს შორის, როგორც ჩანს ხატვასაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, თქვენივე ნახატებით გაფორმებული პოეტური კრებულებია ამის დასტური... და მაინც საბოლოო პროფესიად ქართული ფილოლოგია, ოღონდ არა ლიტერატურა, რაც მეტად მოსალოდნელი იყო, არამედ ენათმეცნიერება აირჩიეთ. ეს არჩევანი შეგნებული იყო თუ რაიმე შემთხვევამ განაპირობა?**

— ენათმეცნიერების არჩევა სწორედ პოეზიასთან იყო დაკავშირებული. მინდოდა ენაში და ენის შესახებ ყველაფერი მცოდნოდა. ჩემ მისიად მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, ქართული ენის მსახურება. მინდა ყველაფრის თქმა შეიძლებოდეს ქართულით და შეიძლება კიდეც, მთავარი მონდომებაა. ბოლო ხანს ავსტრიელი მწერალი ქალის, ელფრიდე იელინეკის, შარშანდელი ნობელიანტის რომანი „მკვდართა შვილები" წავიკითხე. გამაოგნა, რაღაცას უშვება თავის ენას, სულ სხვანაირად ამბობს, კი არ ამახინჯებს მას, არამედ საოცარი დეტალები იცის... ამ ტექსტმა სწორედ ენობრივი თვალსაზრისით დამაინტერესა, საგნების აღქმა, ხედვა სრულიად განსხვავებულია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კეთილია.

**— ეს, მგონი, თანამედროვე მწერლობის ზოგადი ნიშანია. დღეს ხომ ნაწარმოების ან მწერლის ღირსება იმით აღარ ფასდება, რამდენად კეთილია ან ოპტიმისტური, უფრო პირიქით. გამონაკლისი არც თანამედროვე ქართული მწერლობაა.**

— არადა, დავით კლდიაშვილი ამბობდა, მხოლოდ სიკეთით დაწერილი წიგნი გადარჩებაო. ქართული ლიტერატურა უცხოურის მიბაძვითაა ასეთი, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი. რაც შეეხება ლიტერატურულ მიმდინარეობებს, დაახლოებით სამოცი წლით იგვიანებს ჩვენში, მაგრამ ახლა ეს დრო, საყოველთაო გლობალიზაციის, ინტერნეტის პირობებში, ვფიქრობ, მნიშვნელოვნად შემცირდება.

**— იქნებ, უცხოურის შემოსვლა არც ისე ცუდია, თუკი მას ჩვენს ორიგინალურ ელფერს მივცემთ და ქართულ სულს მოვარგებთ?**

— რაც გასაქართულებელია, შეიძლება და აუცილებელიც არის, გაქართულდეს. რაც ორგანული არ არის, იმის შემოტანა არ შეიძლება. უნდა გადავეჩვიოთ, გარედან მოსულის, თავს მოხვეულის უკრიტიკოდ მიღებას. ბაძვა, გარკვეულწილად, უბიძგებს ნიჭიერებას, მაგრამ უკრიტიკობა ახშობს ნიჭს; ანალიტიკური უნარი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ყველაფრის გაანალიზება, გადახარშვა შეძლოს.

თუნდაც, ტელეგადაცემები ავიღოთ. დღევანდელ ტელეეთერში ორიგინალურს იშვიათად წააწყდები, ეროვნულ ხასიათთან მისადაგებული მაინც ხომ უნდა იყოს?

**— რაკი ტელეგადაცემები ვახსენეთ, არ შეიძლება, გასული საუკუნის 80-იან წლებში ერთადერთ ქართულ ტელევიზიაში არსებული თქვენი საავტორო, საყმაწვილო ტელეგადაცემა არ გავიხსენოთ —„ათიათასად ზრდილობა"...**

— იმ დროს, თუმცა, პირდაპირი ეთერის ტრადიცია ჯერ კიდევ არ იყო, მაგრამ „ათიათასად ზრდილობა" თითქმის პირდაპირი ეთერით მიდიოდა, მართალია წინასწარი სცენარით, მაგრამ ძალიან სწრაფად ვაკეთებდით, რაც მთავარია, ნამდვილად ორიგინალური ტელეპროგრამა იყო.

**— თქვენი აზრით, რა არის თანამედროვე ქართული მწერლობის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი?**

— ვფიქრობ, თანამედროვე მწერლობის ნიმუშები უფრო გარეგან გამაღიზიანებლებზე რეაქციის შედეგად დაწერილი ტექსტებია და არა შინაგანი, საკუთარ სულში ჩაღრმავების შედეგად შექმნილი. არადა, მწერლობის მიზანი მაინც არის სულიერება, პოეზიისა — მით უმეტეს.

**— ბოლო წლებში ზედიზედ გამოცემული სამი პოეტური კრებული ხანგრძლივი შემოქმედებითი პაუზის შედეგი იყო. რამდენ ხანს გასტანა ამ პაუზამ?**

— პირველი წიგნი გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გამოვეცი, არჩილ სულაკაურის დაჟინებული მოთხოვნა რომ არა, ალბათ, ჩემი პირველი წიგნი არ დაისტამბებოდა. მეორე წიგნი პოემა გახლდათ — „უფრო მაღალი ცა", რომელიც ჩემს შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ეს უკვე 80-იანი წლების ბოლოს გამოვიდა, თუმცა ნაწყვეტები თითქმის ათი წლით ადრე ჟურნალ „მნათობში" იბეჭდებოდა. მთლიანობაში ექვსი წიგნის ავტორი ვარ, მათ შორის ოთხი პოეტური კრებულია, ერთი პოემა და ერთიც — პიესების კრებული.

**— ტრადიციული კითხვა, — ამჟამად რაზე მუშაობთ, რა გეგმები გაქვთ?**

— მინდა „უფრო მაღალი ცა" რომანად დავწერო. რა გამოვა, მკითხველი შეაფასებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მედეა

მზე რომ ამოვიდა ხუდონში ვიყავით, ზუგდიდიდან ხუდონამდე 40-მდე კილომეტრია და კაცმა რომ თქვას, ენგურის ნამდვილი ხეობა აქედან იწყება. ომუნეს მთას აუყვება აქამდე ბარიბარს მიმდევარი გზა და წულიშის მთის უკანაა ხუდონის ნასოფლარი. მარცხნივ ენგურის ხეობაა, მარჯვნივ მდინარე მაგანასი, დღეს წყაბაშის ნაკრძალად რომ ითვლება.

წალენჯიხის ტყემრეწვმეურნეობის „სტუდერის“ ძარაზე ორნი ვიდექით. ჩემი თანამგზავრი, ასე, 70-80 წლის ჭუბერელი სვანი აღმოჩნდა. მისი პირთამდე სავსე ზურგჩანთა ძარის კუთხეში იდო და ჩემი ხელჩანთის სახელურზე მისი აბზინდი იყო გაყრილი. მანქანაზე ამოსვლისთანავე შემომთავაზა თანამგზავრმა ეს.

— ხელში ხომ არ დაიჭერ, არადა ამ გზაზე იატაკზედაც ვერ დადებ, თუ რამე გაქვს გასატეხი, გამოემშვიდობე. ზურგჩანთა კი მძიმეა, თანაც ა, აგერ მივამაგრებ და ორივენი ერთმანეთს დაიცავს.

ჩანთაში ფოტო და კინოაპარატი მელაგა და დავუჯერე.

მერე ის იყო, ხუდონამდე ამოვედით და ამ ხნის მანძილზე ხმა არ გაგვიცია ერთმანეთისთვის. ხეობათა და მწვერვალთა სილამაზემ ჩაგვაჩუმა. უფრო სწორედ მე. ის კი იდგა და ოდნავ ღიმმორეული მზერით მაკვირდებოდა. ამას უფრო ვგრძნობდი, ვინემ ვხედავდი.

— აქ ოქროსმომპოვებლები მუშაობდნენ ოცდაათიან წლებში — ვთქვი, როცა ხუდონამდე ამოვედით.

— გახსოვს შენ?

— არა, კინოფირებში მინახავს...

მან ოდნავ ჩემსკენ მოიწია და გულისჯიბიდან „პრიმა“ ამოაძრო. მერე, ქარს ზურგი შეუშვირა, ასანთს გაჰკრა და სიგარეტს მოუკიდა.

— მოწევ?

— თუ კიდევ გაქვთ...

— კაცო, წინათ უკეთესი იყო ეს მამაძაღლი, ეხლა კი, რა ეს მოგიწევია და რა ფუჩეჩი...

„პრიმამ“ დაგვაახლოვა.

— აგერ, ე, ბილიკი, რომ ჩადის ენგურისკენ, აი, იქ იდგნენ ოქროს მომპოვებლები მაშინ... — მიმითითა მან.

— იღებდნენ ენგურის სილას და რეცხავდნენ...

— ახლა კი, მეტი არ არის ოქრო და ამიტომ მიატოვეს, ალბათ, ეს საქმე...

— ჰმ!.. — ნიშნისმოგებით გადმომხედა მან, — ენგურში არასოდეს გამოილევა ოქრო...

რატომ-მეთქი, ვკითხე.

აქ მანქანა გაჩერდა. მძღოლმა შევისვენოთო, ამოგვძახა და იქვე, კლდეს გადმოკიდებულ ჩანჩქერს მიაშურა. ჩვენც ჩამოვედით მანქანიდან და მას მივბაძეთ. მერე ჩემი თანამგზავრი ისევ ავიდა ძარაზე და ცოტა ხანში თეთრ მიტკალში შეხვეული „კუბდარები“, (სვანური ხორციანი ხაჭაპური) და ერთი ბოთლი „რახიც“ ჩამოიტანა.

— აბა, წავიხემსოთ..

წავიხემსეთ. „რახი“ მთლად სახუმარო არ გამოდგა და, როცა ძარღვებში გაჟონა, ძველ კითხვას დაუბრუნდა ჩემი თანამგზავრი.

— შენ რატომო, მკითხე ხომ? თუ არ მოგწყინდება, მოგიყვები და ნახავ, თუ უწერია ენგურის ოქროს გამოლევა!..

პირველად ასე მოვისმინე ეს ლეგენდა, რომელსაც უცვლელად გადმოგცემთ ახლა:

— მაგი არავინ იცის, როდის იყო ეს, მაგრამ ის კი იციან სვანეთში, რომ მაშინ ორ მეტროზე ნაკლები სიმაღლის არც ერთი სვანი არ იყო. ენგურზე და ნესკრაზე ხიდებს არ დებდნენ, აქ რომ დაჰკრავდნენ ფეხს, მეორე ნაპირზე ხტებოდნენ. აი, ისე არჩემა და ჯიხემა, რომ იცის ხოლმე. გინადირია როდისმე მთის ნადირზე?

კი-მეთქი, ვუთხარი.

ჰოდა, გეცოდინებაო, მითხრა და გააგრძელა:

├ მაშინ ტაია იყო მთელი ამ ქვეყნის უფროსი, მეფე. იმასაც ამბობენ, მზის შვილი იყოო ის. არ ვიცი, მარა, ისეთი მდიდარი ყოფილა ის დალოცვილი, კაცო, რომ ოქროს ლურგიმზე იძინებდა თურმე. რძეში ბანაობდა და ცხრა ოჩოკოჩს ერეოდა ცალი ხელით. ეს ამბავი გაუგიათ სხვა ქვეყანაში და ერთ დაქცეულ დღეს წამოსულან, რა და, ტაიას ოქრო-სიმდიდრე წავართვათო. ძალით, აბა, რას გახდებოდნენ მარა, ეშმაკობით მოუნდომებიათ ტაიას დამარცხება. ჰო, მართლა, ამ ტაიას ერთი ერჯი ყოლია, ვერძი! სულ ოქროს ტყავი ჰქონდა ამ ერჯს, ოქროს რქები ედგა და ძვლებიც კი ოქროსი ჰქონია... მივიდნენ, თურმე, ტაიასთან. გამარჯობაო, უთხრეს, გაგიმარჯოთო, უთხრა ტაიამ. რაზე მოსულხართო? რაზეო და ზღვაში ვიყავით გასულები და „კენხრონმა“ დაჰბერა და თქვენს ქვეყანასთან გაგვრიყაო, უთქვამთ მოსულებს. ო, გაჭირვებაში ყოფილხართ და სტუმრებს მასპინძლურად დაგხვდებითო, უთქვამს ტაიას. მათაც რა უნდოდათ მეტი, მადლობაო, უთხრეს. იმ საღამოს 12 ხარი დაკლა, თურმე, ტაიამ სტუმრების საპატივცემულოდ, 12 ქვევრი მოხადა და მთელი 12 დღეს ქეიფობდნენ...

„კენხრონი“ რაა მეთქი, ვკითხე.

სადაური კაცი ხარ, შენო, მკითხა.

ფიფია ვარ-მეთქი, ვუთხარი.

მერე, მეგრელი ყოფილხარ და ნუთუ „კენხრონი“ რას ჰქვია, არ იციო, მისაყვედურა.

— „კენხრონი, ელახონი ბორია“, ახლაც ასე არ ეძახით მეგრელები ზღვიდან ამოსულ ქარს?

სწორია-მეთქი, ვუთხარი და გამეღიმა.

— ეს ქარი ცხელი და ძლიერია, ყველაფერს წვავს და ზღვაზე თუ მოგისწრო შენს მტერს მერე...

...ჰოდა, 12 დღის მერე ამ ჩამოსულებმა უთხრეს ტაიას, — აწი კი არის ჩვენი წასვლის დრო, მაგრამ ამ საოცარ ქვეყანაში რომ ვიყავით, არავინ არ დაგვიჯერებს თუ კიდევ ორ რამეს არ გვაჩვენებო. რასო, ჰკითხა ტაიამ, თურმე. ჩვენო, ბოდიში, მაგრამო, თქვენი ერჯისა და ასულის ამბავი ყველა ქვეყანაშია ცნობილი და ისინი რომ არ ვნახოთ, ისე რავა წავიდეთო აქედან. ტაიას ეწყინა, კაცო, აბა! მარა რას იზამდა, და კაიო, უთხრა, გაჩვენებთო. ასეა კაცის საქმე, რაც უნდა ჭკვიანი იყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთხელ მაინც ჩადგამს ფეხს ტლაპოში. ტაიას ასულს მედეა ერქვა, მარა რას ნახავდა კაცი მაგისთანას? ის რომ აივანზე გადმოდგებოდა, ხალხი გაოცებით იძახდა, რომელიაო მზე, ეს თუ ცაზე რომაა ისო! გადმოდგა მედეა კოშკზე და რა ნახეს სტუმრებმა ის, მიწაზე დაცვივდნენ შიშისაგან, ეს რა ღმერთი გადმოდგაო კოშკზე. მერე ვერძი გადმოდგა კოშკზე და კიდევ წაუვიდათ გული მოსულებს. ერთი კვირა ასულიერებდნენ, თურმე, აბა! გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და ამ მოსულებიდან ერთმა, თურმე, მედეას სარკმელში მშვილდისრით რაღაც ჯადო შეაგდო, რომელიც კაცს აძინებდა, აძინებდა მარა ისე კი არა, რომ სიარული არ შეძლებოდა, პირიქით! იმ ჯადოს გამკეთებელი რასაც ეტყოდა, იმას ასრულებდა ყველაფერს. ჰოდა, ამანაც ადგა და უთხრა: მედეა, შენ ახლა ადგები, ჩუმად გამოხვალ შენი კოშკიდან, შენს ოქროს ერჯზე შედგამ შენს ოქროს საწოლს და წამოხვალ აქა და აქაო. მართლაც ასე გააკეთე მედეამ, აბა, რას იზამდა გათვალული იყო და... მთელი ღამე მიდიოდნენ გამოპარულები. ოქროს ერჯს ზურგზე ესვენა ოქროს ტახტზე მძინარე მედეა და მიჰყვებოდა იმ ხალხს. მერე ყულესთან რომ მივიდნენ (იქ იდგა მათი გემი) თქვეს, მოდი, ეგ ერჯი დავკლათ, რაც ოქროსია თან წავიღოთ, დანარჩენი რაზე ვათრიოთ ტყუილადო. თანაც იმისიც ეშინოდათ, ვაითუ ჯადოს ძალა გაუვიდეს და რამე ხიფათს გადაგვყაროსო. რქებით ანგრევდა კლდეებს, თურმე, ის ერჯი. ასეც გააკეთეს, მაგრამ სანამ ტყავს გააძრობდნენ, გათენდა და ის იყო მზეც ამოვიდა. მაშინ ჩვენს ქვეყანაში ასეთი ამბავი ხდებოდა, რაც უნდა დიდი და ძლიერი ყოფილიყო ჯადო, მზის ამოსვლისთანავე ეკარგებოდა ძალა. კიდევ კარგი, დროზე ამოვიდა მზე, ვენაცვალე მის სახელს. ერჯს აწი არაფერი შეელოდა მარა, მედეას გამოეღვიძა, გამოეღვიძა და ორი მზის დანახვაზე ისევ პირქვე დაემხნენ ის მამაძაღლები. მედეამ სასწრაფოდ დაავლო ხელი ერჯის ოქროს ტყავს, მკერდზე მიიკრა მაგრად და გაიქცა. მარა ამ უღრან ტყეში გზა დაებნა. ცხრა დღე და ღამე დადიოდა ასე. რაც იქ მან ჭირი ნახა, ნუ იტყვი. ბოლოს ენგურს მიადგა და ცოტა მოითქვა სული. დაჯდა და სულ ოქროს ცრემლები დაღვარა. ამ დროს ერთი სვანი ვაჟკაცი ნადირობდა, თურმე, ამ მხარეს. მუშვანი ერქვა იმ ვაჟკაცს, ვიბლიანი – გვარად. ქალი რომ ნახა მტირალი, გაოცდა, მარა კიდევ უფრო იმან გააოცა, ოქროს ცრემლებს რომ ყრიდა. იფიქრა, ეს ვინმე უბრალო არ იქნებაო და ფრთხილად ჰკითხა, ვინ ხარო. მედეამ უთხრა ვინც იყო და, უნდა გენახა, რა გაიხარეს ორივემ ერთმანეთის ნახვით. მედეას დედა სვანის ქალი იყო და ახლა ეს მუშვანი მას ბიძაშვილად ერგებოდა.

მერე, კიდევ ცხრა დღე და ღამე მიუყვებოდნენ მუშვანი და მედეა ენგურის ხეობას. მედეას მკერდიდან არ მოუცილებია ის ოქროს ტყავი ამ გზის მანძილზე, აბა! მოვიდნენ სვანეთში. მედეამ მუშვანს უთხრა: ახლა ეს კარგ ადგილას უნდა შევინახოთო სადმე, ტყავზე უთხრა, და მხოლოდ შენ და მე გვეცოდინება მისი ადგილ-სამყოფელიო, მერე ავდგეთ და მამაჩემთან წავიდეთ თორემ, ვინ იცის, რა დღეშია საცოდავიო. ასეც გააკეთეს. მერე ადგნენ და მამასთან წავიდნენ. მარა, რა გინდა – რა? გზაში შეიტყვეს, რომ ტაიას გული გასკდომოდა და მომკვდარიყო. მედეამაც ვერ აიტანა ეს, ამ ქვეყნად არ მედგომებაო, თქვა და თეთნულდზე ავიდა. მას მერე იქაა, მწვერვალზე. კი გითხარი, როდის იყო ეს კაციშვილმა არ იცის, მარა ის კი იციან, რა მოუვიდა ოქროს ტყავს. მუშვანმა თავის შვილიშვილს უთხრა საიდუმლო, თუ სად იყო დამალული ტყავი, იმან კიდევ თავის შვილიშვილს, იმან კიდევ თავის შვილიშვილს და ასე მოდიოდა ეს საიდუმლო აქამდე, ბოლოს... ყველგან გამოერევა ცუდი და ბოროტი, მუშვანის ერთმა შთამომავალმა იფიქრა, მოდი, გავყიდი ამ ტყავს და გავმდიდრდებიო. გამოიტანა სამალავიდან და წავიდა, მაგრამ მედეა ყველაფერს ხედავდა და ენგურში გადაჩეხა ის მამაძაღლი. ოქროს ტყავი კი ენგურს მიაბარა – შენს ფსკერზე შეინახეო. ამიტომაა, რომ ენგურს დღესაც კი ჩამოაქვს ოქროს ნამცეცები ბარში...

ჩვენი მანქანა უკვე ხაიშს გასცდა და ენგურისა და ნენსკრის შესართავთან გაჩერდა. ჩემი თანამგზავრი იქ ჩამოვიდა, ჭუბერისაკენ მიდიოდა, ჩვენ მესტიის გზას გავუყევით, გამომშვიდობებისას სახელი ვკითხე მას, – მუშნი, მქვია, ბატონოო, მითხრა და წავიდა. ახლა კი სანანებლად მაქვს დარჩენილი გვარიც, რომ არ ჩავიწერე. ამიტომაც კარგახანი მედო ეს ლეგენდა „უბის წიგნაკში“ გამოუქვეყნებლად. საიდან მოიტანეო, ხომ მკითხავდა ხალხი. მუშნის გვარი არ ვიცოდი, ეს სახელი კი სვანეთში ვინ იცის, რამდენს ჰქვია. მერე გამოხდა ხანი და სწორედ ასეთივე ლეგენდა მიამბო ზუგდიდელმა ჯოტო კვირკველიამ და გადავწყვიტე, თქვენთვისაც მომეთხრო იგი. ლეგენდას უკვე აქვს არსებობის უფლება. მას ხელს აწერენ ჭუბერელი მუშნი და ზუგდიდელი ჯოტო კვირკველია.

ზაურ შიშია

24974

## ფრთხილად — ნევროზი

სამწუხაროდ, ჩვენში ნევროზით დაავადებულთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ეს იმიტომ ხდება, რომ სტრესების სამყაროში ვცხოვრობთ.

ბევრი რამ არის დამოკიდებული თავად ადამიანზე, პრობლემებთან შეჭიდების მის უნარზე. ნევროზით უპირატესად მშიშარა, მერყევი ბუნების ადამიანები ავადდებიან. ასეთი პიროვნებისათვის ზოგჯერ ერთი ამაღელვებელი მოვლენაც კი საკმარისი ხდება ნერვული მოშლილობის განვითარებისთვის. თუ ფსიქოლოგიური ტრავმა ძლიერია და ადამიანს არ შეუძლია დამოუკიდებლად გაუმკლავდეს განცდებსა და ტკივილებს, მაშინ ფორმირდება შინაგანი კონფლიქტი, რომელიც ნევროზის საფუძველი ხდება. არსებობენ ადამიანები, რომელთაც აქვთ წინასწარი განწყობა ნევროზული მდგომარეობის განვითარებისადმი, და ამ განწყობის საფუძველი ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ნივთიერებათა ცვლის თავისებურებებია.

ყველაზე ხშირი ნიშნები, რითაც ჩვენს ქვეყანაში პაციენტები ექიმ-ნევროლოგს აკითხავენ, არის შიშები, დეპრესიული და ნერვული მოშლილობები.

ნევროზით დაავადებული ბევრი ადამიანის მთავარი შეცდომა ის არის, რომ ისინი თავიანთ სენს განუკურნებლად მიიჩნევენ, რაც მცდარია. მთავარია, დროულად იქნეს დაწყებული მკურნალობა, რადგან ხანგრძლივი ნერვული დაძაბულობის შედეგად მთელი ორგანიზმის მდგომარეობა უარესდება. ვითარდება ე.წ. ფსიქოსომატური დაავადებები: ზიანდება კანი, კუჭ-ნაწლავის სისტემა, გული, შინაგანი ორგანოები. თუ ორგანიზმი უძილობის, თავის ტკივილის, მეხსიერების გაუარესების, მომატებული დაღლილობის სახით სიგნალს იძლევა, უნდა მიმართოთ ექიმს.

თანამედროვე მედიცინა წარმატებით უმკლავდება ნერვულ მოშლილობებს. მკურნალობის კურსი მოიცავს მედიკამენტურ და ფსიქოლოგიურ თერაპიას, რომელიც რამდენიმე თვე გრძელდება. თუმცა, შესაძლოა, თქვენი დაავადება, უბრალოდ გადაღლილობის შედეგი იყოს და მაშინ დასვენება და ფიზიოპროცედურებიც კი საკმარისი იქნება მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

როგორ დავიცვათ თავი?

მინიმუმამდე შეამცირეთ ალკოჰოლის მიღება.

ნუ მოსწევთ. მოძებნეთ საქმე, რომელიც სიამოვნებას განიჭებთ. ისწავლეთ დასვენება.

სპორტი შესანიშნავი ანტიდეპრესანტია, რომელიც თავისი ზემოქმედებით ქიმიურ პრეპარატებს უტოლდება. ამიტომ რეგულარულად გამონახეთ დრო მისთვის.

ერთი სიტყვით, გარე სამყაროს შეცვლა არ შეგვიძლია, მაგრამ საკუთარი თავის — კი.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ორიოდე თვის წინ დამირეკა ლია კაკაბაძემ და მითხრა, რომ საფო მგელაძეზე წერილის დაწერას აპირებდა. მესიამოვნა ცნობილი ჟურნალისტის ეს შემოთავაზება. დათქმულ დროს მივედი „საქართველოს ქალის“ რედაქციაში. მშვენივრად გამოიყურებოდა, კარგ განწყობაზეც იყო... ბევრი ვისაუბრეთ, წარსულიც მოვიგონეთ, სამომავლო გეგმებიც გამიზიარა: თავისი წერილების თავმოყრას და წიგნად გამოცემას აპირებდა. დავემშვიდობე... შემაჩერა და მითხრა: დაბეჭდვამდე წერილს აუცილებლად წაგაკითხებო.

სტატიის დაწერა შეაგვიანდა: მოულოდნელად საავადმყოფოში საოპერაციოდ დაწოლა მოუხდა. რამდენიმე დღეში შემეხმიანა და მითხრა, წერილი მზად მაქვს და იქნება სახლში მეწვიოო, თან დაამატა: თუ ამ დღეებში ვერ მოახერხებ გამოსვლას მერე გამოდი, ამითი ყველაფერი ხომ არ მთავრდებაო. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი სატელეფონო საუბარი. სამწუხაროდ, ეს გაზაფხულიც ბოლო აღმოჩნდა მისთვის.

უკვე რამდენჯერმე გადავიკითხე მისი წერილი, ყოველი წაკითხვისას ერთიდაიგივე კითხვა მაწვალებს: ამდენი ხნის შემდეგ რატომ გაიხსენა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ტრაგიკული ბედის მწერალი“ – საფო მგელაძე? სულიერ სიახლოვეს ხომ არ გრძნობდა მასთან? იქნებ ქვეცნობიერად გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას?..

ასეთია ლია კაკაბაძის უჩვეულო ვითარებაში დაწერილი ბოლო წერილის მოკლე და სევდიანი ისტორია.

იზოლდა ჩხარტიშვილი

# ლადო ასათიანს მისი წიგნი უბით დაჰქონდა

ის საფოა.

მის ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს გამოქვეყნებამდე დაეძებდნენ, იწერდნენ, კითხულობდნენ.

ეს იშვიათია.

... საქართველოში მე-20 საუკუნე შემოდიოდა და მოდიოდნენ გალაკტიონი, ტიციანი, იაშვილი, გრანელი, გრიშაშვილი, რობაქიძე ...

მოდიოდა საფო.

როგორ მოიფიქრა სკოლის მასწავლებელმა იოსებ გიგინეიშვილმა შვილისთვის საფო დაერქმია?!

ადრე ბერძნებს ჰყავდათ პოეტი საფო.

მერე ქართველებსაც ეყოლათ.

ლანჩხუთი. თვალისმომჭრელი ჯურუყვეთი, მუხებისა და ცაცხვების ხშირი ტყე. სპარსული სტილით ნაგები ორსართულიანი სახლი ტყის პირას. დიდი ტალანები, უფრო დიდი აივანი. ხუთი წლის გოგოს აივანზე დედა „ვეფხისტყაოსანს“ უკითხავს. ბავშვი სწავლობს „დედაენას“ და „ბუნების კარს“, რომ თვითონ წაიკითხოს „ვისრამიანი“.

სწავლა სოფლის ორკლასიანი სკოლით მთავრდება.

მერე?

ერთადერთ შვილს შინიდან არ უშვებენ. იგი თორმეტი წლისაა და მალე გათხოვებას უპირებენ. დაიწყეს სიარული მაჭანკლებმა. გოგონა მათ დანახვაზე გარბის, იოდიან შუშას იღებს და თუ სასწავლებლად არ წაიყვანენ, დალევას აპირებს. მეორე დღეს დედას ქუთაისში მიჰყავს.

ქალთა პანსიონი.

„თქვენ ნორჩი ნერგები ხართ და მე ისინი უნდა ვახარო“, – ეუბნება ახალმოსულებს პანსიონის დირექტორი ქალი.

„ნორჩი ნერგი“ მოეწონა საფოს. თავისით გაექცა ფურცელზე კალამი. პირველი ლექსი მეგობარს უძღვნა.

... ილია მოკლეს. საქართველოში გლოვაა. პანსიონის მოსწავლეები დარბაზში იკრიბებიან. გმობენ მკვლელობას. საფო ადის სცენაზე და ლექსად ყვება ამ ტრაგედიაზე. ტაშს უკრავენ. ეს მეორე ლექსია.

სინანულით ეთხოვება პანსიონს, ჩადის სოფელში და იწყებს მასწავლებლობას. ის მარტოა, სულ მარტო. მამა ბაქოში მუშაობს, დედა ოჯახში საქმიანობს. დადის ვრცელ ოთახებში და ადგილს ვერ პოულობს. გადის აივანზე, გასცქერის ტყეს და ოცნებობს. წარმოიდგენს როგორ ცხოვრობდნენ ტყის პირას გურიელები, ხედავს მათ ულამაზეს ასულს, გადმომდგარს სახლის მოაჯირზე, უფლისწულის მოლოდინში ღელვას რომ შეუპყრია. აი, მოაგელვებს თეთრ ცხენს შეყვარებული ჭაბუკი, იჩოქებს მზეთუნახავის წინაშე და ...

ოცნებებში ჩაძირული საფო თავადაც ელის სასურველ ჭაბუკს, რომელიც შესთავაზებს გულს და აღუთქვამს მარადიულ, წმინდა სიყვარულს. ის გულისსწორის მოლოდინშია.

მაგრამ მისი პირველი სიყვარული მაინც საქართველოა, სამშობლო, რომლისთვისაც მზად არის თავი გასწიროს. ამ სულისკვეთებით წერს ლექსს „საქართველო“ და ბეჭდავს ჟურნალ „სამშობლოში“ 1908 წელს „სოფიო გოგონას“ ფსევდონიმით.

1914 წელი. შემთხვევით ჩადის ნათესავთან ოზურგეთში. მეზობლად ცხოვრობს სიმპათიური მასწავლებელი, რომელსაც მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს. საფო იქ ნახულობს წიგნებს, რომელთა წაკითხვაზეც ოცნებობს. კითხულობს ხარბად, დღედაღამ და ჯურუყვეთი ავიწყდება. გადის დრო, ხანშიშესული მასწავლებელი ცოლობას თხოვს. თავადაც არ იცის, რა ემართება. 18 წლის საფო თანხმდება ცოლად გაჰყვეს 45 წლის მამაკაცს, რომელიც კეთილშობილია, მასზე ზრუნავს, სულიერი მეგობარია, მაგრამ უფლისწული არ არის. მართალია, მთელი ცხოვრება დაეძებს მზეჭაბუკს, მაგრამ ვლადიმერ მგელაძეს არასოდეს ღალატობს, დიდ პატივს ცემს და ორ გოგონას ჩუქნის.

ქმარი გრძნობს მის გატაცებას პოეზიით, სრულ თავისუფლებას აძლევს. ნებას რთავს, სამი თვით წავიდეს ქუთაისში და ლიტერატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



● საფო მგელაძე და მისი ქალიშვილი შუშანა მგელაძე

რულ სამყაროში იტრიალოს. მისი პირველი ვიზიტი გაზეთში „ხმა ქართველი ქალისა" წარმატებით მთავრდება. ეცნობა და უმეგობრდება რედაქტორს და მწერალს კატო მიქელაძეს, რომელიც აღფრთოვანებულია საფოს პოემა-ლეგენდით „ბახმარო" და მაშინვე ბეჭდავს გაზეთში. მათ შორის მეგობრობის ძაფები იბმება. მას შემდეგ ყოველი დაძაბებისთანავე კატო მიქელაძე საფოსთანაა და იფარავს განსაცდელისგან.

1918 წელი. მენშევიკები საქართველოს დამოუკიდებლობას აცხადებენ. საფო ბეჭდავს ლექსს „დამოუკიდებელი საქართველო".

1919 წელი. საფოს გრიპი ფილტვების ანთებაში გადასდის. მას თავზე ადგას კატო მიქელაძე და განკურნების შემდეგ მიჰყავს წაღვერში, როგორც თვითონ ამბობს: „მოვალეა გადაარჩინოს ტალანტი".

საფოს ლექსები სისტემატურად იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. მას იცნობენ, ეთაყვანებიან. ამ დროს კი ოზურგეთში, მათ ოჯახში „ისპანკა" შედის. და კვლავ კატოა საფოს გადამრჩენელი. პრობლემა ისევ ფილტვებია, აუცილებელია ჰაერზე გასვლა. ოჯახი უფულოა. კატო შოულობს სახსრებს და გაჰყავს პოეტესა სოხუმში, ბახმაროზე, აბასთუმანში, გადარჩა, ანუ გადაარჩინეს.

საფო ოცნებობს თბილისზე, ხელოვნების სასახლეზე, იქ მოწყობილ ლიტერატურულ საღამოებზე, დიდ მწერლებთან შეხვედრაზე. კატო მიქელაძე მას უთმობს თბილისის ბინას და საფო შვილებთან ერთად ჩამოდის თბილისში.

აქ სულ სხვა სამყაროა, ცხოვრობს რუსთაველზე, თეატრის გვერდით, ესწრება სპექტაკლებს, მორიდებით, მაგრამ მაინც შედის ხელოვნების (იგივე მწერალთა) სასახლეში და უსმენს კორიფეებს. თუმც ჯერ მაინც ჩრდილში დგას ... შინ დაბრუნებულს არ ავიწყდება ოცნება უფლისწულზე და წერს სასიყვარულო ლექსებს, რომლებშიც მხოლოდ კდემაა ... ელის მეგობარს, რომელიც მაშში მხოლოდ ქალს არ დაინახავს. „შენს შავ თვალებში ჟინიანობს ლამაზი მხეცი, მე კი მეგობარს, გესმის, კარგო, მეგობარს ვუცდი".

მას „სიყვარულის წიგნის საყვარელ ოსტატს" უწოდებენ და მის ლექსებს ხელით იწერენ. „იებს ამბორიც გამოჰყვა თანა, ამაზე მეტი პოეტ ქალს რა მაქვს! ხელზე მაკოცე და იმ დღის შემდეგ, მგონია ცეცხლი თითებით დამაქვს".

საფო უკვე თამამად კითხულობს ლექსებს ხელოვნების სასახლეში. მას ლექსს უქებენ, უბეჭდავენ, ეფერებიან.

ახალგაზრდობა ცოცხლობს მისი ლექსებით. შეყვარებულები ერთმანეთს მისი სტრიქონებით ესაუბრებიან. „არასდროს შენს წინ თავს არ დავხრი, არ ავენთები, მაგრამ შორს შენგან შემიძლია, რომ მოვკვდე შენთვის".

პოეტები უკვე თვლიან, რომ მათ საუფლოში შემოვიდა ქალი, რომელსაც სულ განსხვავებული ხმა აქვს რჩეულთა შორის.

„სიყვარულის წიგნის საყვარელი ოსტატი" ახლა უკვე თავის ბინაში, მთაწმინდის ძირას ცხოვრობს. სამსართულიან დაბალჭერიან ძველ სახლში ზაფხულში უჰაერობა და სიცხე ახრჩობს, ზამთარში — სამარისებური სიცივე. იგი მარტოა, ბავშვობიდან ვერ იშორებს მარტოობის მწველ გრძნობას და ეძებს მეგობარს, რომელიც გაართობს, გაანებივრებს, ასეთი კი მისი ქმარია, რადგან იგი არ ჰგავს იმ ახალგაზრდებს, მხოლოდ ვნება რომ ამოძრავებთ. „ღონემიხდილი მოვედი შენთან, გულზე დავადე დაღლილი თავი, გითხარ: მსურს დავრჩე მხოლოდ შენ ერთთან, ზღვის ნაპრალებში დამემსხვრა ნავი..." ქმრის გვერდით თანდათანობით იფერფლება საფოს ახალგაზრდობა.

ხელოვნების თეთრი სასახლე მისი ნავსაყუდელია. საფო ყოველდღე იქ აფარებს თავს. აქ საუბარია ლიტერატურაზე, მწერლის ხელოვნებაზე ... საფო ახლა უკვე კითხულობს საკუთარ პროზას და სულგანაბულები ისმენენ თავებს „ლიანა ლორდიადან". ზოგი მწერალი პირუთვნელად ეუბნება, რომ საფო პროზისთვის არის დაბადებული: „ეს ხომ პოეტური პროზაა?!" ზოგიც თავს იკავებს და საფო ატყობს, თავშეკავებას რომ შური ამოძრავებს. საფო ხედავს დაპირისპირებას მწერლებს შორის, ინტრიგებს, ესმის ზურგს უკან ქილიკი, ზიზღით მძიმე გულით ტოვებს სასახლეს და ბრუნდება შინ — გაყინულ ბინაში, სადაც ვერაფერი გაათბობს ერთი თბილი სიტყვის გარდა. თავს იმშვიდებს, რომ მას აფასებენ მკითხველები და სულმოუთქმელი ელოდებიან მის ახალ წარმატებებს გაზეთ „ტრიბუნაში", „ლომისში", „თეატრსა და ცხოვრებაში", „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში", „ჩვენ გზაში" (ქალთა ჟურნალში, რომელიც „საქართველოს ქალის" წინამორბედია).

რომანი „ლიანა ლორდია" დიდხანს მოგზაურობს მწერალთა კავშირიდან მთავლიტში, იქიდან სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, მწერალთა ოჯახებში და ელის თანხმობას დასაბეჭდად. ამ განაჩენს მწერალი 8 წელი უცდის. სანამ წიგნად გამოვა, ხალხი მას ხელით იწერს და ავრცელებს. საბოლოოდ რომანი დაიბეჭდა და მას მოწონებით ხვდებიან.

დავით კასრაძე: „ახალგაზრდობაში ჟორჟ სანდს ვკითხულობდი, მაგრამ მისი წიგნებიც ვერ ახდენდნენ ჩემზე ასეთ დიდ შთაბეჭდილებას. აქ ისე ბუნებრივად მოჩუხჩუხებს აზრი და გრძნობა ... თქვენ უნდა იმუშაოთ ამ მიმართულებით, პროზაზე".

ახალგაზრდა გიორგი ჯიბლაძე საფოს ქართველ ჟორჟ სანდს უწოდებს და ყვება, როგორ კითხულობდნენ მისი სტუდენტები ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში „ლიანა ლორდიას" ხელნაწერში. ლადო ასათიანი კი, პირველი კურსის სტუდენტი, საფოს წერს, რომ უბით დააქვს მისი „ლიანა ლორდია".

ვუკოლ ბერიძე: „წიგნი ძალიან კარგია. თუ აიღებთ, ვერ დადებთ".

გრიშაშვილის ოჯახში ფინჯან ჩაიზე სოსო და მარიჯანი თავს ევლებიან საფოს. სოსო ხუმრობს, რომ საფო გაურბის ვნებაზე ლაპარაკს: „სად საფო და სად სიყვარულზე წერა?"

1925 წელი. ბახმაროზე საფო ამთავრებს მეორე რომანს „ქარიშხლის ფრთებზე", წიგნად გამოცემამდე იგი ცდილობს, დაბეჭდოს თავები ჟურნალში. აქაც უწევს ლოდინი. რვაწლიანი ბრძოლის შემდეგ რომანს დაბეჭდვა ეღირსა.

„შენმა წიგნმა გუშინ მთელი დღე სახლში დამსვა, კარგი რომანია",— ეუბნება სიმონ ჩიქოვანი.

მესამე რომანის „გზა და გზას" წერას საფო 1929 წელს იწყებს და 1930 წელს ამთავრებს. მეგობრები ეუბნებიან, რომ იგი ყველაზე საუკეთესოა. საფოს გული წყდება, რომ მთელ ცხოვრებას მწერლობას სწირავს და შვილებზე ზრუნვაში ხელი ეშლება. თავის ლექსებში ამის გამო პატიებას თხოვს გოგონებს. მართალია, კარგი დედაა, დადის სასწავლებელში, ესაუბრება მათ მასწავლებლებს, განსაკუთრებით კონსტანტინე გამსახურდიას, რომელიც შუშანას გერმანულს ასწავლის, ბაბო მჭედლიძეს, რომელიც შუშანას უკვე პოეტად თვლის. მაგრამ საფოს პირველი შვილები მაინც ლექსები, პოემები და რომანებია.

...ტრაგიკული ბედი დაჰყვა მწერალ ქალს. მეოცე საუკუნის 20-

ბიბლიოთეკა

30-იანი წლები მძიმე გადასატანია მისთვის. თავის ამ გულისტკივილს იგი ლადო ასათიანისადმი მიწერილ წერილში გამოხატავს: „ეპოქის მარწუხი არავის ისე არ უჭერს ყელში, როგორც მწერალს. ის გვაძლევს ჩვენ თემებს და იდეებს. არ მიიღებ? ისე გაგსრესს, როგორც ჭიას. ვინა ვარ მე დღეს? ხელოსანი, რომელიც დაკვეთებს ღებულობს, სად არის ხელოვანი? საღათას ძილით სძინავს. თქვენ გგონიათ ადვილია ასე მუშაობა?"

მას ყოველი დღე ახალ განსაცდელს უმზადებს. კვლავ ტრიალებს გულგრილობის კარუსელი, ყელში უჭერს ცენზურის ხელები: ეუბნებიან, რომ მესამე რომანი „გზა და გზა" მშვენიერია, მაგრამ დაბეჭდვამდე უნდა დაიცადოს. ამის მოსმენის შემდეგ დღიური ახალი ფურცლით ივსება:

„მე მოვდივარ გზაზე დაღლილი, უიმედო, უსიხარულო და ვგრძნობ, აღარ შემიძლია წინსვლა, ვგრძნობ, რომ უნდა დავჯდე სადმე თუნდაც ქუჩაში..."

— დაიღალე, გოგონი? — ეკითხება თეთრწვერა მეკურტნე და ის ღონემიხდილი ჯდება იქვე, მიგდებულ კურტანზე. სახეზე იმდენი მწუხარება აქვს, რომ მეკურტნე თანაგრძნობით უყურებს.

„აქ უფრო კეთილი ადამიანები ყოფილან", — ფიქრობს საფო და მეკურტნეებს მადლობას უხდის.

ერთხელ იმედგაცრუებული ბრუნდება შინ. მის წინ ტრამვაი მირიხინებს. ახსენდება ანა კარენინა და საკმარისია ერთი ნაბიჯი გადადგას, რომ მისი ბედი გაიზიაროს. თავშეკავება ნებისყოფის ფასად უჯდება.

„აი, ათი წლის წინათ დაწერილი ლექსები, ოთხი წლის წინათ დაწერილი მოთხრობები და ჩემი უკანასკნელი რომანი „გზადაგზა". როგორ დაიწერა ეს წიგნები? ტანჯვაში, მარტოობაში, აურზაურში, სიცხეში, ყინვაში. რამდენჯერ ვმჯდარვარ მე ამ მაგიდის წინ გათოშილი ხელებით, გაყინული სახსრებით, ათრთოლებული ხან განცდით, ხან ოცნებით და ხან სინამდვილით. მე ვმუშაობდი, მე ვიბრძოდი, მე ვიტანჯებოდი და დავიღალე", — წერს ის დღიურში, მერე დგება, გადის მეორე ოთახში, ჩუმად იღებს კარბოლის მჟავას, ჩუმადვე თხოვს პატიებას დედას, რომელსაც მუხლზე საკერავი უდევს, ბრუნდება თავის ოთახში, რომ შესვას საწამლავი და ამ დროს შემორბის უფროსი შვილი შუშანა, კოცნის დედას შუბლზე, თვალებში, კისერში, არის მხიარული და გაზაფხულივით ლამაზი. საფო ასწრებს შხამის დამალვას და ეკითხება თავისთავს: „არ ვიცი, რომელი უფრო ძლიერად მიყვარს — პოეზია თუ ჩემი შვილი".

...მეორე დღეს ის მიდის ხელოვნების სასახლეში და კვლავ საბრძოლველადაა განწყობილი. მწერალთა ყრილობაა და სიტყვით უნდა გამოვიდეს, დაიცვას მწერალ ქალთა უფლებები. ამას ელოდებიან მისი ქალი კოლეგები, ამას ელოდება უყურადღებოდ მიტოვებული 85 წლის მწერალი ეკატერინე გაბაშვილი.

...და საფო ლაპარაკობს დამაჯერებლად, ფაქტების მოშველიებით, არცხვენს ვაჟბატონებს, რომლებსაც მხოლოდ საკუთარ მწერლობაზე აქვთ პრეტენზია და ბევრსაც არაფერს წარმოადგენენ, სარგებლობენ უფლებებით და ხელს უშლიან შემოქმედ ქალებს. სიტყვას რამდენჯერმე ტაშით აწყვეტინებენ. სიტყვის დამთავრებისთანავე მიდიან მასთან და ხელს ართმევენ.

„თქვენ ისტორიული სიტყვა თქვით",— ეუბნება ტიციანი.

„კარგი სიტყვაა",— უმატებს გიორგი ლეონიძე.

...„ღამის ორ საათზე მე გამოვედი ხელოვნების სასახლიდან, მივდივარ და მიმაქვს გულით დიდი რწმენა, დიდი სიხარული და სიყვარული იმ ადამიანებისა, რომლებიც გვერდში მიდგანან". საფო ლექსებით აჯილდოებს მათ.

ტერენტი გრანელს და ალიო მაშაშვილს:

„ორნი მოხვედით ჩემს სანახავად, ორნი მოხვედით პოეტურ გრძნობით, ვიყავი ცუდად, ვიყავი ავად და მწვავდა სევდა ამოუცნობი".

და კვლავ ტერენტის: „გამზირზე გავლილს გაცილებენ ჭადრები ტაშით, იქნებ ლექსებმა შენ როდესმე გადაგარჩინონ!"

გალაკტიონს: „ეს ოვაცია, ეს სიყვარული, შენ, გალაკტიონ დაიმსახურე!"

პაოლო იაშვილს: „გაქვს ნადირობის დიდი ტრფიალი და ქართველური იერი გახლავს".

იოსებ გრიშაშვილს: „აფრქვევს იუმორს გრიშაშვილი, მაგრამ დღეს მასში ცუღლუტურ ღიმილს ჯენტლმენური მანერა ფარავს".

შალვა დადიანს: „გონებით მტკიცევ, გრძნობით ნაზო, გულით ნათელო, შენს ღრმა თვალებში სევდიანი ჩანს საქართველო".

მაგრამ სულ სხვა გრძნობითა და აღტაცებით უძღვნის ლექსს გრიგოლ რობაქიძეს, კაცს, რომელიც მწერალთა კავშირში სულ სხვაგვარად ბრწყინავს, მისი სიტყვა კი ელვარეა, სწორუპოვარი: „ადექ... სიტყვები აელვარდა, დატყდა, დაცვივდა, შენ მეფე იყავ ხალხთა შორის, შენ ... ღმერთებს ჰგავდი".

საფო შეყვარებულია მასზე, ემონება მის გონებას, ღიმილს, სულს, გრძნობას, ის სატრფოა, რომელსაც ამდენი ხანია ელის: „და ვიცი ახლა, ვინ მიყვარდეს, ავტირდე ვისზე!". გრძნობს, რომ ცამ აჩუქა მისი სული სათანამგზავროდ, განიცდის, რომ დააგვიანა: „ცამ ჩემთვის შეგქმნა და შენ, კარგო, რადა ხარ ... სხვისი?!"

...დიდი განცდებისა და სიყვარულის პოეტი საფო დაღლილია ბედთან ჭიდილით,. ხელოვნების თეთრი სასახლით, რომელიც კიდეც უყვარს და რომელიც ნელნელა ასამარებს: „ამ სასახლეში რამდენი რამ გადამხდენია, უიმედობით განწირულს და ბრძოლებით დაღლილს".

...ახლა ხშირად წევს და სიცხეს ებრძვის. ოჯახის ერთადერთ მარჩენალს ცხოვრება უჭირს. მთავრობამ დამსახურებისათვის 36 წლის ასაკში პენსია დაუნიშნა, მაგრამ თავი ვერ გააქვს. მის ფილტვებს მოვლა სჭირდება, ვინ იცის მერამდენედ მიდის მოხუცი მამა მწერალთა კავშირში, შეპირებული დახმარების — 100 მანეთის ასაღებად! ბოლოს იმედგაცრუებული ბრუნდება — ფული არ გვაქვსო.

საფოს ჰაერი სჭირდება. ისღა დარჩენია, წამოდგეს, ჩაალაგოს თავისი წიგნები და განერიდოს თბილისს. ამ წიგნებით უნდა იცხოვროს აგარაკზე. სხვა გამოსავალი არაა.

და მოვიდა სექტემბერიც, მისი საყვარელი შემოდგომა, მასავით მოწყენილი და დარდიანი: „სულის სიღრმეში შორეული ატირდა დარდი, კვდება ღიმილი ჩემს სახეზე უკანასკნელი, ცვივა ფოთლები, ცვდება მდელო, ჩამოჭკნა ვარდი, სექტემბრის დღეა უფერული, ცივი და ბნელი".

იგი ორმოცი წლისაა და სიკვდილის მოახლოებას გრძნობს. მას ყურადღებას არ აკლებენ ახალგაზრდა მეგობარი მწერლები — დ. ბენაშვილი, გ. ნატროშვილი, გ. შატბერაშვილი, ალ. გომიაშვილი, ირ. აბაშიძე.

„ხიდან მოწყვეტილ ფოთოლს გრიგალი ატრიალებს. მეც ასე მაბრუნებს ბედის გრიგალი და აღარაფერი აღარ მწამს, გარდა სიკვდილისა..." — ეუბნება მათ საფო.

1936 წელი. ეს ბოლო შემოდგომაა მის ცხოვრებაში და იწერება ბოლო სტრიქონები მის დღიურში: „მარტო ვარ და დავრჩები მარტო ჩემს დიდ ტანჯვასთან, დიდ იდეებთან, დიდ ბრძოლებთან, ჩემს დაუწერელ წიგნებთან, რომელთა სიუჟეტები ყოველდღიურად მოდის ჩემთან, მაგრამ დაიწერება თუ არა, ეს კი არ ვიცი; ახალი წიგნები, ახალი იდეები მაინც არ მტოვებს მე, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლე იფერფლება..." ...თუმც სიკვდილის არ ეშინია, რადგან „ვინც იწვოდა ბავშვობიდან პოეზიისთვის, არამც თუ სევდა, მას სიკვდილიც ვერ შეაშინებს"... „მე მთელი ჩემი სიხარული, სიცოცხლე, ვნება, შევწირე წიგნებს და ლექსებში რითმებად დავწვი".

დაობლდა იმ დღეს ქართული მწერლობა ერთი უმშვენიერესი მწერლის სიკვდილით. მისმა მეგობარმა მარიჯანმა, ალბათ, ყველა ქართველის წუხილი გამოხატა თავისი ლექსით: "დღეს გაბუტული ბავშვის დარად ჩამოგვეცალე და შენს გარშემო მოიფინა სიტყვა იებად, ვერ გაპატიებ ნაადრევად დახუჭულ თვალებს, ამ მზიან დღეში სიკვდილი არ გეპატიება."

...გავიდა დრო. 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს მძიმე დღეები დაუდგა. ტანკებმა ჩვენი გოგონები გადათელეს რუსთაველზე, სადაც იმავე დღეს ჭადრის ხეებზე გამოაკრეს მისი ლექსის სტრიქონები: „ჩემი ერი ამაყია და ის მონა არ გახდება, თუ აქამდე არ მომკვდარა, მომავალშიც არ მოკვდება. მწამს მსოფლიო ასპარეზზე ის გაიტანს ზღაპრულ ლელოს და კვლავ ვნახავთ მკვდრეთით აღმდგარ, გამარჯვებულ საქართველოს".

ეს ლექსი მწერალმა 1917 წელს დაწერა, მაგრამ დაბეჭდვა არ ეღირსა. მხოლოდ 9 აპრილის შემდეგ გამოაქვეყნა გაზეთმა „წიგნის სამყარომ" საფოს „საქართველო", ხალხმა კი 9 აპრილსვე დაიზეპირა და... საფო „გაცოცხლდა"...

მწერალი მანამ ცოცხლობს, სანამ მისი თუნდაც ერთი ლექსი მაინც იკითხება. საფოს ყველა ლექსი სულმოუთქმელად იკითხება.

საფო მანამ იცოცხლებს, სანამ მთაწმინდის ძირას, ძველ სახლში 80 წელს გადაცილებული მისი შვილი, მწერალი შუშანა მგელაძე დღეგრძელობს, სანამ ჯანმრთელადაა მეორე შვილი ნინო მგელაძე, დამსახურებული ექიმი, დოქტორი, სანამ მრავლდებიან შვილთაშვილები...

საფო მანამ ცოცხლობს, სანამ რუსთაველზე სიარული შეიძლება...
მშვენიერი საფო დღესაც მოდის რუსთაველზე ...

ლია კაკაბაძე

# მზე შინა



თუ გსურთ, ბავშვებს მოუწყოთ დაუვიწყარი დღესასწაული, მაშინ ეწვიეთ საბავშვო-სადღესასწაულო ცენტრს – „მზე შინა“.

აქ ყველაფერი ქართულ ტრადიციებზე შეყვარებული ადამიანების დაუვიწყარი შრომისა და დიდი მონდომების შედეგად შეიქმნა. აქვე ფუნქციონირებს სასწავლო-შემოქმედებითი საყმაწვილო სტუდია, რომელიც მომავალი თაობის ესთეტიკურ აღზრდაზე, სულიერ გამდიდრებასა და ძველი ტრადიციების მოზარდებამდე მიტანაზე ზრუნავს. ამაში კი დიდი წვლილი ფილოლოგიის მეცნიერების კანდიდატს ნანა ხოჭოლავას მიუძღვის, რომელიც დიდი ენთუზიაზმით ზრუნავს მომავალი თაობის სულის გაფაქიზებისა და ცოდნის ამაღლებისათვის.

ქალბატონი ნანა თავიდანვე აქტიური ბავშვი ყოფილა. სხვებთან ერთად ატარებდა პოეზიის საღამოებს, სხვადასხვა ღონისძიებებს. მისი მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. 12 წლისა არტეკის საგზურითაც კი დააჯილდოვეს, შემდეგ კი იმყოფებოდა ესტონეთის ახლოს მდებარე პიონერთა საერთაშორისო ბანაკში.

სიამოვნებით იხსენებს ბავშვობის წლებს, თუმცა თვლის, რომ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება სკოლის დამთავრების შემდეგ მოხდა, როცა ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. არაჩვეულებრივი სპეციალისტები უკითხავდნენ ლექციებს. მაშინდელი ფრაზები, შეგონებები დღესაც ეხმარება ცხოვრებაში. მისთვის განუმეორებელი იყო სასწავლო ექსპედიციები. მაშინ ვიგრძენი საქართველო რეალურად როგორც ჩემი ქვეყანა, ბევრი კარგი მასალაც მოვიპოვე და შესანიშნავი მეგობრებიც შევიძინე – აღნიშნავს ქალბატონი ნანა. რუსთაველის სახელობის სტიპენდიანტი, ხშირად მონაწილეობდა სტუდენტურ-სამეცნიერო კონფერენციებში, სტუდენტურ დღეებზე. ჩუმად ისმენდა აკაკი ბაქრაძის ლექციებს ეროვნულ თემებზე. ძველ ქართულ ენას ივანე იმნაიშვილი ასწავლიდათ და ყოველ ლექციას მამაო ჩვენოთი იწყებდნენ, აქ კარგი ენობრივი ფორმებიაო. იგი სტუდენტებს სახარებასაც ვითომ მხოლოდ ენობრივი თვალსაზრისით აკითხებდა... რწმენაში ღრმად სტუდენტობის დროს შევედი და უამრავი ეკლესია-მონასტერი მოვინახულე. მაშინ რომ გამოკეტილი ტაძრები იყო, ახლა იქ წირვა-ლოცვაა და ძალიან მიხარიაო, – ამბობს ქალბატონი ნანა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში, მოგვიანებით არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მუშაობდა, მაშინ როცა ჩქეფდა სამეცნიერო საქმიანობა.

ქალბატონი ნანა შემდეგ პიონერთა სასახლეში, ქართული ენის კაბინეტში მუშაობდა. ცდილობდა, ბავშვებისათვის დადებითი მუხტი მიეწოდებინა. ეს ის წლები იყო, როცა ყველა მხრიდან ისმოდა ცუდი, იყო სიცივე, სიბნელე. მოზარდები სტრესულ მდგომარეობაში იზრდებოდნენ: ასეთ დროს ძალზედ მნიშვნელოვანი გახლდათ მათთვის სახალისო მეთოდებით მიეწოდებინა ცოდნა, რასაც აზერხებდა კიდეც. სამწუხაროდ, მიუხედავად მშობლებისა და ბავშვების დიდი სურვილისა, მას აღარ მიეცა საშუალება მაშინდელ პიონერთა სასახლეში მუშაობის გაგრძელებისა. აღარც კი იცოდა, სად წასულიყო.



ბევრი არ უფიქრია, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, 2000 წელს შექმნა საყმაწვილო-შემოქმედებითი სტუდია „ადგილის დედა“. მათი მიზანი იმთავითვე გახლდათ მოსწავლეთა კლასგარეშე ცხოვრებისა და საქმიანობის მიზანმიმართულად, სახალისოდ წარმართვა, ქართული ხალხური შემოქმედების, ტრადიციების, ყოფის გაცნობა, შესწავლა, მის დაცვასა და აღდგენაზე ზრუნვა, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა. აქ დღესაც ისწავლება მუსიკალური ფოლკლორი, ხალხური თამაშობანი და კულინარია. სახვითი ხელოვნება, ხატვა-ანიმაცია, კინო, კლასიკური მუსიკა, თეატრი. ქართული ხალხური ცეკვა, ხალხური რეწვა და გამოყენებითი ხელოვნება. მოგვიანებით შეიქმნა ცეკვის, ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის წრე უფროსებისათვის. „ადგილის დედის“ მიზანი იყო და არის ბავშვების დარწმუნება იმაში, რომ ჩვენ ღირებული კულტურის მემკვიდრეები ვართ და ამ კულტურის გაღრმავების თანამონაწილენიც უნდა ვიყოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მხარდაჭერაც აქვთ, მაინც გაუჭირდათ ფინანსურად და გადაწყდა, შექმნილიყო ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრი „მზე შინა“, სადაც ყველაფერი ქართულია, მუსიკაც, დარბაზის მორთულობაც, რომელსაც ქალბატონი ნანას მიერ შექმნილი ქართული თოჯინები, სხვადასხვა ეთნოგრაფიული ნივთები, ბავშვების მიერ გაკეთებული ბევრი საინტერესო რამ ამშვენებს. კერძებიც ქართულია და მშობლებიცა და ბავშვებიც ძალიან კმაყოფილები ტოვებენ ცენტრს.

ქალბატონ ნანასთან ერთად ბავშვებს ამ ცენტრში სასიამოვნო, ქართულ გარემოს უქმნიან თანამშრომლები: ქეთევან დადიანი, ხათუნა მარუაშვილი, ლელა სახოკია, ნანა ხუსკივაძე, ალეკო გაბედავა.

ასევე ხშირად ეწყობა ქართული ხალხური რიტუალებით დამშვენებული ჯვრისწერა, ქორწილი. დღემდე ემოციების გარეშე ვერ საუბრობს ფრანგ სიძესა და ქართველ პატარძალზე, როცა სიძემ ჩოხის ჩაცმაც მოისურვა და საგანგებოდ ქართული ცეკვაც შეისწავლა. ჯვრისწერის შემდეგ კი ანჩისხატის ტაძრის ეზოში ქართული ადათ-წესებით ჩაატარეს სანახაობა-რიტუალი. ანდა მეორე შემთხვევა, როცა გოგო იყო აფხაზი, ბიჭი ქართველი და მსგავსი ღონისძიება ნარიყალას ტაძარში მოეწყო, სადაც აფხაზეთიდან და რუსეთიდანაც იყვნენ ჩამოსულები ნათესავები. მათ სიხარულს ენაცვლებოდა სევდა. აღიარებდნენ, რომ ძალიან მონატრებიათ ნამდვილი, ქართულ-აფხაზური ქორწილი, მონატრებიათ მათი ფესვები...

გლობალიზაციის ეპოქაში, როცა ერები ცდილობენ თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად გარკვეული გზებისა და ხერხების მოძიებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ტრადიციების პოპულარიზაციას.

მიუხედავად მრავალი სირთულისა, მზე შინ მაინც შემოდის და ბედნიერი გოგო-ბიჭები, ჩვენი ხვალინდელი დღე, ძველებურად განაგრძობენ მოლხენას, მშობლიური ქართული ენის ფერადი, გონიერი, მაგრამ „მიძინებული“ სიტყვებით მეტყველებას.

ნინო ზერაგია

# ონისე ონიანი თეატრს და ოჯახს ერთმანეთთან აიგივებს

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს, ონისე ონიანს მაყურებელი არა მარტო მშობლიური თეატრის, არამედ თეატრალური სარდაფის, კინომსახიობთა და სამეფო უბნის თეატრების, აგრეთვე, ერთი მსახიობის თეატრის – „ვერიკოს"-ს სცენიდანაც იცნობს. მისი ყველა როლი მკვეთრი ინდივიდუალობითა და ორიგინალური ხელწერით გამოირჩევა.

ნიჭიერ ხელოვანს თეატრის გარეშე ცხოვრება ვერც კი წარმოუდგენია. მეტიც, თეატრს და ოჯახს ერთმანეთთან აიგივებს და ამბობს: „თეატრი რომ არ მქონოდა, ოჯახი არ მექნებოდაო" (ვერაფერს იტყვი, მრავლისმეტყველი ნათქვამია)...

ჰყავს მშვენიერი მეუღლე – თათია კაკაბაძე და ორი გოგონა: თორმეტი წლის ლილე და ხუთი წლის ტასო.



**– ონისე, დროებით ბავშვობაში რომ დაგაბრუნათ, პროფესიით ისევ მსახიობობას აირჩევდით?**

– ალბათ, კი... თუმცა, ბავშვობაში მსახიობობაზე არ მიფიქრია, უფრო სიმღერით ვიყავი გატაცებული და წლების განმავლობაში ვმღეროდი კიდეც საბავშვო საესტრადო და ხალხურ სიმღერებს ანსამბლ „ალიონში" (ქუთაისში). მსახიობობა მოგვიანებით, ცოტა რომ წამოვიზარდე, მერე გადავწყვიტე, იმდენად დიდი იყო ეს სურვილი, რომ, სკოლა დავამთავრე თუ არა, მაშინვე ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრში სცენის მუშად დავიწყე მუშაობა, მინდოდა გამეგო, რა ხდებოდა იქ, როგორი იყო თეატრალური ცხოვრება... სხვათა შორის, მამაჩემს (ონისე შემოქმედი ხალხის ოჯახში დაიბადა: დედა მუსიკოსია, მამა თავის დროზე ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლში მღეროდა – თ.ო) არ უნდოდა, რომ მსახიობი გავმხდარიყავი. ალბათ, ფიქრობდა, რა არის ამაში საინტერესო და მირჩევდა საფინანსო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩამებარებინა. იქ რა უნდა გამეკეთებინა? ავიღე ჩანთა, ჩავალაგე ყველაფერი, რაც მჭირდებოდა, მარტო წამოველი თბილისში და საბუთები თეატრალურ უნივერსიტეტში შევიტანე. მახსოვს, გამოცდები ფაქტობრივად უკვე ჩაბარებული მქონდა, როცა ერთ დღეს ინსტიტუტში მამაჩემმა შემოიარა. ფოიეში ვსაუბრობდით. ჩვენს შორიახლოს გოგონები იდგნენ. ცოტა ხანში ერთ-ერთი მათგანი მოგვიახლოვდა და „ასანთი ხომ არ გექნებათო?" – გვკითხა. მამაჩემმა გადახედა ამ გოგოს და „აქ გინდა, რომ ჩააბარო?!" – მითხრა, ვითომ ამით მე რამე მაკლდებოდა (იცინის)... „კარგი რა, მამა, თავი დამანებე, მე ჩემს გზას ვიპოვი-მეთქი" – ვუპასუხე და...

**– და იპოვე, ანუ მიიღე ყველაფერი, რასაც ამ პროფესიისგან ელოდებოდი, – გამართლდა შენი მოლოდინი?**

– კი, გამართლდა... რუსთაველის თეატრი ძალიან მიყვარს, მაგრამ მარჯანიშვილის თეატრის მიმართ ყოველთვის რაღაც განსაკუთრებული განცდა მქონდა. ჩემი ოცნება იყო, ამ თეატრში მემუშავა, თუმცა ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე მართლაც მოვხვდებოდი აქ და უდიდესი მსახიობების გვერდით მომიწევდა თამაში. მოხდა ისე, რომ იმ პერიოდში, როდესაც სცენის მუშად ვმუშაობდი, ქუთაისში გასტროლით ჩამოვიდა მარჯანიშვილის თეატრი. წინა დღეებში მთელი ღამეები არ მეძინა, სულ იმაზე ვფიქრობდი, როდის ჩამოვლენ, ამ ხალხს ცოცხლად როდის ვნახავ-მეთქი. ჩამოვიდნენ და უნდა გენახათ, როგორი გაფართოებული თვალებით შევცქეროდი ყველას. ქუთაისის თეატრს ულამაზესი ეზო აქვს, მაგნოლიის ხეებით სავსე. ვხედავ, მსახიობები ეზოში გამოვიდნენ, ბატონი თენგიზ არჩვაძე ერთ-ერთი მაგნოლიის ხის ქვეშ ჩამოჯდა, მას სხვებმაც მიბაძეს, ერთი ადგილი დარჩა თავისუფალი და რატომღაც გადავწყვიტე, რომ მივსულიყავი და მათთან დავმჯდარიყავი. ვერ გეტყვით, როგორ გავბედე, მაგრამ იმდენად დიდი იყო ამ ხალხთან ურთიერთობის სურვილი, რომ წავედი და პირდაპირ თენგიზ არჩვაძის გვერდით დავჯექი. რამდენიმე წუთში თანამშრომელმა დამიძახა: „სად დაჯექი, ბიჭო, სირცხვილი არ არის, ამხელა ხალხი არიანო". „არ ვიცი, ალბათ-მეთქი" – რაღაცნაირად გავიმართლე თავი და მაშინ აქ დამთავრდა ყველაფერი. იცით, რატომ გავუსვი ამ მომენტს ხაზი? იმიტომ, რომ ეს უკვე იყო იმ სურვილისა და მოლოდინის გამართლების რაღაც ეტაპი, რისკენაც ასე ძლიერ მივილტვოდი. შემდეგ, როგორც უკვე გითხარით, სრულიად დამოუკიდებლად, ყოველგვარი მომზადებისა და ვინმეს დახმარების გარეშე ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მე თვითონვე მივედი მარჯანიშვილის თეატრში. მივედი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... სულ რაღაც დაპირებებით მისტუმრებდნენ. ბოლოს, მერვე მისვლაზე მიმიღეს (როგორც ჩანს, დავღალე ეს ხალხი) და მაშინვე დამაკავეს სპექტაკლში. „ხვალ რეპეტიციაზე მოხვალო" – მითხრა ქალბატონმა მედეა კუჭუხიძემ, რომელიც მაშინ პოლიკარპე კაკაბაძის პიესას „პორტოპოლოს ტუსაღებს" დგამდა. ეს იყო ჩემი პირველი სპექტაკლი ამ თეატრში. ერთ-ერთი რევოლუციონერის როლს ვთამაშობდი, რომელიც შემართებით ედგა გვერდით მთავარ გმირს – პედროს. მახსოვს, გრძელი შინელი მეცვა და, ალბათ, სასაცილო დასანახიც ვიყავი. სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი – კარგ ხელზე გადმომცა ეს ათსიტყვიანი როლი ქალბატონმა მედეამ...

**– მას შემდეგ არაერთი როლი ითამაშეთ როგორც მარჯანიშვილის, ისე სხვა თეატრების სცენაზე...**

– კი, დღეს მსახიობები ჩაკეტილები აღარ ვართ...

**– რას გაძლევთ ეს თავისუფლება?**

– ძალიან დიდ გამოცდილებას და საკუთარი თავის უკეთ რეალიზების საშუალებას... არც ერთმა მსახიობმა არ თქვას, რაღაც მომენტში კომპლექსი არ მაქვსო. კომპლექსი ყველას აქვს, სხვა საკითხია, შეიმჩნევ ამას თუ არ შეიმჩნევ. სხვადასხვა თეატრის მსახიობებთან ურთიერთობა უფრო გახსნილს გხდის, ბარიერის დაძლევაში გეხმარება და მერე კიდევ უფრო გიიოლდება ახალ შემოთავაზებულ როლზე მუშაობა...

**– მაინც რა არის საჭირო იმისთვის, რომ მსახიობმა კარგად იგრძნოს თავი ამა თუ იმ როლში?**

– ზუსტად უნდა ჰქონდეს მიცემული ამოცანა, ზუსტად უნდა იცოდეს მიზანსცენა, იცოდეს, რატომ გადადის იქით, რატომ გადმოდის აქეთ, რატომ ამბობს ამას და ა.შ. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი მსახიობისა და რეჟისორის სამზარეულოა, შეიძლება რომელიმე მათგანი შეცდეს და როლი ჩავარდეს... ზოგჯერ ეს დაღლილობის ბრალიცაა, მაგრამ მსახიობს არცერთ შემთხვევაში არ ეპატიება თქვას, მე ახლა დაღლილი ვარ და ამას ვერ გავაკეთებ, ამ როლზე ვერ ვიმუშავებო...

**– ჩაგვარდნიათ როლი?**

– კი, მქონია რამდენიმე ასეთი შემთხვევა... ალბათ, სამი როლი თუ ჩამვარდნია ორმოცზე მეტი როლიდან.

**– ამ როლების დასახელებას არ გთხოვთ, ის გვითხარით, რომელი როლი მოგწონთ ყველაზე მეტად?**

– ბევრი როლი მომწონს... ერთ-ერთია სერაფიონ გორდელაძე სპექტაკლში „ქამუშაძის გაჭირვება", რომელიც დიმა ხვთისიაშვილმა დადგა მარჯანიშვილის თეატრში. ეს როლი ძალიან მიყვარდა. იყო, აგრეთვე, სპექტაკლი „ამბავი სიყვარულისა", სადაც თითქმის მთავარ როლზე ვიყავი დამტკიცებული, მაგრამ ამ როლში რატომღაც ვერ დავინახე ჩემი თავი და სპექტაკლის რეჟისორს, ბატონ გოგი თოდაძეს ვუთხარი, თუ გნებავთ, საერთოდ გამათავისუფლეთ სპექტაკლიდან, თუ არადა, სხვა როლზე დამაკავეთ-მეთქი. ოსი მილიციონერის როლი მომცა. თითქმის უსიტყვო როლი იყო, მაგრამ, ალბათ, ისეთი ბედნიერი იმ პერიოდში (თეატრში ახალი მისული ვიყავი) არ ვყოფილვარ, როგორც ამ როლის შესრულებისას – ერთ სიტყვას ვამბობდი ფინალში, სპექტაკლის დამთავრებისას და მახსოვს, დარბაზი ლამის ინგრეოდა ოვაციისგან. ძალიან კმაყოფილი ვარ ამ როლის თამაშით, ფოტოც კი გავადიდე და კედელზე მიკიდია... მერე და მერე წამოვიდა კიდევ უფრო საინტერესო როლები, იგივე „თაგვში", „ზაფხულის ღამის სიზმარში" განსახიერებული პერსონაჟები და ა.შ. თან რეჟისორსაც ხომ გააჩნია? როცა რეჟისორი გიყვარს და ენდობი, მის სპექტაკლში კარგად გამოგდის ყველაფერი, რადგან ზუსტად გაგებინებს, რა უნდა გააკეთო. ჩემთვის ასეთი რეჟისორი ლევან წულაძეა – ამას ყოველთვის ვამბობდი და ალბათ, მთელი ცხოვრების მანძილზე ვიტყვი...

**– თქვენ იმასაც ამბობდით, „თეატრი რომ არ მქონდეს, ოჯახი არ მექნებოდაო"... იგივეს ფიქრობთ დღესაც?**

– როგორც ჩანს, მაშინ თეატრი და ოჯახი გავაიგივე და ასეც არის – თეატრის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. თეატრი რომ მივატოვო, ეს იმას ნიშნავს, რომ მოვკვდები, ამიტომაცაა, როცა ვამბობ, თეატრი რომ არ ყოფილიყო, ოჯახი არ მექნებოდა-მეთქი. თეატრს და ოჯახს ერთმანეთთან ვაიგივებ.

**– თქვენ კი მოგწონთ და გიყვართ, მაგრამ ოჯახის წევრები როგორ ეგუებიან თქვენს მძიმე რეჟიმს: რეპეტიციები, სახლში გვიან მისვლა...**

– ცოტა უჭირთ, მაგრამ... რეპეტიციების პერიოდი არ მოსწონთ, პრემიერას კი სიამოვნებით ელოდებიან...

**– მეუღლეც მსახიობი ხომ არ არის?**

– არა, თათია სამედიცინო უნივერსიტეტში ფარმაცევტულ ფაკულტეტზე სწავლობს...

**– ერთმანეთი როგორ გაიცანით?**

– სრულიად შემთხვევით. მისი და სწავლობდა ჩვენს ინსტიტუტში და მას ვიცნობდი. ერთხელ ქუჩაში შევხვდი – ერთად მოდიოდნენ. რომ მივესალმე, გამაცნო: „ეს ჩემი დააო". მაშინვე მომეწონა. მოწონება თანდათან სიყვარულში გადაიზარდა და დღეს ჩვენი უფროსი ქალიშვილი ლილე, უკვე თორმეტი წლის ხდება, ტასო კი ხუთი წლისაა.

**– თუ არ ვცდები, ლილე სვანეთში კაცებს ჰქვიათ...**

– ლილეო – ეს სიტყვა მზესათანაა დაკავშირებული და სვანეთში იმდენად პოპულარულია, რომ ჩვეულებრივ, ამ სახელს ბიჭებსაც არქმევენ და გოგონებსაც. მე მხოლოდ გოგონებს ვიცნობ. ლილე მეგობარიც მყავს და მეზობელიც მყავდა ქუთაისში...

**– თავად რა გაქვთ სვანური ხასიათში?**

– ოო... რაღაც, ალბათ, მაქვს, რასაც საერთოდ არ ვამჟღავნებ, მხოლოდ ძალიან ახლობლებმა იციან, რა მომენტში შეიძლება ჩაირთოს ჩემი სვანური ხასიათი. ისე, ჩემს თავზე ვიძახი ხოლმე „ლაითი სვანი ვარ-მეთქი" (იცინის)... ერთხელ სუფრაზე ვიღაცამ მითხრა: „შენ რა სვანი ხარო?" ცხადია, არ გავბრაზებულვარ, მაგრამ ვიფიქრე, ჩემს სვანობას დავუმტკიცებ-მეთქი და „მათხოვე შენი ქუდი-თქო"– ვუთხარი. სვანური ქუდი ეხურა. დავიხურე ეს ქუდი, ცოტა წინ წამოვწიე, ისე, რომ თვალები ნახევრად დავფარე, წარბი ზემოთ ავწიე და „ახლაც არ ვარ სვანი ვარ-მეთქი?" – ვკითხე. იმ წუთში მართლა ძალიან ვგავდი, სურათიც მაქვს გადაღებული (იცინის)... მერე, ერთი პერიოდი მოდაში იყო ჩემს ახლობლებში: „სვანია, აბა რა, დაახურეთ ქუდი და ნახეთ თუ არ არის სვანიო"...

**– მოკლედ, სვანური ქუდი გჭირდებათ...**

– ასე გამოდის (იცინის)...

**– სცენაზე კურიოზულ სიტუაციაში თუ აღმოჩენილხართ?**

– კი, როგორ არა... ერთხელ ბორჯომში ვიყავით გასტროლებზე. ლევან წულაძის „თაგვს" ვთამაშობდით. მეორე მოქმედებაში მე მერილინ მონროს კოსტიუმში ამოვდივარ სცენაზე. ვიცეკვე, მერე დავჯექი სკამზე და ჩემი ტექსტის მოყოლა რომ დავიწყე, პაუზის დროს მაყურებლიდან მესმის: „ხედავთ, რა ფეხები ჰქონია ამ ჩვენ მერილინ მონროსო?" ატყდა სიცილი. მერე ეს სიცილი მსახიობებსაც გადმოგვედო და ერთი ხუთი წუთი კარგად ვიცინეთ. მსგავსი რეპლიკები და გამამხნევებელი შეძახილები დიდ სცენაზე ნაკლებად, მაგრამ, აი, თეატრალურ სარდაფში, სადაც უშუალოდ მაყურებლის თვალწინ, სულ ახლოს მიწევს თამაში, ძალიან ხშირად არის ხოლმე.



**– იგივე „თაგვში" აგრეთვე, სპექტაკლში „მძინარე მზეთუნახავი" ქალის განსახიერება გიწევთ. არ გაგიჭირდათ ამ როლის თამაში?**

– არცერთი როლი არ არის ადვილი შესასრულებელი, მთავარია, როგორ საკვებს მოგაწვდის რეჟისორი, რა გზაზე დაგაყენებს, როგორ მიგიყვანს იქამდე, რომ ეს როლი გააკეთო... ამ თვალსაზრისით მე კარგი კოორდინატორი მყავდა, ზუსტ მითითებებს მაძლევდა და ამდენად არ გამჭირვებია... სხვათა შორის, კიდევ შემომთავაზეს ანალოგიური როლის თამაში, რაზეც უარი ვთქვი. და ალბათ, სწორადაც მოვიქეცი. არ შეიძლება ერთი და იგივე რაღაცის კეთებით დაიშტამპოს მსახიობი, – არ არის საინტერესო...

**– მეუღლეს რჩევას არ ეკითხებოდით ამ როლზე მუშაობისას?**

– არა, მან, უბრალოდ, იცოდა, რომ ასეთ როლზე ვმუშაობდი, და როგორც ყოველთვის, ინტერესით ელოდებოდა პრემიერას... იმდენად კარგი რეჟისორი მყავდა, რომ არავის რჩევა არ მჭირდებოდა... ყოველთვის მჯერა იმ რეჟისორის, ვისთანაც ვმუშაობ. თუ რეჟისორის არ გჯერა, ის როლი არავითარ შემთხვევაში არ გამოგივა...

**– როგორც საუბარში აღნიშნეთ, თქვენი ქალიშვილი – ლილე, უკვე დიდი გოგოა, თორმეტი წლის ხდება... მსახიობობას ხომ არ აპირებს?**

– ძალიან უყვარს თეატრი... გარდა ჩემი სპექტაკლებისა, სხვების სპექტაკლებზეც ხშირად დადის და ზუსტად ხვდება, რა არის კარგი და რა – ცუდი... ალბათ, არცერთი მსახიობისთვის მოულოდნელი არ იქნება, მისმა შვილმა რომ გამოუცხადოს, არტისტობა მინდაო. არც მე გამიკვირდება, ლილემ მსახიობობა რომ მოინდომოს, – ჯერჯერობით არ უთქვამს, ჯერ ადრეა... რაც შეეხება უმცროს ქალიშვილს, მგონი, ის უკვე არტისტია. როცა უყურებს, მომღერლები როგორ მღერიან და თამაშობენ კლიპში, მერე თვითონაც იგივეს იმეორებს...

**– ონისე, როგორც მითხარით, ბავშობაში მღეროდით. ვიცი, რომ დუეტიც გაქვთ ჩაწერილი ია შუღლიაშვილთან ერთად და თქვენს სიმღერას ერთი პერიოდი „ქართული რადიო" ატრიალებდა... დღეს რა ხდება მუსიკალურ ასპარეზზე?**

– არაფერი... უბრალოდ, სიმღერა ჩემი ჰობია, თუმცა ერთი პერიოდი აქტიურად ვმღეროდი ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე. აფიშებიც მაქვს შენახული. გასტროლზეც ვიყავი „ოთხ გიასთან" ერთად, მთელი კახეთი მოვიარე კაკო ვაშალომიძესთან ერთად და არც ისე წარუმატებლად ვმღეროდი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ჩემი გაჩუმება რაღაც საშინელებაა. თანაც, დღეს რომ არ ვმღერი, ჩემი ბრალია. მას შემდეგ რაც თეატრში მივედი, სიმღერამ მეორე პლანზე გადაინაცვლა და ერთგვარი ჰობი გახდა. ხანდახან ვახალისებ და ვახარებ ჩემს თავს ამ ყველაფრით... კომპოზიტორი ლილიკო ნემსაძე ჩემი ახლო მეგობარია, – ძალიან მიყვარს მისი შემოქმედება. როცა არ უნდა ვთხოვო, ლილიკო ყოველთვის მზად არის საჩუქარი გამიკეთოს. მე და იამაც ლილიკოს სიმღერა ვიმღერეთ. პროექტი თავად ლილიკომ გააკეთა – მსახიობების დუეტები. კონცერტი კლუბ „16 რაუნდში" გვქონდა და შემდეგ ეს სიმღერა დიდხანს ტრიალებდა „ქართულ რადიოში", როგორც თქვენ აღნიშნეთ... ასე რომ, როცა სურვილი მექნება ყოველთვის ვიმღერებ...

**– დაბოლოს...**

– მადლობა თქვენს ჟურნალს, რომ მსახიობებს არ ივიწყებთ... მინდა, ყველა ქალს ვუსურვო, რომ იყოს ჯანმრთელი, ბედნიერი დედა და მეუღლე და საკუთარი თავის მოვლის მეტი საშუალება ჰქონდეთ...

*თამარ ოთიაშვილი*

P.S. მადლობა ონისეს გულწრფელი საუბრისა და კეთილი სურვილებისთვის. მკითხველს კი კიდევ ერთ ინფორმაციას მივაწვდი – შემოდგომაზე ონისე ონიანს მაყურებელი სოსო ჯაჭვლიანის ახალ ქართულ ფილმში „სვანები" მეტად საინტერესო როლში იხილავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეკა ჭკადუა

# რა მინდოდა წვენებში?!.

ასეა, ბატონო, საქმე! კი იქებენ თავს ჩვენი იმერლები სტუმართმოყვარეობით, არც არავის გვგონია სხვანაირად, მარა... რაც იმ დღეს მოხდა, მართლა მოხდა და სხვა არაფერი დამრჩენია გარდა იმისა, რომ დაწვრილებით მოგითხროთ.

დედაჩემი მაშინ ერთ-ერთ სამთავრობო სტრუქტურაში მუშაობდა, ამჟამად ლიკვიდირებულში, რადგან ახლანდელმა მთავრობამ ამ პატარა, თბილ „ოჯახს“ უფუნქციობა დასწამა. მთელს სტრუქტურაში — უფროსით დაწყებული და დამლაგებლით დამთავრებული — ოციოდე თანამშრომელი თუ იქნებოდა. მათ შორის კი, გამორჩეული ალლოს პატრონად და „მომავლის დიდ იმედად“ რეზიკო მოიაზრებოდა. ჰოდა, ამ ჩვენმა რეზიკომ ერთ დღესაც ოჯახის შექმნა გადაწყვიტა, ქორწილის დღეც მალე დაინიშნა, სამსახურში დააწინაურეს კიდეც (ჩემი აზრით, წახალისება საქორწინო საჩუქარს უფრო ჰგავდა) და, რა თქმა უნდა, ასაკით უფროსი თანამშრომლების (თუმცა უმეტესი მათგანი ჩინით რეზიკოზე დაბლა იდგა) მშობლიურ ზესტაფონში მიპატიჟებასაც შორიდან მაცქერალი ლოგიკურ გაგრძელებად ჩათვლიდა. ასე იყო თუ ისე, დაჟინებულმა მიპატიჟებამ და იმერლების გაგონილმა თუ საკუთარი თვალით ნანახმა სტუმართმოყვარეობამ თავისი (ჰ)ქნა და თანამშრომლების დიდმა ნაწილმა რეზიკოს დაფასება გადაწყვიტა.

ის სანატრელი დღეც სულ მალე დადგა. მანქანებში გავნაწილდით. მე (მოხალისედ წავედი), დედაჩემი, შურა და თინა, გასისინებული „ტრიცატაძინის“, ფაქიზო რომ შევარქვი, უკანა სავარძელზე ალმოვჩნდით. წინ „ოჯახის უფროსი“, რეზიკოსთვის, ალბათ, მამა და მარჩენალი, ბატონი ალექსანდრე დაბრძანდა, ალიოშა მძღოლმა ყველას ღიმილით გადმოგვხედა, პირჯვარი გადაიწერა და ფაქიზოც ადგილიდან დაიძრა...

ზესტაფონში ოთხი საათისთვის გველოდებოდნენ, მარა ქართველი კაცის ამბავი ხომ იცით. ჰოდა, ჩვენც ჯერ გორში შევჩერდით წითელლოყება, წვნიანი ვაშლის საყიდლად და დასაგემოვნებლად, შემდეგ ფაქიზო ხაშურში გავაჩერეთ და ნაზუქებს და დედას პურებს გავუსინჯეთ გემო. კი იყო ძალიან გემრიელი, მაგრამ ყველანი უფრო გემრიელის მოლოდინში საკუთარ სტომაქს სიამოვნებას ვუხანგრძლივებდით და ის გვიანი ლანჩიც, ქართულ „გზიდან გადახვევას“ მართლაც რომ არ ჰგავდა. ამასობაში კი გახდა ექვსი საათიც. რომელიღაც ამაღლებულ ფერდობზე კითხვა-კითხვით მივაგენით რეზიკოს ოჯახობას და შიმშილნარევი, ღიმილნარევი, მსუბუქად დაღლილი სახეებით მანქანიდან გადმოვლაგდით. ნეფე-პატარძალი სად იქნებოდა ჯერ მოსული. უცხო ხალხის დანახვაზე ვილაც ქალბატონი (მერე ალმოჩნდა, რომ მეზობელი) დიდის ამბით შემოგვეგება, წინ გაგვიძღვა და სახლის მეორე სართულზე აგვიყვანა. სუფრა დაგვხვდა გაშლილი, იცოცხლე, არაფერი აკლდა. — ნუ წუხდებით, არ არის საჭირო, ნეფე-პატარძალს დაველოდებითო — ალმოხდა მიპატიჟებით გულაჩუყებულ თინას, მაგრამ არ გეტკინა არაფერი. მოგვიბრუნდა ვილაც და პირდაპირ მოგვახალა — ეს, გენაცვალე, ნეფე-პატარძლის სუფრაა, თქვენთვის კი არ არის გაშლილიო. აი, ამას კი ნამდვილად არ ველოდით. შევცქეროდით ერთმანეთს და სიცილს ძლივს ვიკავებდით. — ახია ჩვენზე, გვეჭამა ის ნაზუქები. უყურე ახლა ამ სუფრას, ყლაპე ნერწყვები და იჯექი გალახული ბავშვივით კუთხეში, — ჩაუჩურჩულა შურამ დედაჩემს. დედაჩემის არ ვიცი და მე კი ნამდვილად მაწუხებდა პირზე მომდგარი ნერწყვი. კიდევ ერთხელ შევისუნთქე სანელებლებით შეზავებული გოჭის და ხბოს ხორცის სურნელი და შევეგუე ბედს. უცებ შუქი ჩაქრა. არიქა, მეშველა-მეთქი გავიფიქრე და უკვე შესწავლილი სუფრის მარჯვენა კუთხიდან ქათმის ბარკალს წავატანე ხელი. ორიოდ წუთში იმისთანა გუგუნით ამუშავდა გენერატორი, ვიფიქრე გვბობავენ და თავს ვუშველოთ-მეთქი (ვილას ახსოვდა მოპარული ბარკალი). პირველმა შიშმა რომ გაიარა, ბარკალი ცრემლიანი თვალებით დავაბრუნე თავის ადგილზე და შემდეგ მხოლოდ შორიდან ვტკბებოდი, ვყლაპავდი ნერწყვს და ასე ტანჯვა-წამებაში მეც და დანარჩენებმაც გავლიეთ კიდევ ექვსი საათი.

შუაღამე გადასული იქნებოდა ნეფე-პატარძალი მაყართან ერთად სახლს რომ მოადგა. აჭარელი პატარძლის მშობლებსაც იმ დღეს გადაუხდიათ ქორწილი. ასეთი დაგვიანებაც მხოლოდ ამას შეიძლება მიეწეროს, მაგრამ ჩვენ რას გვერჩოდნენ, ვერ გავიგე მაინც. ეს კიდევ არაფერი. თითქოს ზეცაც ჩვენს წინააღმდეგ განეწყო — მათ მოსვლას ისეთი კოკისპირული წვიმა მოაყოლა თავის ჭექა-ქუხილთან ერთად, რომ კუჭის წვას ვილა ჩიოდა და ატალახებული ეზოს დანახვაზე ნერვიული სიცილი ხარხარში გადამეზარდა. რა საკითხავია, რომ იმ წუთას ქეიფს და დროსტარებას თბილი ლოგინი მერჩივნა, მარა ვინ იყო ჩვენი მომხედავი. იმ ოთახიდანაც გამოგვაბრძანეს, ნეფე-პატარძლის სუფრა რომ იყო გაშლილი და ამ დროს ვილაცამ იყვირა, სეფას შევაფაროთ თავიო. წვიმდა იქაც. ხალხი ცალ ხელში ქოლგამომარჯვებული იჯდა და უგემურად (ასე მომეჩვენა) თითქმის სველ და უკვე მერამდენედ გაციებულ თუ გაცხელებულ კერძებს უსინჯავდა გემოს. შეზარხოშებული იმერელი „ბულბულების“ გულისგამაწვრილებელი ხმები კი ქურდი კაცის ბედზე იქაურ საზოგადოებას საფიქრალს უმატებდა. მეც გადავყლაპე კუჭის დასაშოშმინებლად (თორემ უკვე აღარც მშიოდა და განწყობაც სადღაც გამქრალიყო) რამდენიმე ლუკმა და უაზროდ მივაჩერდი ტალახში ამოსვრილ მოცეკვავეთა გახარებულ წყვილებს. — რა მინდოდა წვენებში?!. უკვე მერამდენედ ვიმეორებდი ამ სიტყვებს ჩუმად და საკუთარი თავი მეცოდებოდა. დედაჩემს გავხედე, მისი უკვე გადაღლილი სახე, როგორც ჩანს, რაღაც გადაწყვეტილების მისაღებად ემზადებოდა. ორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდ წამში გაგვიმხილა კიდეც — ახლავე მოვძებნი რეზიკოს დედას, გაგვიმზადოს საძინებელი და მოგვასვენოსო. მის სიტყვებზე მხოლოდ გამელიმა, ფიქრით კი გავიფიქრე — როგორ არა, ფეხებს დაგბანს და იავნანას გიმღერებს-მეთქი. აქამდე თუ ვითმენდი, მეტი ველარ მოვითმინე და ფეხსალაგის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვცადე. არ ჯობდა, არ მეკითხა? იყო, ალბათ, კილომეტრნახევარი იქამდე. თეთრი შარვალი კი ავიკაპიწე, მაგრამ თეთრ ფეხსაცმელებს რაღას ვუშველიდი? ხელების გადაბანა არც მომითხოვია. სახლზე მიმაგრებულ საწვიმარ მილს შევუშვირე ხელები და წვიმა იმ დღეს პირველად მესიამოვნა... ორი საათის ხვეწნა-მუდარის თუ კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, რეზიკოს დედამ მოსასვენებელი ოთახი მოგვიძებნა (თინას და შურას მანქანაში მოუხდათ ღამის გათევა). მოკლედ, ამ იუმორშეზავებული დაღლილი განწყობით ის იყო წავიფარე თავზე საბანი, რომ ოთახის კარი გაიღო და ვიღაც კაცი ღიღინ-ღიღინით შემოვიდა. — უი, გონია, შემეშალაო, — ერთი კი თქვა და ისე გაუჩინარდა, ჩემი რეაქციის განვითარებას აზრიც არ ჰქონდა.

იმ დღეს რომ გათენებას ვნატრობდი, ალბათ, ასე არასოდეს მინატრია რამე. დილის ტუალეტზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. არც წვიმის იმედი მქონდა. ამინდი მშვენიერი გამოვიდა. აივანზე გამოვედი. ეზოში ჩვენი ნაცნობი მეზობლის ქალი შემოვიდა და ჩაი შემომთავაზა. მადლიერი თვალებით შევხედე და სულ ცოტა ხანში ჩემიანების თანხლებით თბილ და გემოვნებით მოწყობილ არც ისე პატარა სამზარეულოში ჩაის სიამოვნებით ვწრუპავდი. მე და დედაჩემი ასე თუ ისე ჯანსაღად გამოვიყურებოდით. თინა და შურა კი წელს იტკიებდნენ. მალე ბატონი ალექსანდრეც შემოგვიერთდა. ჩვენ კი შევგროვდით, მაგრამ ალიოშა მძღოლი არსად ჩანდა. გამოვაცხადეთ ძებნა, რომელსაც სრული ორმოცდახუთი წუთი დასჭირდა. ბოლოს მივაგენით მეზობლებში — მოუსწრია დაძმაკაცება კაი პურის მჭამელებთან და, როგორც შევატყვე, სულ არ ჩქარობდა მათთან განშორებას. არიქა, დავიძარითო, ბრძანა ბატონმა ალექსანდრემ და ჩქარი ნაბიჯებით ჩვენსკენ მომავალ რეზიკოს ხელი დაუქნია. ვინ გაცალა წასვლა. — როგორ გეკადრებათ, ბატონო ალექსანდრე, ქეიფი ახლა იწყებაო, — შემოგვანათა სიამაყით გაბადრული სახე რეზიკომ და იქვე დასძინა — ხომ კარგი დრო ვატარეთო. ამას უკვე ნამდვილად ველარ მოვითმენდი და მანქანიდან ვიყვირე — ზესტაფონი არ გამაგონოთ-მეთქი. რეზიკომ ხუმრობაში ჩამომართვა ეს გულიდან ამოხეთქილი სიტყვები და ჩვენს გამოსამშვიდობებლად ჭიშკარში გამოსულ მეუღლეს მხარზე ხელი დაადო. პატარძლისკენ გავიხედე. დედა, რა ნახა ჩემმა თვალებმა — გუშინდელი „გალაკული“ ვარცხნილობა ისე შელახვოდა გოგოს, რომ დედოფლობის რა მოგახსენოთ და, ბოსტნის საფრთხობელების კონკურსი რომ გაემართათ, პირველ სამეულში აუცილებლად გავიდოდა. მოკლედ, დიდი გაწევ-გამოწევის შემდეგ (მე პირადად ლაზარია და დასაკლავ-ვერდაკლული ქათამი გამახსენდა), ფაქიზო დაიძრა ადგილიდან და ჩვენც შვებით ამოვისუნთქეთ.

დაღლილ-დაქანცულებს და თითქმის მშივრებს, გზაც გრძელი და დამღლელი გვეჩვენა. მარტო ალიოშა მძღოლის რეპლიკები გვიმსუბუქებდა სატანჯველს და მშობლიური ქალაქის თუ მშობლიური სახლის გახსენებისას მოახლოებული სიხარული გულს გვიფორიაქებდა. ალიოშას რეპლიკების მიზეზი კი ზესტაფონიდან წამოღებული წამლად მონათლული ვაზის ნაჟური იყო და ჩვენც ჩვენს ბედს შეგუებულნი, მკაცრი შეფასებებისგან თავი შორს გვეჭირა, რადგან ყველას გვეგონა, რომ ნახევარი საათიც და ყველაფერი კარგად იქნებოდა. კი გვეგონა, მაგრამ... მოულოდნელად ფაქიზო გაჯიქდა. ესლა გვაკლდა! რა უნდა გვექნა?.. დედაჩემი, შურა და თინა მანქანას მოაწვნენ, ბატონი ალექსანდრე შორიდან აფასებდა საკუთარი თანამშრომლების ძალას და მოხერხებულობას, მე კი მანქანაში ვიჯექი და სიცილისგან არაქათგამოცლილი, ჩვენი მდგომარეობით ვტკბებოდი. მალე მერსედესის მარკის მანქანა წამოგვეწია, მძღოლმა თავი გამოყო და წმინდა გურული აქცენტით გვითხრა: — რა სჭირს მანქანას? ნენა, ნენა, ეს რა დაგმართნიათ, რაფრა დაგეხმაროთო. მეც გავყავი თავი ფანჯრიდან და მშვიდობის მაძიებელს მივუგე — წუხანდელი ღამენათევია, ბატონო, და ჩეეძინა-თქო. მძღოლმა გაკვირვებით შემომხედა, მერე, ალბათ, იფიქრა, ვერ არიან ესენი ჭკუაზეო და სწრაფადვე გაგვეცალა. თბილისის მისადგომებთან ფაქიზო გამოცოცხლდა (ალბათ, გამონაბოლქვით სავსე მშობლიური ჰაერი ესიამოვნა) და ჩვენც მშვიდობიანად დაგვარიგა სახლებში.

კარი მამაჩემმა გაგვიღო. — რა ქენით, როგორი დრო ატარეთო, — შემოგვეგება გაღიმებული სახით. მაცადე, თუ კაცი ხარ, დაგვასვენე და მერე ყველაფერს გიამბობთო, — ისე მიუგო დედაჩემმა, რომ ალბათ, იმ წუთას მამაჩემისთვისაც ყველაფერი გასაგები იყო.

* * *

ამბობენ, რომ ოცწამიანი ჯანსაღი სიცილი ხუთწუთიან ინტენსიურ ვარჯიშს უდრის. ჰოდა, აგაშენათ ღმერთმა, იმერლებო. აგერ უკვე ხუთი-ექვსი წელი გავიდა ამ ამბიდან და დღესაც, როცა, ერთ დროს „დიდი ფუნქციის მატარებელი პატარა ოჯახის წევრები“ ამ ამბავს იხსენებენ, იმ დღეს კარგი განწყობა გარანტირებული აქვთ. ვარჯიშის რა მოგახსენოთ, და ქართველი კაცი სიზარმაცეს და ცუდ ჯანწყობას იუმორით ნამდვილად შველის. აკი გუსტავ ფლობერმაც თქვა: „დაკარგულია დღე, როცა არ გავიცინებთ“. ჩვენც რა დაგვრჩენია — ვიცინოთ ბევრი, ამას მართლა ვერავინ გვასწავლის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ადამიანი ფრესკა არ არის“...



პედაგოგი ბერძნული სიტყვაა და აღმზრდელს ნიშნავს, რომელიც სწავლა-აღზრდის პროცესს წარმართავს. მასწავლებლის ოსტატობა დამოკიდებულია პიროვნების ზნეობრივ დონეზე, პროფესიონალიზმსა და შემოქმედებით უნარზე. თითოეული პედაგოგი ვალდებულია აღზრდის პროცესი, მოსწავლეთა საქმიანობა ისეთნაირად წარმართოს, რომ მოზარდებმა შეძლონ თავიანთი ინტერესებისა და მიდრეკილებების სრულად გამომჟღავნება და სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბება. საქართველოში მასწავლებელს ძველად მოძღვარს, გამზრდელს, ოსტატს უწოდებდნენ. ამ მოთხოვნებს, ვფიქრობთ, სავსებით აკმაყოფილებს სკოლა-ლიცეუმ „რიტორის“ დაწყებითი კლასების მასწავლებელი შორენა ჭელიძე. წერილი მადლიერ მშობელთა მოთხოვნით იწერება. **ქეთევან გოგოლაშვილი:** ვღელავდი, როცა ჩემი ბიჭუნა, ნუკრი, სკოლაში მომყავდა. ცოტა არ იყოს თავისებური ბავშვია. არ მიცდია, ისე მოხვდა შორენა მასწავლებელთან. ეს არის ადამიანი, რომელმაც თითოეულ მოსწავლეს სულის გასაღები მოუძებნა. მისგან ბევრი რამ ისწავლეს პატარებმა. მოფერებით იწყება მათი ყოველი სასწავლო დღე. მე თუ მკითხავთ, დაწყებითი კლასის პედაგოგი ყველაფრით გამორჩეული უნდა იყოს. ამ მხრივ შორენა მართლაც სამაგალითოა. ძალიან ვეცადე და მეორე შვილი, თამთაც მასთან მოვახვედრე. იგი არა მარტო ჩვენი შვილების პედაგოგი, ოჯახის დიდი გულშემატკივარიცაა.

**ლალი ჯავახიშვილი:** რა უნდა ინატროს მშობელმა იმაზე უკეთესი საკუთარი შვილისთვის, როგორიც ჩვენი შორენა მასწავლებელია, მაღალი პროფესიონალიზმით, ადამიანური თვისებებით, ქცევის კულტურით დაჯილდოებული. ყველა დადებით თვისებასთან ერთად, ბავშვის სულის სიღრმეში წვდომის დიდოსტატია. მე და ჩემი გიორგი ნეტარებით ვიგონებთ იმ ოთხ წელს.

**მეგი მუქერია:** შორენასნაირი მასწავლებლები დიდი ფუფუნებაა. მართლაც განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული. სრულიად შეცვალა ჩემი ელენე. ღმერთს ვთხოვ, საქართველოს უმრავლოს მისნაირი სპეციალისტები.

...ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყება ქალბატონი შორენასათვის ზეიმის ტოლფასია. თითოეულ მოსწავლეს მერხზე ბარათი ხვდება. „ჩემო პატარავ, როგორი ბედნიერი დილა გათენდა! არასოდეს დაივიწყო ეს დღე, როდესაც ლაღი ბავშვობიდან პირველად აღმოჩნდი ცოდნის სამყაროში. რომ იცოდე, როგორ ვნატრობდი შენთან შეხვედრას, როგორ გელოდი. ახლა შენს გვერდით ვარ, მომენდე, ძალიან მიყვარხარ და მზად ვარ ვიმეგობრო შენთან. ხელი ჩავჭიდოთ ერთმანეთს და „დედაენის“ საშუალებით მსუბუქად შევაბიჯოთ ცოდნის სამყაროში. შენი შორენა მასწავლებელი“. იგი ერთნაირად უყვარს დიდსა და პატარას, მოსწავლეს, მშობელს, პატივს სცემენ კოლეგები. მისი მიზანია, დაამსხვრიოს მასწავლებლის სტერეოტიპი, ახლოს მივიდეს პატარების სულთან, მათი ცხოვრება, მიზნები, სურვილები, ოჯახური მდგომარეობა გაითავისოს. ახერხებს კიდეც. ოცი წელია სკოლაში მუშაობს და მადლობები თუ ჯილდოები არ მოკლებია. მისთვის პირადული არ არსებობს, გამოიხურავს სახლის კარს და იქ მთავრდება ოჯახური პრობლემები. სულ სწავლაში, სიახლეების ძიებაშია, ჩემი მოსწავლეობა არ სრულდებაო, ხალისიანი ღიმილით მეუბნება.

ლამაზად აქვს მოწყობილი საკლასო ოთახი. ჩემი ყურადღება „ნატვრის ხემ“ მიიპყრო, რომელიც მოსწავლეების სურვილებით არის დახუნძლული. **ელენე:** მინდა კარგი წერა-კითხვა ვიცოდე და ბევრი წიგნი წავიკითხო, კარგად ვხატავდე, გავხდე მსახიობი, ვიყო ჭკვიანი, მშობლები გავახარო და ჩემი ძაღლი კარგად მყავდეს. **თამთა:** მაინტერესებს დიდ წიგნებში რა წერია, ბავშვებს წავუკითხავ ზღაპრებს, მინდა ჩვენმა ხეებმა ბევრი ვაშლი მოისხას. **ლიზი:** მინდა ისე ვკითხულობდე და ვიქცეოდე, როგორც ჩემი საყვარელი შორენა მასწავლებელი. **ბექა:** ვიქნები ჩემი ქვეყნის დამცველი და განათლებული ადამიანი. **კესო:** მინდა ვიყო ბალერინა. გიორგი: ვოცნებობ, კარგად ვწერდე და ვკითხულობდე, მიყვარს მათემატიკა, ვნატრობ, ჩემი მეგობარი ნიკა დაჭკვიანდეს. **მარიამ ინაკავიძე:** მომღერალი გავხდები. **მარიამ მორგოშია:** მაინტერესებს კომპიუტერი, რომ ინტერნეტში ვერკვეოდე. **თათია:** როგორ მინდა ჩემს პატარა დაიკოს ბევრი ზღაპარი წავუკითხო. **ნიკა:** გავახარებ დედას და დეიდებს, მეყოლება ბევრი მეგობარი, ვიქნები სამშობლოს დამცველი ნამდვილი ჯარისკაცი.

ბავშვები ერთხმად მეუბნებიან, რომ ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი, კეთილი და დედასავით საყვარელია მათი პირველი მასწავლებელი. ერთმა ისიც კი მითხრა, შორენა მასწავლებელი დედოფალიაო.

შორენამ იცის, რა უნდათ, რა გაეხარდებათ მის პატარებს. პატრიოტულ თემას მიუძღვნა ღონისძიება – „სამშობლოს არვის წავართმევთ“, რომელიც ისეთი გულში ჩამწვდომი გამოდგა, მოსწავლეები და მშობლები ცრემლებს ვერ მალავდნენ. იმსჯელეს საქართველოს გამთლიანებაზე, დაკარგული კუთხეების დაბრუნებაზე. კესო, თათია და მარიამი ლტოლვილები არიან, ოცნებობენ, იცხოვრონ სოხუმში. მართალია, არასოდეს უნახავთ აფხაზეთი, მაგრამ მაინც...

ადრე სწავლების პროცესში ორიენტირი პედაგოგი იყო, ახლა როლები შეიცვალა, უპირატესობა მოსწავლეს ეკისრება. მასწავლებლისგან მოსწავლე სწავლობს არა მხოლოდ საგანს, არამედ მოქალაქეობრივ პრინციპებს, სამშობლოს სიყვარულს, სწორედ ამისთვის იღვწის შორენა მასწავლებელი. სხვადასხვა მანკიერებამ და ძალადობამ, ფეხი რომ არ მოიკიდოს, პედაგოგმა მშობელთან ერთად ყველაფერი უნდა გააკეთოს.

პატარებს ხშირად ესაუბრება წინაპრებზე, ცნობილ ადამიანებზე, ქართველ მეფეებზე, დიდგორზე. პატარებიც ამაყობენ, რომ ძლიერი ერის შვილები არიან...

**– რაიმე განსაკუთრებულ საიდუმლოს ხომ არ ფლობთ, მოსწავლეთა „გულების დასაპყრობად“?**

– ვცდილობ, მუდამ მობილიზებული ვიყო. არ დავკარგო საკუთარი თავის კონტროლი, ნერვებმა არ მიმტყუნოს. ყველაფერს სიყვარულით ვუყურებ, მითუმეტეს ბავშვს. პირადი ამბიციებით არაფერს ვწყვეტ, მოვლენებს ცივი გონებით ვაფასებ. საკუთარი თავის ყველაზე დიდი კრიტიკოსი მე ვარ. არასოდეს ვარ ჩემი გაკეთებული საქმით ბოლომდე კმაყოფილი. როცა სასწავლო რეფორმა დაიწყო, აქტიურად ვმონაწილეობდი ტრეინინგებში. ამ სკოლამ, კერძოდ დირექტორმა კახა დავითურმა და მისმა მეუღლემ ხათუნა მაჭარაშვილმა ყოველმხრივ შემიწყვეს ხელი სიახლეების დამკვიდრებაში.

არაფერს ვაკეთებ მადლობის თუ ჯილდოს მისაღებად. და კიდევ ნოდარ დუმბაძის სიტყვებს მოვიშველიებ „ადამიანი ფრესკა არ არის, რომ ერთ სიბრტყეში უყურო, მას, როგორც ქანდაკებას ისე უნდა შემოუარო გარშემო და იმ კუთხიდან უმზირო, რომლიდანაც ყველაზე ლამაზად იმზირება“.

ჩემს მოსწავლეებს ვასწავლი გაჭირვებულის, ავადმყოფის, მოხუცის შეცოდებას, უნდა იცოდნენ მოწყალების გაღება, თუ ეს ნაწილობრივ შევძელი, თავს ბედნიერად ჩავთვლი. სხვა სპეციალობაზე არასოდეს მიოცნებია, რაც შეეხება მოსწავლეთა გულების დაპყრობას, ეს ხდება ყოველდღიურად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიხარ მწვერვალისკენ. მისხალი შეცდომის დაშვების უფლება არა გაქვს, თუმცა, მშობლების, მოსწავლეების, კოლეგების იმხელა ნდობას ვგრძნობ, ასე მგონია, უმნიშვნელო გადაცდომისათვის მკაცრად არ განმსჯიან.

...ჩემი მეუღლე, გივი ჩიღვინაძე გამომცემლობა „მახარობელის“ დამფუძნებელი გახლავთ. თავისი გამოცემებით ხელს მიწყობს მუშაობაში, მე და ჩემს მოსწავლეებს გვანებივრებს. დიდი ნებისყოფა აღმოაჩნდა, უძლებს სკოლის ცხოვრებაში ჩაფლულ პედაგოგს: ერთად ვმსჯელობთ, რას მისცემს ესა თუ ის წიგნი, როგორ განუვითარებს ბავშვს გემოვნებას. ბავშვები ხშირად დამყავს ექსკურსიებზე, თეატრში. სპექტაკლსაც იმის მიხედვით ვარჩევ, რა თემაზეა შექმნილი, რომელი მსახიობები თამაშობენ, რას წამოიღებენ იქიდან პატარები.







* * *

ანბანური ჭეშმარიტებაა, ვისაც არავინ უყვარს, მასაც არავინ შეიყვარებს. საბედნიეროდ, ადამიანის მეხსიერება ისეა მოწყობილი. იმახსოვრებს კარგს და ცდილობს, დაივიწყოს ცუდი, რაც ორმაგად ეხმარება პედაგოგს დაიმკვიდროს ღირსეული სახელი და ავტორიტეტი. ყოფილმა და ახლანდელმა მოსწავლეებმა მითხრეს: მისგან ვსწავლობთ სიყვარულს, მეგობრობას, ერთმანეთისათვის თავდადებას და, რა თქმა უნდა, იძენენ ცოდნას. როცა გვსჯის, მაშინაც გვიყვარს, რადგან ვგრძნობთ, მართალია. მისთვის არ არსებობს დიდი და პატარა, ყველასთან შეუძლია მეგობრობა.

ბერნარდ შოუს სიტყვები გამახსენდა: „ამქვეყნად ყველა იმას აკეთებს, რისთვისაც ღმერთმა გააჩინა. ცხოველებისაგან განსხვავებით, თავის დასაცავად, ადამიანს არც რქები აქვს, არც კლანჭები, არც ეშვები. ერთადერთი რაც უნდა გააჩნდეს ინტელექტია, მისი ხსნა და მისი ძალა ამაშია“.

შორენა ჭელიძე ბედნიერად თვლის თავს, რადგან აკეთებს იმას, რაც უფალმა დააკისრა.

*ნანული ბუკია*

# ზღვა უბრწყინვალესი, ცის მოწმენდილი ბიჭი









„გაზაფხულის დარია,
გულო, დარდთან ნაფიცო,
რა კარგი სიზმარია,
დედა, არ გამაღვიძო"...

ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა.. ბედის ბორბალი ისე დატრიალდა, რომ 22 წლის წავიდა ამქვეყნიდან, თუმცა მაინც შეძლო, ეთქვა თავისი სათქმელი ხელოვნებაში. ის მართლა გამორჩეული ბიჭი იყო — გარეგნობით, ქცევით, ნიჭით, სულიერი სამყაროთი; ამიტომაც უყვარდა ყველას. თავადაც უხვად და უშურველად გასცემდა სიყვარულს.

ემიკო კლდიაშვილი 1979 წლის 15 მაისს დაიბადა. თბილისის 124-ე საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე თეატრალური ინსტიტუტის კინოსა და დრამის სამსახიობო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. IV კურსიდან უკვე მეტეხის თეატრში მუშაობდა. სრულიად ახალგაზრდამ მართლაც საინტერესო სახეები შექმნა სპექტაკლებში: „პრემიერა", „როცა ასეთი სიყვარულია", „ბაბთიანი გოგონა", „მატყუარები", „სისხლიანი ქორწინება".

კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ქართული სიტყვის მადლი. ეტრფოდა პოეზიას. არაჩვეულებრივად კითხულობდა გალაკტიონის, მურმან ლებანიძის, ლადო ასათიანის ლექსებს, ალტაცებაში მოჰყავდა შექსპირის სონეტებს... მუსიკა ახალი ენერგიითა და ძალისხმევით ავსებდა. საათობით სულგანაბული უსმენდა მერაბ სეფაშვილის და თემურ თათარაშვილის სიმღერებს...

უყვარდა ყველაფერი ღირსეული, ფასეული, ამაღლებული, რადგან თავად იყო ასეთი...

*რევაზ ბალანჩივაძე:*

— გარდასახვის საოცარი უნარი ჰქონდა. უბრალო ამბავსაც კი გასაკუთრებით ჰყვებოდა. ყველა პერსონაჟს მისთვის დამახასიათებელი ჟესტ-მიმიკით, ხმით წარმოაჩენდა და დასამახსოვრებელ სახეს ქმნიდა. იგი ჭეშმარიტად მსახიობად იყო დაბადებული...

*ვასილ კიკნაძე:*

— კარგი ფიზიკური აღნაგობა ჰქონდა და საოცრად შვენოდა სცენას. უწყინარი, ჩუმი, უკონფლიქტო, უპრეტენზიო და მართალი ახალგაზრდა იყო. გაცნობისთანავე შეამჩნევდით მის თავმდაბლობას, მოკრძალებულ ხასიათს. ძალიან უყვარდა ინსტიტუტი, მუდამ ჩვენს გვერდით ტრიალებდა. თითქოს გრძნობდა, რომ ამქვეყნად ცოტა დრო ჰქონდა დარჩენილი. ცდილობდა, არავისთვის არ მიეყენებინა ტკივილი, არავინ შეეწუხებინა. სწორედ მასზეა ნათქვამი, ჭიანჭველასაც არ დაადგამს ფეხსო...

*აკაკი გეწაძე:*

— ერმილე კლდიაშვილს სიყრმიდანვე მსახიობობა უნდოდა და მიზანსწრაფულმა ჭაბუკმა თავისი სურვილი თეატრალურ ინსტიტუტში ოთხწლიანი გულმოდგინე სწავლით ბრწყინვალედ დააგვირგვინა; დამთავრებისთანავე ორ თეატრში მიიწვიეს და რამდენიმე საინტერესო როლის ჩინებულად განსახიერებაც მოასწრო... ემიკოს მსახიობური ნიჭის მადლმოსილების ჯილდოდ სცენური ცხოვრების ასპარეზზე ბევრი მხურვალე ტაში და დიდი წინსვლა ელოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ფიქრობდა ბედისწერა...

*მაკა ხმალაძე:*

— ყველგან სიყვარულისა და სიკეთის მძებნელი, ყველაფერში ლამაზსა და ამაღლებულს ხედავდა, სხვაგვარად არ შეეძლო, რადგან თვითონ იყო ასეთი. მეამაყება, რომ ემიკო კლდიაშვილთან მეგობრობა მაკავშირებდა. ალბათ, იგივე გრძნობა ეუფლება ყველას, ვისაც კი მასთან ჰქონია ურთიერთობა.

*თაკო კილაძე:*

— ვიხსენებ იმ ადგილებს, სადაც ერთად ბევრი გვისეირნია და გვიცინია მე და ემიკოს. ბოლოს ბარათაშვილის ხიდზე შემაჩერა ფიქრმა. ეს იყო ჩვენი საყვარელი ადგილი, საიდანაც ხშირად გადავყურებდით ხოლმე თბილისს თეატრიდან წამოსულები და ვსაუბრობდით დიდხანს, დაუსრულებლად... არასოდეს გაქრება მისი მონატრება, ოცნებებში მუდამ ჩემთან იქნება, ისეთივე ლაღი, მხიარული, უპატიოსნესი, მეგობრული და მუდამ 22 წლის ემიკო კლდიაშვილი.

*დათო წიქარიშვილი:*

...იყო სურამი და ჩუმათელეთი... იყო თბილისი... იყო ზღვა და ქობულეთი... იყო ვენეცია და დასრულდა ყველაფერი, თუმცა,

არ იფიქრო მოსვენება,
შეჩერება არაგვის,
რაც ჩვენშია, ის წარსული,
არასოდეს არ არის!

*დედა — ნონა კლდიაშვილი:*

— განსაკუთრებით მოსწონდა შეყვარებული მამაკაცის როლის თამაში, ის ხომ მუდამ შეყვარებული იყო... ბოლოს რეკლამაშიც გადაიღეს, რომლის ნახვას ვერ მოესწრო. სცენარი რომ წამიკითხა, ვუთხარი, როგორ ჰგავს შენს ხასიათს-მეთქი. ამ რეკლამაში შეყვარებულს მიაცილებს, შემდეგ სახლში ბრუნდება და ოჯახში აცხადებს, ცოლი მომყავსო. ოჯახის წევრები შეშფოთებულები არიან, რადგანაც პატარა ბინაში რძლის ადგილი ნამდვილად არ არის. ფინალი ასეთია: ემიკო ბინას იგებს და ყველა გახარებულია. მოუთმენლად ველოდით ამ რეკლამის გამოჩენას, მაგრამ...

ემიკო ცდილობდა, მადლობა ეთქვა იმ ხალხისთვის, ვინც ხელი შეუწყო ოცნების ასრულებაში, მსახიობად ჩამოყალიბებაში. უყვარდა და დიდ პატივს სცემდა აკაკი გეწაძეს, ვასილ კიკნაძეს, რევაზ ბალანჩივაძეს, გურამ ჯაშს, ანზორ ქუთათელაძეს, სანდრო მრევლიშვილს, ქალბატონ მზია მაღლაკელიძეს,

ყველაფერი თითქოს გეგმაზომიერად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა წინ, ნათელი, დიდი მომავლისაკენ, რომ არა ერთი ქარიანი, ულმერთო დღე... როცა სასიკვდილოდ გაიმეტეს ემიკო კლდიაშვილი... ასეთი ბიჭები არ კვდებიან. მათ არასოდეს ივიწყებენ. მეგობრებმა მრავალი სიმღერა, ლექსი, ფილმიც კი მიუძღვნეს.

დრო გადის. ემიკო კვლავ ისეთია, როგორიც იყო — თვალებანთებული, მომღიმარი, კეთილი, სიყვარულისა და სინათლის სხივით გაცისკროვნებული გულმართალი ბიჭი.

ის მუდამ ასეთი იქნება!

მანანა ციციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემი უთეთრესი გზები



1902 წლის ზაფხულის ერთ ცხელ დღეს ზაქარია ფალიაშვილი ქუთაისში თავის დეიდაშვილებს ეწვევა. მომავალი კომპოზიტორი ჩემოდნიდან რბილ ქსოვილში გახვეულ ფონოგრაფს ამოიღებს და როგორც უძვირფასეს ხვაშიადს, ისე გაანდობს თავის ახლობელ ადამიანებს: „ხვალიდან უნდა გავემგზავრო იმერეთის, გურიის, რაჭის სოფლებში და „მარგალიტების" ძებნას შევუდგეო, რომ ჩამოვალ, პირველად თქვენ მოგასმენინებთო". სულ მალე, 1903 წელს, მუსიკოსი სვანეთში იმოგზაურებს მოსკოვის უნვერსიტეტის პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილთან ერთად და ფონოგრაფის საშუალებით ჩაიწერს სვანურ ხალხურ სიმღერებს. სხვათა შორის, 1885 წელს აქვე ამ მიზნით უმოგზაურია ზაქარიას მასწავლებელს, რუსული მუსიკალური კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენელს, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორს ს.ი. ტანეევს. დიდ რუს პოლიფონისტს კავკასიაში ჩაწერილ ოც სიმღერასთან ერთად მოსკოვში სვანური ჭუნირი და ჩანგიც ჩაუტანია და კონსერვატორიის საინსტრუმენტო განყოფილებაში მოუთავსებია. ზაქარია ფალიაშვილთან ერთად მას აღუზრდია რუს მუსიკოსთა შესანიშნავი პლეადა — ა. სკრიაბინი, რახმანინოვი, გლიერი, ალექსანდროვი და მრავალი სხვანი. „დიდებული კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი, თეორეტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, გულკეთილი და სპეტაკი ზნეობით აღჭურვილი ადამიანი" — ასე იხსენიება ს.ი. ტანეევის სახელი რუსული მუსიკის ისტორიაში. ზაქარია ფალიაშვილისათვის ი.ს. ტანეევი განსაკუთრებით ძვირფასი იყო, როგორც პოლიფონიის ბრწყინვალე ოსტატი. მინდა აქ მკითხველს შალვა კაშმაძის (ავტორი წიგნისა: „ზაქარია ფალიაშვილი — ც.ხ.). ხაზგასმა შევახსენო, რომ ტანეევის კლასში მეცადინეობა მოსკოვის კონსერვატორიაში მეტად ხელსაყრელი იყო ქართველი სტუდენტი ჭაბუკისათვის, რამდენადაც, როგორც ავტორი აღნიშნავს, ქართული ხალხური მუსიკის წყობაც პოლიფონიის (მრავალხმიანობის — შ.კ.) პრინციპს ემყარება და თითქოს ეს მაღალკვალიფიციური ოსტატი საგანგებოდ იყო მოწოდებული ზაქარია ფალიაშვილის აღსაზრდელად".

და ეს ხომ, საბედნიეროდ, მუსიკოსის ახდენილი, სანუკვარი ოცნება იყო.

1900 წლის 13 ივნისით დათარიღებულ წერილში ზაქარია ფალიაშვილი ს.ი. ტენეევს წერდა: „...ნ.ს. კლენოვსკიმ (იმხანად თბილისის სამუსიკო სასწავლებლის ხელმძღვანელი — ც.ხ.) მირჩია ვისწავლო თქვენთან, რადგან, მისი აზრით, უკეთესი კონტრაპუნქტისტი რუსეთში სხვა არ არის, ხოლო პოლიფონიის ამ სახეში განსაკუთრებული დახმარება მჭირდება მისი საფუძვლიანი შესწავლისათვის. დავრჩები თქვენდამი ღრმა პატივისმცემელი თქვენი მორჩილი მსახური ზაქარია ფალიაშვილი. 13.VI.1900".

ამ ჟანრში მოღვაწეობა ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების უძვირფასესი ფურცელია, რამეთუ ისინი კომპოზიტორის მარადუბერებელ საოპერო ქმნილებათა ერთგვარი უვერტიურაა.

ზაქარია ფალიაშვილის გამოსათხოვარ წერილში ტიციან ტაბიძე ქართველ კომპოზიტორთა შორის წინა პლანზე წამოსწევს ამ მხრივ მუსიკოსის განსაკუთრებულ ნაღვაწს: „ნიკო სულხანიშვილი ნამდვილი კახელი ორეულია მუსიკაში ნიკო ფიროსმანისა, მისი უტკბესი ქართული კილო მთელ თაობას აღზრდის. სულხანიშვილი მაინც ვერ გასცილდა კახურ კილოს, ისე როგორც იმერეთის კილო ახასიათებს მელიტონ ბალანჩივაძეს... ზაქარია ფალიაშვილმა კი მოგვცა მთლიანი ქართული მუსიკა, აქ (იგულისხმება ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი" — ც.ხ.) ყველა კუთხეა გამოყენებეული, მაგრამ შეკრულია სასტიკი მონტაჟით..." პოეტი აქვე შეჩერდება ხალხური სიმღერის ოსტატებზე:

„როგორც იტყვიან, გენია არ არის ერის მოვალეობა, — ეს უფრო მისი ბედნიერებაა და როგორ უნდა იყოს შედევრებით ისე განებივრებული ხალხი, რომ ითვლიდეს მათ? და ამ შედევრებსაც ჰყავს თავისი ოსტატები „დედას ლევანა", ჯილაური, აშუღები და აშუღის თუნდაც ისეთი ვარიაცია, როგორიც იყო დანიელა ურია, რომელმაც მთელ იმერეთს მოჰფინა აკაკის ლექსები".

და, უადგილო არ იქნება, თუ მკითხველის ყურადღებას ამ მივიწყებულ სახელზე შევაჩერებ, რადგან დღევანდელი მკითხველი მას ნაკლებად, ან შეიძლება სრულებითაც არ იცნობდეს. მით უფრო, რომ ეს ძვირფასი მარგალიტი, სამწუხაროდ, არ ჩაწერილა. აქ მადლიერების გრძნობით დავესესხები ცნობილი ქართველი მომღერლის, საქართველოს სახალხო არტისტის ბათუ კრავეიშვილის მოგონების ფურცელს, რომლითაც ავტორი თავისი მშობლიური კუთხის, სამტრედიის (სადაც დაიბადა და აღიზარდა) შთაბეჭდილებებთან, თავისი საყვარელი ბებიისა და ბაბუის ოჯახში გატარებულ წლებთან ერთად საინტერესოდ გადმოგვცემს თავისი ბიძის ნიკოლოზ კრავეიშვილის ნაამბობს აღნიშნულ სახელთან დაკავშირებით:

„ბიძაჩემი ნიკოლოზ კრავეიშვილი მიამბობდა, რომ დანიელა ფლობდა იშვიათ მჟღერ, რბილი ტემბრის ხმას, — ფართო დიაპაზონის ლირიკო-დრამატულ ტენორს. ის ერთნაირი წარმატებით მღეროდა დამატყვევებელ — უნაზეს მეგრულ, გურულ, საგმირო, დიდებულ კახურ სუფრულ და სიცოცხლით სავსე იმერულ სიმღერებს. თბილისიდან დაბრუნებული დანიელა ყოველთვის შეაჩერებდა ხოლმე ფაეტონს ჩვენს სახლთან ახლოს და მღეროდა თავისებური უშუალობით რომელიმე თავის საყვარელ სიმღერას. ჩვენ მივდიოდით მასთან, მხიარულად მივესალმებოდით და მივეშურებოდით მასთან ერთად ჩვენი სახლისაკენ. ის ხომ სასურველი სტუმარი იყო ყველასათვის. ხშირად მას იწვევდნენ არისტოკრატიულ ოჯახებშიც.

ერთხელ, იგონებდა ბიძაჩემი, მე და ჩემმა ძმამ, ჭიჭიკომ გადავწყვიტეთ ავსულიყავით თავად დადიანების რეზიდენციაში, გორდში. ძმას იქ „გულის საყვარელი" ელოდა. იქ იმყოფებოდა დანიელაც. მესამე დღეს, სახლში დაბრუნებისას შევიარეთ ხონში. ჩვენი ყურადღება მიიპყრო აფიშამ, რომელშიც გამოცხადებული იყო ვანო სარაჯიშვილის კონცერტის შესახებ. ბილეთები, რა თქმა უნდა, არ იშოვებოდა, მაგრამ ვანომ გაიგო, რომ დანიელა ხონშია და მას და მის თანმხლებ პირებს გამოუგზავნა საშვი კონცერტზე დასასწრებლად.

საღამომ დიდი წარმატებით ჩაიარა, ვანო მღეროდა რაღაცგვარი თავდავიწყებით. დარბაზში ბევრნი ტიროდნენ კიდეც. კონცერტის შემდეგ ყველა წვეული და ვანოს ახლო მეგობრები შეიკრიბნენ სუფრასთან. ვანო ბევრს ხუმრობდა, მხიარულობდა... და აი, მან დამსწრეთ გამოუცხადა: „მეგობრებო, ჩვენს შორის იმყოფება დიდებული ხალხის საყვარელი მომღერალი დანიელი. ვთხოვოთ მას გვიმღეროს. დანიელს დიდი თხოვნა არ დასჭირვებია, ადგა და იმღერა, და მერე, როგორ! გეგონებოდა თითქოს იგი ეჯიბრებოდა თვით ვანოს, როგორც სწორი სწორს. ვანო უსმენდა მას ანთებული, მოღიმარე

(დასაწყისი იხ. N 3-4)

ეროვნული ბიბლიოთეკა







● მუსიკოსი და-ძმანი ფალიაშვილები: ივანე, ზაქარია, ლევანი, ჟანა და პოლიკარპე

თვალებით. აი, მომღერალმა აიღო თავბრუდამხვევი ნოტი და დადუმდა. წამოვიდა აპლოდისმენტების ქარიშხალი. „ბრავო“, — შესძახა ვანომ, აღტაცებული მიეჭრა დანიელს, ქოჩორა თავი გადაუწია და ყელზე აკოცა:

— მერწმუნეთ, დანიელი რომ იტალიაში დაბადებულიყო, ის იქნებოდა დიდი მომღერალი, — აღელვებით ამბობდა ვანო და შეუმჩნევლად რაღაც ჩაუდო ჯიბეში.

გვიან დავიშალენით, თითქმის გამთენიისას. გზაში დანიელმა მითხრა: „— ვანოს, ჩვენს ბულბულს, არა მხოლოდ ოქროს ყელი, გულიც ბაჯაღლო ჰქონია, მან არამარტო ძმური სიყვარულით, ფულითაც დამაჯილდოვაო“.

შეუძლებელია, აქ არ გავიხსენო 1901 წელს ზაქარია ფალიაშვილის სტუმრობა შილდაში, ვახვახიშვილების ოჯახში, სადაც მასპინძელმა თხუთმეტი შესანიშნავი ოსტატი მოჰგვარა საპატიო სტუმარს.

მომღერლებს ზაქარიას დიდი აღტაცება გამოუწვევია:

„... ორი სამიოდე ჭიქა ღვინის გადაკვრის შემდეგ დაიწყეს სიმღერა, მაგრამ რა სიმღერა! მე ამისთანა მწყობრად შესრულებული კახური სიმღერა არ გამეგონა... განსაკუთრებით იმათში გამოირჩეოდნენ: ლევან ივანეს ძე ასაბაშვილი (მეტი სახელი, „დედას ლევანა — ზ.ფ.), ბათო დავითის ძე როსტომაშვილი, ალექსი გიორგის ძე ელოშვილი და ლაზარე სვიმონის ძე კოკილაშვილი...“

კომპოზიტორი ხალხური სიმღერების ამ ოსტატების შესანიშნავ დახასიათებას გვაწვდის, მათ შორის, „დედას ლევანას“ მშვენიერ პორტრეტსაც:

„დედას ლევანა არის მაღალი ტანის, წარმოსადეგი, მხარ-ბეჭიანი გლეხი, 43-45 წლისა. მღერის როგორც მოძახილს, ისე დამწყებსაც, მომეტებულად კი მოძახილს. მაგრამ ამ მდევ-კაცს ბუნებით ისეთი მშვენიერი, გავარჯიშებული და დიდი ხმა (ტენორი) აქვს, რომ, მე ვგონებ, ჩვენი ოპერის მომღერალიც არ დაიწუნებდა და კიდევაც ინატრებდა იმისთანა იშვიათ ხმას. ამას გარდა, მშვენიერი გამოთქმაცა აქვს. საუცხოვო მოლაპარაკეა, თამამი მიხვრა-მოხვრა, ერთის სიტყვით, ღმერთს მიუნიჭებია იმისთვის ყოველივე ის, რაც კარგი არტისტისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს“.

როგორც ცნობილია, შემდეგში კრებულებად აიკინძა ზაქარია ფალიაშვილის მრავალი წლის ნამოღვაწარი — მის მიერ შემუშავებული ხალხური სიმღერებისა და საეკლესიო საგალობელთა კრებულები. მათი გამოცემის თარიღი 1911 წელია. კომპოზიტორმა მუხლჩაუხრელი შრომით თავადვე იტვირთა ფუძემყრელის როლი იმ ბრწყინვალე შენობის ამგებისა, რომლის ჯადოსნური კარებიც თავადვე შეაღო თავისი ქართული სწორუპოვარი ოპერებით.

„კულტურით ევროპელმა მე ევროპული ფუძე დავუდე ჩემს მუსიკას... მასში აღმოსავლეთი და დასავლეთია შეჯვარებული. სწორედ ამის ხაზგასმა მინდოდა მე ჩემი ოპერა „აბესალომ და ეთერის“ შექმნის დროს, რადგან ამ პრინციპში ჩემი შემოქმედების საწყისს და ქართული ეროვნული მუსიკის პროგრესს ვხედავდი...“ დიდი სიფრთხილით ვაკვირდებოდი ხალხურ სიმთღერათა ჰარმონიზირებას და სტილიზირებას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ხელუხლებლად ვინახავდი მათში თვით ხალხის მიერ შემუშავებულ ეროვნულ იერიანობასა და ტრადიციებს, — ამბობდა დიდი მუსიკოსი და ამ განაცხადით ერთგვარად აძლევდა კიდეც მსმენელს თავისი მაღალი საოპერო სამუსიკო შემოქმედების გასაღებსაც.

მაგრამ ჯერ ისევ 900-იან წლებს გადავწვდეთ, — მოსკოვის კონსერვატორიაში განსწავლის ხანას, რომელიც ერთ-ერთი უძვირფასესი იყო ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებაში.

ერთ დღეს მოსკოვში ცნობილი ქართველი რეჟისორი მიხეილ ქორელი და იმხანად საზოგადოება „კახეთის“ რწმუნებული მოსკოვში სანდრო კვალიაშვილი სწვევია. სახელდახელოდ მცირე ტრაპეზიც გაშლილა.

— თქვენ ეს არის, უკრავდით. ხელი ხომ არ შეგიშალეთ? — მოკრძალებით უკითხავთ მასპინძლისათვის.

— არა, არა! ვვარჯიშობდი... ქართულ ჰანგებს ვამუშავებ, ჩემთვის... ევროპული და რუსული მუსიკის ძირითად კანონებს ვეცნობი, ქართულ ხალხურ მუსიკას ვადარებ...

გატაცებით ჰყვარებია რიჰარდ ვაგნერი. გამორჩევით — ტანჰოიზერის უვერტიურა, თუ რატომ, ამის მიზეზსაც თავადვე ახსნის:

„ამ ნაწარმოებში ავტორი ხალხის სუნთქვით სუნთქავს და მსმენელიც ამ სულისთქმას ადვილად იზიარებს“.

განსაკუთრებით ხიბლავდა თურმე უვერტიურის გაძლიერებული ორკესტრი არტურ ნიკიშის დირიჟორობით. ნიკიში! — „პეტრე ჩაიკოვსკის მეხუთე და მეექვსე სიმფონიის ყველაზე ღრმა და ბრწყინვალე ინტერპრეტატორი“ (მოდესტ ჩაიკოვსკი), ვისაც თვით პეტრე ჩაიკოვსკი გენიალურ კაპელმეისტერს უწოდებდა. მასვე, დიდი უნგრელი მაესტროს ხელოვნებით აღმაფრენილს უთქვამს, „ვისაც არ მოუსმენია ისეთი საოცარი ოსტატისათვის, როგორიც ნიკიშია, იმას წარმოდგენა არა აქვს, სადამდე შეიძლება მივიდეს ორკესტრული სრულყოფილება“.

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ კიდევ და კიდევ უკვე მერამდენედ უსმენდა ხსენებულ ნაწარმოებს:

— ეს ნაწარმოები ხომ ზეპირად ვიცი, მაგრამ დეტალები, ნიუანსები? — მისებური გატაცებით უთქვამს იმ დღეს მეგობრულ სუფრასთან და საუბრის კილოში სევდაც შერევია:

— ნეტავი ჩვენს მუსიკასაც ასეთივე სიძლიერის კომპოზიტორი ეღირსებოდეს ოდესმე.

ციური ხეთერელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოდარ ჯალაღონია

* * *

თუმცა წლებმა დამიჯაბნიეს,
გული თავისას არ იშლის.
მზადა ვარ ისევ ვათიო
ღამე
        ლამაზი ქალისთვის.

მაგრამ დღეს როცა ვიღვრები
მათ წინ
            ფიცით და ფიცილით,
ჩემს ქათინაურს ისმენენ
ღიმილითა და სიცილით.

რა ვქნა და, ცუდად მენიშნა,
თუმცა არა ვარ მისანი,
ცოლიც რომ არ ეჭვიანობს,
არ არის კარგის ნიშანი.

* * *

იქნებ არის ოცნება
და თვითონვე ვიგონებ.
იქნებ ტყუილა ვაწვალებ
ლექსებსა და სტრიქონებს.

იქნებ სასაცილოა,
მაგრამ მაინც ვიფერებ,
სიყვარულის იმედით
ვაფრთხობ წლებს და სიბერეს.

* * *

დიდი მადლობა ამისთვის,
ამ ლამაზ ოცნებისათვის,
თეთრად გატეხილ ღამისთვის
და მერე - ლამაზ დღისათვის.

შორი წვით, შორი ალერსით,
სული რომ გამიმაისე,
ბებერი გული და ლექსი,
ისევ რომ გამიხალისე.

* * *

რა სათქმელია - გული დაბერდა,
წლები სიყვარულს ასაკს არ ადებს,
მე სულს ვუბერავ მიმქრალ ნაღვერდალს,
რომ ისევ ძველი ალი ავარდეს.

რა ბედენაა თმაში ჭაღარა,
სიტყვა და გული თუკი წრფელია.
სხვა სურნელი აქვს ვარდებს თიბათვის,
ჩამავალი მზე უფრო მწველია.

რა საჭიროა წლებთან კამათი,
თუ სულში ისევ ძველი ჟინია.
შენ არ ვიცი, მე კი, ნამდვილად,
იმ ცეცხლის ალის არ მეშინია.



* * *

ისევ მინდა სიყვარულს,
გულის კარებს ვუღებდე.
სხვას არაფერს არ ველი,
შენს ღიმილზე უკეთესს.

სულს მოუნდა სიყვარულს,
ისევ ვარდებს ვუფენდე.
სხვას არაფერს არ ვნატრობ
შენს ალერსზე უკეთესს.

ო, როგორ მსურს სიყვარულს,
ისევ გუნდრუკს ვუკმევდე.
სხვას არაფერს არ ვითხოვ,
სიყვარულზე უკეთესს.

* * *

„მოდი, შემინდე ეს სიყვარული“
*რაბინდრანათ თაგორი*

სიყვარულში რომ ვერ დავარწმუნე,
არ დამიწყია წლებთან კამათი,
სიბერეს ერთი გავულაწუნე
და მივყევ ჩემი ბედის კამათელს.

სჩანს იმედები ჯერ არ დაცლილა,
რადგან განგებამ ასე ინება,
გავუძლებ ყველა ქილიკ-დაცინვას,
გავუძლებ ყველა ლანძღვა-გინებას.

ვიქნები ჩემი ფიქრის ამარა,
თუ ოცნებებით ღამე ვათიე...
ახლა ეს არის ჩემთვის მთავარი,
თუ ამ სიყვარულს შენ მაპატიებ.

* * *

როდესაც გული გულს უგებს
და სული სულთან სწორფერობს,
უფრო ლამაზი მგონიხარ,
ლამაზო წუთისოფელო.

# მიხეილ ჭიაურელის ვერიკო



ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში მკითხველს შევპირდით, რომ ცნობილი მსახიობის, ქალბატონ სოფიკო ჭიაურელის საქვეყნოდ აღიარებული მშობლების – მიხეილ ჭიაურელისა და ვერიკო ანჯაფარიძის სიყვარულის შესახებ მოვუთხრობდით. სიამოვნებით ვასრულებთ დანაპირებს და შევეცდებით, მსგავსი ისტორიები კვლავ შემოგთავაზოთ.

მიხეილ ჭიაურელი – გენიალური ქართველი კინორეჟისორი... მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება: მოქანდაკე, მხატვარი, მსახიობი, მწერალი, მომღერალი... საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში სახალხო თეატრის დამაარსებელი და, რაც მთავარია, თბილისში მუსიკალური კომედიის თეატრის შემქმნელი... მსოფლიოს მრავალი კინოფესტივალის ლაურეატი, არაერთი პრემიისა და პრიზის მფლობელი, მაგრამ მაინც – უბრალოდ, მემწვანილის შვილი ჭიაურის ტყიდან.

ვერიკო ანჯაფარიძე – ქუთაისის არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელი, არაერთი პრემიის ლაურეატი, თეატრისა და კინოს ვარსკვლავი, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე პატარა გოგონასავით ვერიკოს ეძახდნენ. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ბრიტანეთის ხელოვნების აკადემია ამ „პატარა გოგონას" მეოცე საუკუნის მსოფლიო ტრაგიკოსთა ათეულში შეიყვანს, მანამდე კი... საინტერესოა, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს უბრალო მემწვანილის ბიჭი და არისტოკრატი ქალიშვილი?

### პირველი პაემანი

ოპერაში ბელინის „ნორმას" წარმოადგენდნენ. ვერიკო ლოჟაში იჯდა და დარბაზს ათვალიერებდა, მიშა კი „ქანდარაზე" იჯდა და ლოჟას ათვალიერებდა! უცებ მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა და მოხდა ის, რასაც ერთი ნახვით შეყვარება ჰქვია. მიშა ვერიკოს ლოჟაში ეახლა და უთხრა: „მე თქვენ გაგიჟებით მიყვარხართ!" „თავი დამანებეთ, მე თქვენ არ გიცნობთ, როგორ არ გრცხვენიათ! – მიიღო პასუხად – ნახეთ, როგორი მუსიკაა, მას უსმინეთ". „მე მხოლოდ თქვენი ხმა მაჯადოებს". „ძალიან გთხოვთ, თავი დამანებეთ, თორემ სკანდალს მოვაწყობ!"... ასე იყო თუ ისე, იმ საღამოს ახალგაზრდა წყვილი ფიქრის გორაზე აღმოჩნდა. რაზე ილაპარაკეს მაშინ, არავინ იცის, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – თავიანთი პირველი პაემნის ადგილას მიშამ ვერიკოს სახლი აუგო.

ამ სიყვარულს მიუძღვნა მშვენიერი ლექსი „ფიქრის გორა" ნოდარ ჯალაღონიამ:

არ სცილდება გული გულს და,
არ სცილდება ბაგე – ბაგეს,
სიყვარული ბროლის კოშკებს,
ოქროს სასახლეებს აგებს.

ახლა, როცა, შორით ვუმზერ,
იმ დიდ გრძნობას უფრო ვაქებ,
„ფიქრის გორას" სიყვარულის
და მიჯნურთა ქალაქს ვარქმევ.

მათი სული ისევ მღერის,
მათი გულის ფეთქვაც გვესმის,
არ კვდებიან სიყვარულის
და ოცნების სასახლეში.

მაშ ასე: მიშას და ვერიკოს ერთმანეთი შეუყვარდათ – შეუყვარდათ გაგიჟებით და ეს გრძნობა სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გაჰყვათ. როდესაც მიხეილ ჭიაურელი ქანდაკების შესასწავლად გერმანიაში (ვაიმარში) გაგზავნეს, ვერიკომ უთხრა: „მეც წამოვალ!" და მასთან ერთად წავიდა საზღვარგარეთ ისე, რომ ჯვარი დაწერილი არ ჰქონდათ. საშინელი სკანდალი ატყდა: რას აღარ ლაპარაკობდნენ, ესაო, ისაო, როგორ არ რცხვენიათ... რა იცოდნენ, რომ ნამდვილ სიყვარულს წინ ვერაფერი დაუდგებოდა!

ვერიკო ერთ კვირაში დაბრუნდა გერმანიიდან, რადგან მარჯანიშვილის თეატრში პრემიერა მზადდებოდა და მას ვერ გამოაკლდებოდა. მიშამ მშობლებთან წერილი გამოატანა. ვერიკომ ეს წერილი, ცხადია, ადრესატებს მიუტანა. მიშას მამა, მაგიდასთან იჯდა და მწვანილს არჩევდა. „გამარჯობათ, ბატონო ედიშერ, მე ვერიკო ვარ, გერმანიიდან ჩამოვედი და მიშას წერილი მოგიტანეთ". „ჩემი მიშასი? მამე, გენაცვალე, მამე" – ედიშერმა სათვალე მოიმარჯვა და წერილის კითხვა დაიწყო: „დედა, მამა, ძალიან მენატრებით. იმედია, მალე განახავთ, მაგრამ ვიდრე მე ჩამოვალ, მინდა იცოდეთ, ამ წერილის მომტანი არის ჩემი ცოლი – ვერიკო!" „რაო?" – ედიშერმა ბოლო ფრაზა ხელახლა წაიკითხა და განაგრძო: „აბა, თქვენ იცით, ჩემს ჩამოსვლამდე მოუარეთ და მოეფერეთ"... ედიშერს ვერიკო არ მოეწონა! მის წინ იდგა ქალი სხვა სამყაროდან. „სოფიო, – დაუძახა ცოლს, – გამოდი ერთი, ვიღაც ვერიკო მოვიდა, წერილი ჩამოგვიტანა, შენი შვილი გვწერს, „ჩემს ჩამოსვლამდე მოეფერეთო" – მიდი და ეფერე!"

როდესაც მიშა გერმანიიდან დაბრუნდა, მის ოჯახში ახალ ნათესავებთან შესახვედრად დაიწყეს მზადება. ედიშერი ზუსტად სტუმრების მოსვლის წინ სადღაც გაქრა. სუფრა მიშამ წარმართა. იგი მოწოდების სიმაღლეზე იყო: გიტარაზე უკრავდა, მღეროდა, შაირობდა... ვახშამმა შესანიშნავად ჩაიარა. ვერიკოს არისტოკრატი დედა აღფრთოვანებული იყო: „ღმერთო ჩემო, ქალბატონო სოფიო, რა კარგად მღერის თქვენი შვილი?.. ვერიკომ მისი ნახატები მაჩვენა, შესანიშნავია... „ექსტრაორდინეა!".. ნიჭიერი ყმაწვილია. ვერიკო შეყვარებულია..." ამ დროს კარი გაიღო და ედიშერი გამოჩნდა. „სადა ხარ, ბიჭო, შემოდი, გაიცანი, ეს ჩვენი ვერიკოს დედაა! – ეუბნება სოფიო. „ანტლე, ანტლე (ფრანგ.)... მობრძანდით, ბატონო ედიშერ, ყავა მაინც მიირთვით ჩვენთან ერთად"... „ყავას არ ვსვამ" – ჩაილაპარაკა ედიშერმა და სანამ არისტოკრატ ქალბატონს გული წაუვიდოდა, ისლა წაიბუტბუტა, რომ მათი შვილები ერთმანეთს არ შეეფერებოდნენ. აშკარად ცდებოდა, რადგან ვერიკო და მიშა ძალიან უხდებოდნენ ერთმანეთს – ნამდვილი ქალის გვერდით ნამდვილი მამაკაცი იდგა!

ძალიან ახალგაზრდა იყო ვერიკო, როდესაც მის ცხოვრებაში ერთი ასეთი ფაქტი მოხდა: თეატრი გასტროლებზე იყო აბასთუმანში. ვერიკოსთან ერთად ოთახში ახალგაზრდა ქალი ცხოვრობდა. ქვეყნის ხელისუფალმა მას თვალი დაადგა და უთხრა, რომ იმ ღამეს გააბედნიერებდა და მასთან მივიდოდა. ახალგაზრდა ქალმა ვერიკოს სთხოვა, მარტო დაეტოვებინა. ვერიკო შეჰპირდა, რომ ასეც მოიქცეოდა, მაგრამ... საწოლის ქვეშ დაიმალა! როდესაც „მიჯნურთა" სასიყვარულო თამაშმა კულმინაციას მიაღწია, ვერიკოს გაეცინა – ხელისუფალმა იგი სამალავიდან გამოათრია.

მას შემდეგ მიხეილ ჭიაურელისა და ვერიკო ანჯაფარიძის ოჯახში პატარა ფუთამ დაიდო ბინა. მაშინ ასეთი ფუთები თითქმის ყველა ოჯახში იყო. დღისით ადამიანები ჩვეულებრივ ცხოვრობდნენ: წერდნენ ლექსებს, მუსიკას, ხატავდნენ... ღამით კი შიშით ელოდებოდნენ კარზე ფრთხილ კაკუნს. მაშინ ამას ძალიან ზრდილობიანად აკეთებდნენ – ადამიანები სახლიდან ჩუმად მიჰყავდათ და სამუდამოდ აქრობდნენ.

„მე არ მეშინია – თავს არწმუნებდა ვერიკო – ამბობენ, რომ ნორმალურ ბანაკებში საკუთარი თეატრებიც აქვთ, ჰოდა, იქაც ვითამაშებ... დიახაც, ვითამაშებ!"

ერთ მშვენიერ დღეს მათ სახლთან მანქანა გაჩერდა. კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა. „თუ შეიძლება კარი გააღეთ" – მოისმა უცნობის ხმა. „მიშა, გააღე" – უთხრა ვერიკომ მიშას და ფუთაში გრიმის კოლოფი ჩააგდო. კარი გაღო და ზღურბლზე სტალინი გამოჩნდა, შემდეგ ლენინი... ვერიკოს ისტერიკა დაემართა. „თქვე მათხოვრებო... მათხოვრებო!" – ყვიროდა მიშა. „ჩვენ მხოლოდ გრიმის ჩვენება გვინდოდა, ბატონო მიშა, გრიმის ჩვენება..." – თავს იმართლებდნენ მსახიობი მიშა გოგოლაძე და მიფკე (გრიბოედოვის თეატრის მსახიობი), რომელიც ლენინის როლს თამაშობდა. სწორედ მაშინ მიხეილ ჭიაურელი „დიად განთიადზე" მუშაობდა და მსახიობებს ეძებდა. ყველაზე მთავარი იყო, სტალინს და ლენინს ვინ ითამაშებდა.

მიხეილ ჭიაურელი შეყვარებული იყო სტალინზე და სტალინიც დიდად აფასებდა მიშას (სოფიკო ჭიაურელის საოჯახო არქივში ინახება სტალინის მიერ მიხეილ ჭიაურელისათვის ნაჩუქარი წიგნი წარწერით: „ჩემს მეგობარს ჭიაურელს სოსოსგან"). ვერიკოც მხოლოდ იმიტომ გადაურჩა გადასახლებას, რომ იმ დროს, როგორც ქალბატონმა სოფიკომ გვითხრა, „მიშა უკვე პირადად იცნობდა სტალინს და შეეშინდა ბერიას, ვერ გარისკა, თორემ, რაც დედამ გააკეთა, რატომ იქვე არ დახვრიტა, გასაკვირია... თეატრი უკან ბრუნდებოდა გასტროლებიდან, როცა დედა მატარებლიდან ჩამოსვეს მცხეთაში, და მაშინვე შეატყობინეს მამას, რომელიც მაშინ მოსკოვში იყო. მიშა, ცხადია, საქმეში ჩაერია და... დიდი ხნის შემდეგ მამა სტალინს შეეკითხა „თქვენ ხომ არ გითამაშიათ როლი, ჩემი ოჯახის გადარჩენაშიო?" სტალინს ჩაეცინა, რაც დასტურის ნიშანი იყო.

სოფიკო ჭიაურელი: მამა და დედა აბსოლუტურად სხვადასხვა ადამიანები იყვნენ – პლიუსი და მინუსი – ალბათ, ამიტომაც იზიდავდნენ ასე ძლიერად ერთმანეთს. მახსოვს, როგორ უხსნიდნენ ერთმანეთს სიყვარულს ტელეფონში, როცა მამა მოსკოვში იყო და დედა აქ, თბილისში და როგორ ბრაზდებოდა ხოლმე ვერიკო, როცა მორიგ ტელეგრამას მიიღებდა: „სამწუხაროდ, ჯერ ვერ ჩამოვდივარ, გადაღებები გრძელდება, უზომოდ მიყვარხარ. მიშა". მერე ჩამოდიოდა და დედას საჩუქრებით ავსებდა, დედა კი ამ საჩუქრებს იქვე თავის დაქალებს ურიგებდა. ერთხელ მამას ამერიკული მანქანა „კრაისლერი" აჩუქეს. მაშინ ეს ერთადერთი ამერიკული მანქანა იყო თბილისში. ამ მანქანით ქუჩაში სიარული შეუძლებელი იყო, მთელი თბილისი უკან მოგვყვებოდა. როდესაც მამა მოსკოვში წავიდა, დედამ ეს მანქანა გაყიდა და „პობედა" იყიდა – ვალი მქონდაო, აუხსნა მამას. როცა მამა კიდევ ერთხელ წავიდა მოსკოვში, დედამ „პობედაც" გაყიდა და „მოსკვიჩი" დაახვედრა. „საყვარელო, ალბათ, შემდეგ ჩამოსვლაზე მოტოციკლით დამხვდებიო" – უთხრა მამამ. „არა, ველოსიპედით" – დაუბრუნა პასუხი ვერიკომ... სამწუხაროდ, ეს ხუმრობა არ იყო.

ვერიკო მამას თითქმის ყველა ფილმშია გადაღებული – მიშას მოსწონდა იგი, როგორც მსახიობი. შემდეგ, როცა უკვე მე გავხდი მსახიობი, ჩემზე გადმოინაცვლა (ქალბატონი სოფიკო გადაღებულია მიხეილ ჭიაურელის სამ ფილმში „გენერალი და ზიზილები", „ამბავი ერთი ქალიშვილისა", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ").

### წერილები გარდაცვლილ მეუღლეს

„აგვისტო. გილოცავ ფერიცვალებას. გუშინ შენი ქალიშვილი ვენეციიდან ჩამოვიდა – რაღაც პრიზი მიიღო. ფილმის სახელწოდება არ მახსოვს. ძალიან აქებდნენ სოფიკოს, ვენეციას კი არ დავიწყებიხარ. გაზეთები იხსენებდნენ ორმოცდაშვიდ წელს, იმ ფესტივალს, შენს ფილმს, შენს გვარს და პრიზს. (1946 წელს ჭიაურელის ფილმმა „ფიცი" ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე გრან-პრი მიიღო – თ.ო.). სხვათა შორის, მეც გამიხსენეს, როგორც შენი მეუღლე, ქალი, რომელიც ნაზი, მელოდიური ხმით – წამღერებით ლაპარაკობდა, ნეტავ ახლა მოასმენინათ ჩემი ხმა, ბებერი ყვავი! ოჯახში ყველაფერი რიგზეა. ძალიან მენატრები. მიყვარხარ".

„დღეს აღმოვაჩინე შენი დიდი ხნის საჩუქარი. რა ლამაზი კაბა ყოფილა. რატომ არ ვიცვამდი? ოჯახში ყველაფერი რიგზეა. მიყვარხარ. მენატრები".

„გაგეცინება, მაგრამ თენგიზ აბულაძე – მგონი, შენი მოწაფეა, – თავის ფილმში როლს მთავაზობს. არა, როლი უნდა ნახო – სულ ერთი ფრაზაა: „რა საჭიროა გზა, რომელიც ტაძრამდე არ მიგიყვანს?" ეგ წუწურაქი, ეგა, შეეძლო ჩემთვის ცოტა უფრო დიდი როლი შემოეთავაზებინა. არა, შენ თუ არ გინდა, მე არ გადავიღებ, თუმცა რას გეკითხები? მაინც ხომ ისე გავაკეთებ, როგორც მე მინდა. ოჯახში ყველაფერი რიგზეა. მიყვარხარ. მენატრები"...

„მიყვარხარ, მენატრები" – ყველა წერილი ასე მთავრდებოდა და ამ წერილებს ვერიკო გარდაცვლილ მეუღლეს წერდა. მათ ბაღში ქრიზანთემები არ ჭკნებოდა, ფილმში კი მაინც გადაიღო...

გასულ წელს მიხეილ ჭიაურელი კიდევ ერხელ „შეხვდა" ვერიკო ანჯაფარიძეს და მის გვერდით სამუდამოდ დაიდო ბინა. ახალი კინოსტუდიის ბაღიდან მამის ნეშტის მთაწმინდაზე გადასვენებით, ქალბატონმა სოფიკომ, როგორც თავად გვითხრა, დიდი ლოდი ჩამოიხსნა გულიდან.

*თამარ ოთიაშვილი*



ერთი სიყვარულის ისტორია

# ერთი შეხედვის შეყვარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუსიკა — ღმერთთან და ადამიანებთან ურთიერთობისთვის!



ცხოვრებაში ღმერთისგან ისეთი საჩუქარი მიიღო, ყველასგან უმალ განსხვავებული გახდა... ეს მაშინ მოხდა, როცა 12 წლის პირველად მიუჯდა როიალს. მას მერე არც ისე ბევრი დრო გავიდა... იყო აღიარება, დიდი გამარჯვებები, ჯილდოები, პრემიები...

თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს... მნიშვნელოვანი მისთვის სულ სხვა რამეა. მთავარი სიმშვიდეა. ამაზე მუდამ ფიქრობს, მუდამ ძიებაშია, მუდამ საუბრობს... ვისთან? –ვინც განუშორებლად მასთან არის. ეს ღმერთია. მის მიერ შექმნილ სამყაროში ჯერჯერობით, მხოლოდ სამნი არიან: ის, მუსიკა და ღმერთი.

გზა იცის, რომ გრძელი აქვს. იმაზე უფრო გრძელი, ვიდრე ჩანს. ასე რომ, მწვერვალამდე შორია. თუმცა, იქამდე აუცილებლად მივა. როდის? — როცა უბრალოდ, ბგერებით დაგველაპარაკება.

ადამიანი, ვისზეც ახლა გესაუბრებით, ცნობილი ახალგაზრდა ქართველი პიანისტი ვალერიან შიუკაშვილია. მასთან ჩვენი ინტერვიუ, რასაკვირველია, მუსიკაზე საუბრით იწყება.

**— ვაკო, ვისთვის საკუთარი პროფესია მიზანი, ვისთვის უბრალოდ ჰობია. მაინტერესებს, თქვენთვის რა არის თქვენი პროფესია?**

— მუსიკაში ყველაზე უფრო კარგად გამოვხატავ ჩემს შინაგან სამყაროს. შემიძლია ვთქვა,რომ მასში ვიპოვნე ჩემი თავი. ოღონდ საკუთარი თავით ჯერჯერობით კმაყოფილი არ ვარ. ეს, ალბათ, ყველა ხელოვანს ემართება, როცა მიღწეულით უკმაყოფილო ხარ, მერე უფრო და უფრო ბევრს მუშაობ. პრინციპში,ეს არის სწორედ ის ხაზი,რომელსაც ცხოვრება ჰქვია. ეს არის ჩემი სამყარო და მასში შესვლის უფლებას არავის ვაძლევ. ისე გამოვიდა, რომ მთლიანობაში ჩემი სამყარო ორ ნაწილად დაიყო: პირველ ნაწილში ვარ მე, ღმერთი და ჩემი მუსიკა, მეორე ნაწილში კი სხვა დანარჩენი ყველაფერი. ეს არის ის კონკურსები,ფესტივალები, კლიპები,კონცერტები თუ სხვადასხვა სახის საორგანიზაციო საკითხები, რითაც მე უბრალოდ ვერთობი მხოლოდ. ვიღაცისთვის გართობა შეიძლება სულ სხვა რამეს ნიშნავს, მაგრამ ჩემთვის გართობა არის ეს და უნდა გითხრათ, რომ ამით საკმაოდ დიდ სიამოვნებას ვიღებ. ოღონდ, მე როგორც მუსიკოსს, ამ ყველაფერთან არანაირი კავშირი მაქვს. ვთვლი, რომ კლასიკურ მუსიკას არაფერი არ სჭირდება. ის თავისთავად გენიალურია. ეს გვჭირდება ჩვენ.

**— პროფესიულ მიზანზე მინდა გკითხოთ. არსებობს თქვენს ცხოვრებაში, გნებავთ, სამყაროში ასეთი რამ?**

— კი, არსებობს. მთავარი, იცით, რა არის და რას მინდა მივაღწიო?! მსურს ბგერებით ვილაპარაკო. პროფესიულ მწვერვალს მაშინ მივაღწევ, როდესაც როიალზე დავუკრავ და როიალი არაფერ შუაში იქნება. ამის მიღწევა ძნელია, თორემ დანარჩენი რაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო, ყველაფერი გაკეთებულია. მთავარი გულწრფელობაა. თვითონ უნდა იყო იმდენად სუფთა, რომ ეს შეძლო. პრინციპში, რეალურად რა მნიშვნელობა აქვს თითებით იტყვი თუ ხმით შენს სათქმელს. სიტყვები ხომ ყველაფერშია, მუსიკაშიც სიტყვებია.

**— თქვენ საუბარში ღმერთი ახსენეთ. ე.ი. გამოდის, რომ თქვენს ცხოვრებაში რწმენა, რელიგია მნიშვნელოვანია.**

—კი. ძალიან მორწმუნე ვარ. იცით რა, როდესაც გადავხედე ჩემს ცხოვრებას, დავრწმუნდი, რომ ბევრი რამ, ღმერთის ნების გარეშე უბრალოდ ვერ მოხდებოდა. მხოლოდ მისი ჩარევით შეიძლება ხდებოდეს და ისეთი რამ, რომელიც ჩემი პირადია და, რასაც, ალბათ, არასოდეს ვიტყვი. ვგრძნობ, რომ ჩემი ღმერთი მუდამ ჩემს გვერდითაა.

უწმინდესთან საკმაოდ ხშირად მიწევს ნაწარმოებების შესრულება. ძალიან ბევრი რამ დამანახა ამ ადამიანმა. ამისათვის დიდი მადლობელი ვარ. უწმინდესთან ურთიერთობა არ ნიშნავს მხოლოდ პატრიარქთან ურთიერთობას. ამ დროს ვურთიერთობ უდიდეს მუსიკოსთან, უდიდეს მხატვართან. გაოცებული ვარ ამ ადამიანით.

**— თქვენ მსოფლიოში აღიარებული პიანისტი ხართ. არა ერთი მნიშვნელოვანი კონკურსის გამარჯვებული, მნიშვნელოვანი ჯილდოების, პრემიების მფლობელი... რას ნიშნავს ეს ყველაფერი თქვენთვის?**

— მე მაქვს 10 გრამპრი. კი მიხარია, ძალიან სასიამოვნოა. მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. ეს არ არის მთავარი. მთავარი არის ის, რაც ეხება ადამიანის შინაგან სამყაროს. ყველაფერი ძალიან მარტივადაა. უბრალოდ, უნდა გქონდეს როიალი და უნდა აკეთო შენი საქმე. დანარჩენი ყველაფერი სისულელეა. ისეთ ბუმბერაზებს, როგორებიც იყვნენ რიხტერი, ჰოროვიცი და კიდევ სხვები, ერთი პრემია, ერთი ჯილდოც კი არ ჰქონდათ აღებული. მეტსაც გეტყვით. რიხტერი მოსკოვის კონსერვატორიიდან სამჯერ იყო გამოგდებული. მაგრამ რა? არაფერი. კონკურსებზეც იმავეს ვფიქრობ. ჩატარდება კონკურსი, მერე აღმოჩნდება, რომ ყველაზე კარგი იყო ის, ვინც პირველი ტურიდან გააგდეს. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, შენ პირველს აიღებ თუ არა. ჟიურის წევრმა, რომელიც უსმენს და აფასებს მუსიკოსს, დანამდვილებით იცის, რა როგორ უნდა დაუკრას მან? მოცარტთან ჰქონდა ურთიერთობა თუ რა? ასე რომ, ეს ყველაფერი ბევრს არაფერს ცვლის. მაგრამ საქართველოში რომ არ აკეთო სხვა საქმე, შეიძლება ადამიანი მოკვდე შიმშილით. ევროპაში მაგის პრობლემა არ არის. იცით, მე პირადად, საქართველოში ძალიან მიჭირს. აქ, სამწუხაროდ, დამოკიდებულებაა სხვაგვარი. უბრალოდ, პიანისტი ხარ. ის კი არა, რომ დავუშვათ, პიანისტობა კიდევ სულ სხვა რამეს გულისხმობს, არა, უბრალოდ „ეს პიანისტია“ და მორჩა. მაგრამ ხომ არ დაუწყებ ხალხს ამ ყველაფრის ახსნას. არც არის საჭირო. იმისთვის არ ვაკეთებ არაფერს, რომ მერე ამით ვიღაცას რაღაც დავუმტკიცო. გინდა ჭეშმარიტი მუსიკა? — გენაცვალოს ჩემი თავი, არ გინდა — კი ბატონო, კარგად იყავი.

სულ ეს არის ეს.

**— თქვით, რომ თქვენთვის აქ ყოფნა რთულია.**

— არა, მე აქ ცუდად კი არ ვარ. სიგიჟემდე მიყვარს აქაურობა. ჩემთვის მთავარია, რომ მქონდეს ყველაფერი, რაც მინდა. და ასეც არის. მაქვს კიდევაც. აქაც მაქვს ყველაფერი: აგერ სკამი, ნოტი, როიალი. მე სხვა არაფერი მჭირდება. ფულზე გაგიჟებული არა ვარ და არც არასოდეს ვყოფილვარ. აქაურობის სიყვარულის გამო ყოველთვის უარს ვამბობდი შემოთავაზებებზე. ბევრჯერ ძალიან მნიშვნელოვან მიწვევაზე მითქვამს უარი. ამის გამო ძალიან ბევრი მაკრიტიკებდა კიდეც. სულელად მთვლიდნენ. იქ, საზღვარგარეთ არის გაცილებით მეტი კონცერტები, მეტი შესაძლებლობები. ეს შემოქმედის ცხოვრებისათვის თავისთავად მნიშვნელოვანია.

**— ვაკო, შემოქმედებითი აზროვნება დროთა განმავლობაში, რასაკვირველია, თავისთავად იზრდება და ფართოვდება. საინტერესოა, ეს როგორ აისახება თქვენს შემოქმედებით და პირად ცხოვრებაზე?**

— საერთოდ მინდა გითხრათ, რომ პირად ცხოვრებაში ჩემი შემოქმედება არასდროს გადმომაქვს. რეალურ ცხოვრებაში ყველაფერი თავისთავად რეალურად და შედარებით სხვაგვარადაა. მე მყავს აბსოლუტურად სხვადასხვა დარგში მოღვაწე ახლობლები, ნაცნობები... ნებისმიერ ადამიანთან შემიძლია ურთიერთობა. არა აქვს იმას მნიშვნელობა, ის იქნება მინისტრი თუ ერთი უბრალო, გაჭირვებული ადამიანი. ყველანი ვართ ღმერთის შვილები და არც არავინ არ არის განსხვავებული. სამწუხაროდ, ეგოიზმი, ქედმაღლობა და მსგავსი რაღაცეები ძალიან მოდებულია საქართველოში. აი, მანდ ფუჭდება ყველაფერი. არ შეიძლება, ადამიანი ზევიდან დაყურებდე სხვებს და ამ დროს დავუშვათ, გულწრფელად უკრავდე ან თუნდაც, უსმენდე მოცარტის მუსიკას. ეს წარმოუდგენელია. იმიტომაც არსებობს ამდენი პრობლემა.

**— მაინც რა პრობლემებს გულისხმობთ?**

— საკმაოდ სერიოზული პრობლემები, მართლაც, რომ ბევრია. ისინი თავისთავად საქართველოს რეალობიდან გამომდინარე არსებობენ. მაგალითად, ელემენტარულად, ჩვენ გვირჩევნია რაღაცაში მოგვცენ დავუშვათ, 100 ლარი, ვიდრე მადლობა გვითხრან. აი, ეს არის ჩვენი უბედურება. იმაზე უკვე აღარ ვფიქრობთ, ჩვენთვის შინაგანად ეს „მადლობა“ რას ნიშნავს?!

სამწუხაროდ, ვერ ვხვდებით, რომ თუ ჩვენს შინაგან სამყაროს მოვაწესრიგებთ, აუცილებლად გვექნება ის, რაც გვინდა. ყველაფერი თავისთავად მოვა. არაფერი არ მოგვაკლდება.

ზოგ ადამიანს არ შეუძლია გაიგოს კლასიკური მუსიკა, გაიგოს მაღალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიები... მაგრამ ამ დროს გულით კარგი ადამიანია. ეს სულაც არ არის იმ ადამიანის ბრალი. აქ მნიშვნელოვანია, როგორ გარემოშია, რა პირობებშია გაზრდილი. სწორად აღზრდის პრობლემაც არსებობს ჩვენს ქვეყანაში. კომპიუტერმა საერთოდ მოსპო წიგნის კულტურა. აღარ გინდა წიგნის წაკითხვა, ელემენტარულად ჩართავ ტელევიზორს და უყურებ. კომპიუტერის და ტელევიზორის წინააღმდეგი სულაც არ ვარ, მაგრამ უბრალოდ, ყველაფერს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს.

კიდევ ერთი დიდი პრობლემა, რომელიც ჩვენში არსებობს არის გემოვნების პრობლემა, რაც ყველაფერში შეინიშნება. თუნდაც, ავიღოთ ქალაქი. რა ფერებშია ქალაქი?!

ძალიან გვინდა, რომ შევიცვალოთ, მაგრამ თაგვს რომ მოუნდება ღამურად გადაქცევა, ის ვარიანტი გამოგვდის. ვერ მივხვდით, რომ ვართ ქართველები და ე.ი. უნდა ვიყოთ ქართველები. საიმისო, რომ შევიცვალოთ არაფერი გვჭირს. ჩვენ ვართ ერთ-ერთი უძველესი და გენიალური ერი. რაში გვჭირდება ეს ევროპელობა და ამერიკელობა, როცა ამასობაში ქართველობასაც ვკარგავთ?! ევროპელები ვერასოდეს გავხდებით და არც უნდა გავხდეთ. ალბათ, პირველ რიგში, თითოეული უნდა ჩავუფიქრდეთ ამ ყველაფერს: რამდენად პატივს ვცემთ საკუთარ თავს, რამდენად გვიყვარს ერთმანეთი, როგორ ვექცევით ჩვენს ახლობლებს, რამდენად გვინდა, რომ სხვას გავუკეთოთ რამე, არა იმიტომ რომ მერე ჩვენც გაგვიკეთოს, არამედ ისე, უბრალოდ. იცით, ამ ყველაფერს, რომ მივმხვდარიყავი, ბევრი დრო დამჭირდა. არ გეგონოთ, რადგან ახლა ამ ყველაფერს ვამბობ, ე.ი. მე რაღაც სხვა ვარ და განსაკუთრებული ვარ. არა, ჯერ კიდევ შორს ვარ იმ ადამიანიდან, როგორიც მინდა რომ ვიყო.

**— თქვენ ძალიან ფართო, საზოგადოებისათვის აქტუალურ პრობლემებზე ისაუბრეთ. მინდა გკითხოთ, ქართულ მუსიკალურ სფეროში არსებულ იმ პრობლემაზე, რომელზეც საკმაოდ ხშირად საუბრობენ. მხედველობაში მაქვს, საზღვარგარეთ წასული ქართველი მუსიკოსები. რას იტყვით, რამდენად პრობლემატურია რომ ისინი საზღვარგარეთ ცხოვრობენ და მოღვაწეობენ?**

— საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ოდესმე საქართველო ფარგლებს გარეთ თუ გასულა და მისი სახელი ცნობილი გამხდარა, ეს ხელოვანი ხალხის დამსახურებაა. რატომღაც ვერ ვხვდებით, რომ ამ ხელოვან ხალხს უნდა გავუფრთხილდეთ, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლებს, რომლებიც მართლა თითებზე ჩამოსათვლელი დაგვრჩა. კიდევ იცით, რა მაკვირვებს? რატომ „დასდევენ" ცნობილ ადამიანებს და რატომ ზედ არ უყურებენ იმ ხალხს, რომლებიც საზღვარგარეთ მიდიან ფულის საშოვნელად და დიდი გაჭირვებით ცხოვრობენ. სირცხვილია. ვფიქრობ, იმ ხალხს უფრო სჭირდება ზრუნვა და ყურადღება, რომელთაგან ბევრი მათხოვრობს, ვიდრე ამ დიდ ხელოვანებს. ჩვენ ეს სნობური მომენტი გვაქვს, რომ რადგან ცნობილები არიან, ისინი აქ უნდა დავაბრუნოთ. იქნებ სჯობს იმათ მოვუაროთ და ისინი დავაბრუნოთ, ვისაც ეს მართლა სჭირდება?! იმ ცნობილ ადამიანებს, იქ ისე ცხოვრობენ და ისე აფასებენ მათ, რომ სხვისი მოსავლელი და საზრუნავი არაფერი სჭირთ.

სანამ საერთო ცხოვრების დონე არ ამაღლდება, არა მგონია, რომ ისინი აქ დაბრუნდნენ. ამ საზოგადოებას ბევრი ყოფითი პრობლემა აქვს. როცა ელემენტარული საარსებოა საზრუნავი, ასეთ მაღალ მატერიებზე ფიქრისთვის, უბრალოდ ადამიანებს დროც არ რჩებათ. ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. საქართველოში ადამიანებს შორის ურთიერთობების კრიზისია. ესეც ჩვენი რეალობიდან გამომდინარეა.

**— თქვენს პროგრამაზე მინდა გკითხოთ. რის მიხედვით ირჩევთ ნაწარმოებებს და რა ადგილი უკავია ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებას თქვენს პროგრამებში?**

— საპროგრამო ნაწარმოებებს ყოველთვის მე ვირჩევ. ყველაფერი იწყება ჩემი განწყობით. შესაბამისად ნაწარმოებებსაც ამის მიხედვით ვარჩევ. რისი დაკვრა მინდა, რისთვის ვარ მზად — ეს უმნიშვნელოვანესია. მაგალითად, მიმაჩნია, რომ ბეთჰოვენის 32-ე სონატა, რომელიც დაუმთავრებელია და გენიალურია, ჯერ არ უნდა დავუკრა. ნაწარმოებში დიდი ტექნიკური პრობლემა არ არსებობს, მაგრამ შინაარსობრივად ძალიან ღრმა და რთულია. ჩემი პედაგოგები თვლიან, რომ დროა დავუკრა ეს სონატა, მაგრამ მე ვამბობ, რომ ამისთვის მზად არ ვარ. რაც შეეხება ქართულ მუსიკას. სამწუხაროდ, ქართული მუსიკა მსოფლიოში არ არის ცნობილი ისე, როგორც, ვთქვათ, ევროპული. ეს ძალიან პრობლემური საკითხია. ყველაფერს სჭირდება თავისი შეფუთვა და გატანა. საქვეყნოდ ცნობილები ვართ ქართული ფოლკლორით. ვფიქრობ, რომ ქვეყანა, სადაც უმაღლეს მწვერვალამდეა აყვანილი ფოლკლორი, იქ კლასიკური მუსიკა ყოველთვის დაჩრდილული იქნება. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენ სათანადოდ ვერ ვახერხებთ ქართული მუსიკის გატანას მსოფლიო საზოგადოების წინაშე. ჩემს პროგრამაში შეტანილი მაქვს რევაზ ლაღიძის „რონდო – ტოკატა", რომელსაც საზღვარგარეთ ყველა კონცერტზე ვუკრავ. საოცარი, ძალიან დიდი ეფექტი აქვს ამ ნაწარმოებს. ახლა ვამუშავებ ჩემი ყოფილი პედაგოგის ნ. გაბუნიას ნაწარმოებს, რომელიც ასევე ჩემს პროგრამაში შევა. აუცილებელია, რომ როგორმე მოვახერხოთ და გავიტანოთ ქართული მუსიკა მსოფლიოში. ჩვენ რომ გამოვცეთ ქართული ნაწარმოებების კრებული და დავაგზავნოთ მსოფლიოს სხვადასხვა კონსერვატორიებში, დარწმუნებული ვარ, დიდი ინტერესით მიიღებენ. თანამედროვე მუსიკას რაც შეეხება, ის ჩემთვის საინტერესო არ არის. თავს მშვენივრად ვგრძნობ შუბერტში, მოცარტში, ბახში...

**— ხშირად გიწევთ სცენაზე გამოსვლა დირიჟორებთან ერთად. ხომ არ გამოყოფდით რომელიმეს, ვისთანაც შემოქმედებითი ურთიერთობა თქვენთვის მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია?**

— თავის დროზე ისეთ დიდ დირიჟორთან მქონდა ურთიერთობა, როგორიც ჯანსუღ კახიძე იყო. ამ ურთიერთობის მერე, უნდა გითხრათ, რომ რაღაცნაირად მიჭირს კიდეც სხვა დირიჟორებთან თანამშრომლობა. საქართველოში არიან დირიჟორები, რომლებსაც უნდათ რომ იყვნენ პირველები და ამით დაჩრდილონ სოლისტები; არიან დირიჟორები, რომლებიც გაძლევენ საშუალებას, შენ შეასრულო ნაწარმოები და მათ უბრალოდ აკომპანიმენტი გაგიკეთონ. რა გითხრათ... ერთს კი ვიტყვი: ჯანსუღ კახიძე კიდევ კარგა ხანი არ გაჩნდება საქართველოში.

**— აუდიტორიაზე რას იტყვით. რამდენად მოქმედებს ის თქვენზე დაკვრის პროცესში?**

— აუდიტორია თავისთავად მნიშვნელოვანია. გააჩნია, რა აურა მოდის დარბაზიდან. ხანდახან ისე მოქმედებს იქიდან წამოსული უზარმაზარი ენერგია, მუხტი, რომ მერე უკვე ძლივს ვუკრავ ინსტრუმენტზე. მეც ხომ ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ისე, საერთოდ, ყველაზე კარგად ვუკრავ ისრაელში, პორტუგალიაში, იაპონიაშიც.

**— რას ეტყოდა ვალერიან შიუკაშვილი მომავალ მუსიკოსებს?**

— იცით რა, ძალიან ჭკვიანი, განათლებულები თაობაა. მათთან მიმართებაში არსებობს ერთი მთავარი — სწორად აღზრდის პრობლემა. ისინი დღეს სხვანაირად იზრდებიან. არ შეიძლება მეტალზე გაიზარდო, მერე ჩართო კლასიკა და მოგეწონოს. ეს აბსურდია. სახელმწიფომ, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა იზრუნოს ამაზე. ეს პრობლება სხვა მწვავე პრობლემებთან არის კავშირში. ყველაფერი ეს ჩვენი რეალობაა და ამდენად, მსგავსი საკითხების მოგვარება უმნიშვნელოვანესი და უპირველესი უნდა იყოს ყველასთვის, უმეტესად კი მათთვის, ვისი პირდაპირი მოვალეობაც ასეთ პრობლემებზე ზრუნვაა. მუსიკაზე ძალიან ბევრი ბავშვი შედის. მინდა მათ ვუთხრა, რომ იყვნენ საქმის ერთგულები, არ უღალატონ ინსტრუმენტს. როიალი, იცით რა? ქალზე უარესია. რამდენჯერაც უღალატებ, იმდენს გიღალატებს.

**— ვაკო, თქვენთვის მნიშვნელოვანი, გარდა თქვენი პროფესიისა, კიდევ რა არის?**

— საინტერესოა. გეტყვით. ცხოვრებაში ჩემთვის მთავარია, ვიყო მართალი ჩემს თავთან, ღმერთთან, რომლის არსებობასაც მუდამ ვგრძნობ ჩემში. ვიცი, რომ ადამიანებს ცუდს არასოდეს გავუკეთებ. ჩემთვის ცუდი ბევრს გაუკეთებია. ყველას ვაპატიე. ყველას გვეშველება რაღაც-რაღაცეები. მთავარია, სხვებს მოექცე ისე, როგორც შენ გინდა, რომ მოგექცნენ. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ არის ის. ყველა ღმერთის შვილია. ეს ჭეშმარიტებაა.

სწორად უნდა ვიცხოვროთ, უნდა ვიცოდეთ რა გვინდა. კეთილშობილება უნდა გავზარდოთ ჩვენში. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც მოვიქცევით, ისეთები ვიქნებით.

ეს ძალიან უბრალო და მარტივია. საერთოდ, ყველაფერი გენიალური უშუალო და სადაა. ასეთ რაღაცეებზე უნდა ვიფიქროთ ხოლმე. ეს არის და ეს.

**— დასასრულს, თქვენს შემოქმედებით გეგმებზე, პროექტებზე ვისაუბროთ.**

— ჩემს შემოქმედებაში მთავარი სიახლე იქნება ძალიან საინტერესო მუსიკალური პროექტი, რომელზეც ახლა ვმუშაობ. ეს გახლავთ 50 წუთიანი პროექტი, რომლის იდეა მე მეკუთვნის. ის ოთხი ნაწილისაგან შედგება. ესენია: დაბადება, სამყაროს აღქმა, სიყვარული და რწმენა. ბოლო ნაწილში აჟღერდება პატრიარქის მუსიკა. სავარაუდოდ, პროექტის ოთხივე ტექსტს გურამ დოჩანაშვილი დაწერს. ეს პროექტი, შეიძლება ითქვას,რომ ნოვატორული ნაბიჯია ქართულ მუსიკალურ შემოქმედებაში, რადგან აქ პირველად მოხდება ქართული ფოლკლორის „გაკლასიკურება". ამ პროექტში ვაერთიანებ კლასიკურ მუსიკასა და ხალხურ ინსტრუმენტებს. უნდა აღვნიშნო, რომ აქ წარმოდგენილი იქნება მთელი საქართველო. გამოყენებული იქნება ყველა კუთხის ხალხური სიმღერა. ჩემი სურვილია, რომ ქართული ფოლკლორი გადმოვიტანო როიალზე და ამგვარად, შევქმნა კლასიკური ნაწარმოებები. ამჟამად წერის პროცესში ვარ. ცხოვრებაში არასოდეს არაფერი დამიწერია. რა გამოვა, არ ვიცი. პროექტის დასრულებამდე ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა.

რაც შეეხება ჩემს გეგმებს. ამ შემოდგომაზე დავტოვებ საქართველოს და ორი წლით გავემგზავრები ესპანეთში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მე 2 წელი, როგორც ეს კონტრაქტით არის გათვალისწინებული, აქ არ ჩამოვალ. აქაურობის გარეშე ვერ გავძლებ. უნდა გითხრათ, რომ საქართველოდან წასვლა ნამდვილად არ მინდა, მაგრამ ფაქტია, არ გამოდის. ამიტომ, საზღვარგარეთ ცხოვრება მაინც მომიწევს. იქ ძალიან რთული და ამავდროულად აქტიური მუშაობა მელის, თუმცა, ამისთვის მზად ვარ. მანამდე, სექტემბრის დასაწყისში ვესტუმრები ბერლინსა და ფრანკფურტს, სადაც 16 და 22 სექტემბერს კლიპის პრეზენტაციები გაიმართება. ეს კლიპი გერმანელებმა სულ ახლახანს შოპენის „რევოლუციურ" ეტიუდზე გადაიღეს.

ახლო მომავალში მინდა, რომ გამოვცე კიდევ ერთი დისკი. ასე რომ, ვნახოთ. რა როგორ იქნება, ყველაფერს დრო აჩვენებს.

**— დიდი მადლობა ამ საუბრისათვის. ყველაფერში დიდ წარმატებებს გისურვებთ და მომავალ შეხვედრამდე დაგემშვიდობებით.**

— გმადლობ. მომავალ შეხვედრამდე.

*ია ტიგინაშვილი*

# „ველლო დ'ორო" – მოდისა და დიზაინის ნაციონალური ცენტრი

მთაწმინდის კალთაზე ჩაკარგულ, პატარა, წყნარ ქუჩაზე განთავსდა კულტურის, მოდისა და დიზაინის ნაციონალური ცენტრი „ველლო დ'ორო", რაც იტალიურიდან სიტყვასიტყვით თარგმანში „ოქროს საწმისს" ნიშნავს. აქ მოქმედ საგამოფენო სივრცეში თავი მოეყარა ელენე ფიცხელაურის, ქეთი დარსაველიძის, ეკა ტუხაშვილის, ნინო კაციტაძის და სხვა ახალგაზრდა, ნიჭიერი, ქართველი დიზაინერების ნამუშევრებს.

2007 წლის დასაწყისში აღნიშნული არასამთავრობო ასოციაციის ფორმირებაზე მემორანდუმის გაფორმება ქართულ-იტალიური თანამშრომლობის ნაყოფია. მის მიზანს წარმოადგენს მოდა-დიზაინის სფეროში სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება, საერთაშორისო მასშტაბის ფესტივალებში, გამოფენებზე, სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში ქართველი დიზაინერების ჩართვაზე ზრუნვა. „ველლო დ'ოროს" კონსულტანტისა და ასოციაციის საპატიო წევრის კლაუდიო დე'ბიაზის განმარტებით, მათ მჭიდრო კონტაქტი აქვთ იტალიასთან, მაგრამ არაა გამორიცხული სხვა ქვეყნებთანაც ასევე წარმატებულად ითანამშრომლონ. არსებობის ამ ხანმოკლე პერიოდში ასოციაციამ თავის რიგებში 14 ქართველი დიზაინერი გააწევრიანა.

როგორც „ველლო დ'ოროს" კოორდინატორი და კონსულტანტი კლაუდიო დე'ბიაზი აღნიშნავს, თავიდან აქცენტი ასოციაციის შექმნაზე არ ყოფილა. საქართველოში იტალიელი კოლეგები ნიჭიერ დიზაინერებს შემდგომი თანამშრომლობის მიზნით ეძებდნენ. მისი აზრით, ამ ქვეყანაში მოდის სფეროში დიდი პოტენციალია. მაგრამ ეს პოტენციალი დღეს ცალ-ცალკე პიროვნებების შემოქმედებით არის წარმოჩენილი. საქართველოში მოდის ბიზნესი ჯერჯერობით განვითარების პროცესშია. სწორედ ამიტომ გადაწყდა საპილოტო პროექტის სახით არასამთავრობო ასოციაციის დაფუძნება, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის ამ სეგმენტის განვითარებას.

დღეისთვის „ველლო დ'ოროს" სამი ღონისძიება აქვს ორგანიზებული. პირველი, 2007 წლის 16 აპრილს შედგა. დაფუძნებიდან ორი კვირის თავზე ასოციაციის ოფისში ორგანიზებულ საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვაზე ქართველი ხელოვნების მოყვარულებთან ერთად უცხოელმა სტუმრებმაც მოიყარეს თავი. კერძოდ, იტალიის ავტონომიური ოლქის – ალტო ადიჯედან ჩამოსულმა ტურისტებმა. მათ შორის იყო მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი კლაუს პლატერი, რომელმაც ქართულ ღვინოსთან ერთად ქართული დიზაინერული მიღწევებიც ჯეროვნად შეაფასა. მის პირად კოლექციაში, რომელიც 3000-მდე ნამუშევარს მოითვლის, ამიერიდან ქართველი დიზაინერების ექსპონატებსაც საკუთარი ადგილი მიეჩინა.

მეორე, უფრო მასშტაბური ღონისძიება „ველლო დ'ორომ" ზაფხულის დადგომას დაუკავშირა და იტალიელი, კერძოდ კი, სიცილიელი დიზაინერების კოლექციების ჩვენებით აღნიშნა. ამ ღონისძიების ორგანიზება იტვირთა იტალიურმა კომპანიამ „მასსიმო პასტორელლო მენეჯმენტმა", რომელიც უკვე 15 წელზე მეტია მოღვაწეობს მოდისა და დიზაინის სფეროში, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან აქვს მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა. სამშობლოში სიცილიის ავტონომიური რეგიონის ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობს. თბილისში კი კულტურის, მოდისა და დიზაინის ნაციონალური ცენტრის „ველლო დ'ოროს" პარტნიორია.

თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში მოწყობილ პოდიუმზე ქართველი მოდელები წარმოადგენდნენ ორი ცნობილი სიცილიელი დიზაინერის ჯუზეპე კოსკანიოსა და არქანჯელა აიელლოს კოლექციებს, აგრეთვე კიდევ ოთხი იტალიელი, კერძოდ, სიცილიელი დიზაინერის მიერ სამშობლოს ბუნებისა და ტრადიციის ამსახველ სამოსს, რაც პირობითად ერთი თემით – „სიცილია გაჯერებული გემოთი" გაერთიანდა.

საქართველოში უცხოელი სტუმრების სამდღიან ვიზიტს „სიცილია, მოდა და გემო" ერქვა. უცხოელმა კოლეგებმა ქართველ დიზაინერებს მასტერ კლასი ჩაუტარეს, საკუთარი შესრულების ტექნიკა, ქსოვილის ფაქტურის შერჩევა გააცნეს. ხოლო ჩვენგან სტუმრებმა თექის მოთელვის ტექნიკა შეისწავლეს.

დიზაინერ არქანჯელა აიელლოს სიცილიაში, კატანიაში თავისი ატელიე აქვს გახსნილი, სადაც ძირითადად სადღესასწაულო კაბებს ქმნის. თავისი კოლექციებით თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარა. ასოციაცია „ველლო დ'ოროს" დიზაინერებთან შეხვედრის შემდეგ თექის მოთელვის ტექნიკით განსაკუთრებულად დაინტერესდა. დიზაინერი





ქალბატონი მასალებს თავისი კოლექციებისთვის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აგროვებს. იგი სამშობლოში პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. ქართველ კოლეგებთან შეხვედრის შემდეგ არქანჯელა აიელლომ სურვილი გამოთქვა, თავისი პედაგოგიური გამოცდილება ასოციაცია „ველლო დ'ოროს" დიზაინერებისთვის გაეზიარებინა.

საქართველოში ჩამოტანილ მის კოლექციაში წარმოდგენილი სამოსით დიზაინერი ქალბატონი აქცენტს ქალურ-სექსუალურობაზე აკეთებდა. მათი უმეტესი ნაწილი გამჭვირვალე მასალისგან იყო შექმნილი და ქალურ ფორმებს მაქსიმალურად წარმოაჩენდა. ქართველი მოდელები სრული პროფესიონალიზმით მიუდგნენ საქმეს. ჩვენებამ აპლოდისმენტებით ჩაიარა. არქანჯელა აიელლომ მადლობა გადაუხადა ქართველ მოდის მოყვარულებს გულითადი მიღებისთვის, სტუმართმოყვარეობისთვის და იმ სითბოსთვის, რომლითაც ხანმოკლე ვიზიტად მყოფი დიზაინერი ქალბატონი გაანებივრეს.

დიზაინერი ჯუზეპე კოსკანიო შემოქმედებით მოღვაწეობას ასევე სიცილიაში საკუთარ ატელიეში ეწევა. იგი მაღალ მოდაზე მუშაობს. სწორედ ამიტომ მის კოლექციებს მთელ ევროპაში დიდი ინტერესით ელიან.

საქართველოში ჩამოტანილი კოლექცია, რომლითაც დიზაინერმა ჯუზეპე კოსკანიომ თავი გაგვაცნო, ევროპის მე-19-ე საუკუნის სტილის გათანამედროვების თამამი მცდელობაა. და ეს, მართლაც, შესანიშნავად გამოუვიდა. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში მოწყობილ პოდიუმზე სწორედ ამ კოლექციით დაიწყო იტალიური მოდის გაცნობა დამსწრე საზოგადოებამ, და ბოლოს, აპლოდისმენტებით შეხვდა სცენაზე მოდელებთან ერთად გამოსულ დიზაინერს,

რომელიც აღფრთოვანებას არ მალავდა საქართველოში ვიზიტით. მისი გადმოცემით, კაბა განსაკუთრებით ფასობს, თუ ხელითაა დამუშავებული. აღმოაჩინა, რომ ქართველი კოლეგები სწორედ ხელით დამუშავებული კოლექციებით წარმოჩინდებიან.

კლაუდიო დე'ბიაზი თვლის, რომ ამ ფორმით ასოციაცია „ველლო დ'ორომ" მშვენიერი საჩუქარი გაუკეთა მოდის მოყვარულ ქართულ საზოგადოებას. საქართველოდან ხშირად გადიან საზღვარგარეთ დიზაინერები საკუთარი კოლექციებით, მაგრამ ეს პირველი ვიზიტი იყო ჩვენ ქვეყანაში იტალიური მაღალი მოდის წარმომადგენლებისა, რომელიც ასოციაციის თანაორგანიზებით განხორციელდა.

მესამე ღონისძიება 22 ივნისს შედგა. იგი ერთგვარი გაგრძელება იყო იტალიელი, სიცილიელი დიზაინერების ვიზიტისა საქართველოში. საბაჟოში შექმნილი პრობლემების გამო „იტალიური გემოს" დეგუსტაცია ცალკე ღონისძიებად შედგა.

კლაუდიო დე'ბიაზის განმარტებით, ამ ორ ღონისძიებას პატრონაჟი გაუწია იტალიური კომპანია „მასსიმო პასტორელლო მენეჯმენტის ერთ-ერთმა მხარდამჭერმა ავტონომიური რეგიონის ხელისუფლებაში — სიცილიის რეგიონის ვაჭრობის, ხელოსნობისა და მეთევზეობის ლოკალური თანამშრომლობის დეპარტამენტმა. ევროპაში ჩვეულებრივი პრაქრიკაა, — აღნიშნა საუბარში კლაუდიო დე'ბიაზიმ, როდესაც ღონისძიების ორგანიზატორი ქვეყნის ხელისუფლება 30-50% თანადაფინანსებით მონაწილეობს მიმდინარე აქციაში.

არც ის დაუმალავს, რომ ივნისში დიდი სიამოვნებით დაათვალიერებინეს „ველლო დ'ოროს" გამოფენა საქართველოში ვიზიტად მყოფ პირველი ლედის სანდრა რულოვსის მშობლებს.

არასამთავრობო ასოციაცია კულტურის, მოდისა და დიზაინის ნაციონალური ცენტრი „ველლო დ'ოროსთვის" მიმდინარე საქმიანობა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. აქ ვოლონტიორები მუშაობენ, ჯერჯერობით ყველაფერი ენთუზიაზმით კეთდება. მომავალ წარმატებებს ამყარებს ამ მოკლე დროში გაწეული მუშაობა. ასოციაცია ღიაა სათანამშრომლოდ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორთან. მაგრამ სპონსორებთან ურთიერთობაში მკაცრ პოლიტიკას იკავებს, საკუთარ მიზნებს არ გადაუხვევს და შეინერჩუნებს დამოუკიდებლობას დიზაინერების ხელშეწყობისთვის, ასოციაციის განვითარებისთვის. მიესალმება სათანამშრომლოდ ყველას, ვინც ასოციაციის პრინციპებს გაიზიარებს.

კულტურის, მოდისა და დიზაინის ნაციონალური ცენტრის „ველლო დ'ოროს" არტ-დირექტორის ქეთი დარსაველიძის კომენტარით, მთავარი მაინც ეთნიკური მიმართულებით დიზაინერების შემოქმედებითი სწრაფვის მხარდაჭერაა.

ამჟამად ასოციაციის რამდენიმე დიზაინერი ემზადება მნიშვნელოვან ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად როგორც იტალიაში, ისე სხვა ქვეყნებში.

კულტურის, მოდისა და დიზაინის ნაციონალური ცენტრი „ველლო დ'ორო" კრეატიული (განვითარების) დირექტორის ელენე ფიცხელაურის კომენტარით, კონკურსის საფუძველზე ასოციაციამ 14 დიზაინერი გააწევრიანა, რომელთაც აქვთ უფლება სურვილისამებრ "ველლო დ'ოროს" მიერ ორგანიზებულ ყველა აქციაში მიიღონ მონაწილეობა. მათ თბილისში სტუმრად მყოფ იტალიელ დიზაინერებთანაც დაამყარეს ურთიერთობა. ასოციაცია თავის წევრებს საერთაშორისო ასპარეზზე კონტაქტების შეძენაში მომავალშიც დაეხმარება. ელენე ფიცხელაურმა, განსაკუთრებულად გაიხსენა ეთნიკური ქსოვილებით იტალიელი დიზაინერების ჯუზეპე კოსკანიოსა და არქანჯელა აიელლოს დაინტერესება, რომელთა მოთხოვნით პირადად ჩაუტარა მასტერ-კლასი თექის დამუშავებაში.

„ველლო დ'ოროს" კონსულტანტისა და ასოციაციის საპატიო წევრის კლაუდიო დე'ბიაზის გადმოცემით, განსაკუთრებული ადგილი ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებში სასწავლო პროგრამების შედგენას უჭირავს. სხვადასხვა კერძო, თუ სახელმწიფო სკოლებთან ამ მიმართულებით თანამშრომლობს. ყოველწლიურად 2-3 წარჩინებული სტუდენტი სტაჟირებაზე ასოციაციის შუამდგომლობით იტალიაში იგზავნება. „ველლო დ'ორო" კრეატიული (განვითარების) დირექტორის ელენე ფიცხელაურის კომენტარით, სასწავლო პროგრამები და მასალები ძირითადად იტალიიდან ჩამოვა, ასოციაციის წევრების ამოცანაა ისინი ქართულ მენტალიტეტს, განათლების სისტემას შეუთვისონ, ძირითადად აქცენტი პრაქტიკაზე გაკეთდება. ასოციაციაში ახლა ათთვიანი კურსები მუშავდება. ეს პირველი ეტაპია.

კულტურის, მოდისა და დიზაინის ნაციონალური ცენტრის „ველლო დ'ორო", მართლაც, რომ ის მითიური „ოქროს საწმისია", რომელიც ქართველი დიზაინერების შემოქმედებით წარმოჩინდება. იგი საქართველოს და ამავე დროს მთელი მსოფლიოს საკუთრებაა.

*თამარ ნინიძე*

სილამაზის [illegible]

## ხაჭოს ნიღაბი წყალმცენარეებით

მინერალური ნივთიერებები, რომლებსაც წყალმცენარეები შეიცავს, სიმკვრივეს უბრუნებს კანს და ნაოჭებს ასწორებს.

ერთი სუფრის კოვზი ხაჭო კარგად ასრისეთ და სახეზე წაისვით. ერთი პეშვი წყალმცენარეები წყალში დაალბეთ და ხაჭონასმულ სახეზე 20 წუთით დაიფინეთ.

## ალოესა და ლიმონის ნიღაბი

ალოე უჯრედებში ტენს ინარჩუნებს, C ვიტამინი კი უჯრედების აღდგენას უწყობს ხელს.

ერთი სუფრის კოვზი ალოესა და ერთი ჩაის კოვზი ლიმონის წვენი ერთმანეთში აურიეთ. ფუნჯით წაისვით სახეზე, 10 წუთის შემდეგ კი ჩამოიბანეთ.

## გამწმენდი ნიღაბი

ერთი კვერცხის ცილას დაუმატეთ ერთი ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და შეურიეთ ერთ სუფრის კოვზ გაზავებულ თეთრ თიხას. ნიღაბი გაწმენდილ სახეზე 15 წუთით დაიდეთ, თბილი წყლით ჩამოიბანეთ და ცივი წყალი შეისხურეთ. უკეთესი ეფექტისათვის ნიღაბი კვირაში ორჯერ გაიკეთეთ. ფორები დაგიპატარავდებათ და ნაოჭები გაგიქრებათ.

## მათეთრებელი ნიღაბი

ერთი კვერცხის ათქვეფილ ცილას დაუმატეთ ცოტაოდენი ბორის მჟავა, ერთი ჩაის კოვზი ახალი ნაღები, შემდეგ კარგად ათქვიფეთ და სახეზე წაისვით. 30-40 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

## მათეთრებელი ნიღაბი



ორი ჩაის კოვზი პურის ფქვილი ან დაფქვილი ბრინჯი, ერთი ჩაის კოვზი ძმარი და ერთი ჩაის კოვზი თაფლი ერთმანეთში აურიეთ და მიღებული მასა თანაბრად წაისვით სახეზე 15-30 წუთით.

## გვირილის ნიღაბი ნორმალური კანისთვის

ერთი პეშვი გვირილის ყვავილი 20 წუთით 75 მლ თბილ რძეში დააყენეთ, შემდეგ ყვავილები ამოიღეთ და რძეს თაფლი შეურიეთ. დაიდეთ სახეზე 10 წუთით.

## მერილინ მონროს საყვარელი ნიღაბი

ერთი კვერცხის გულს დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი, რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი, აურიეთ და 20 წუთით სახეზე დაიდეთ. შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალო კალვინო

# სუფთა ჰაერი

**ცნობილი იტალიელი მწერალი იტალო კალვინო დაიბადა სანტიაგო დე ლას ვეგასში (კუბა) 1923 წელს. მისი ადრეული შემოქმედება ნეორეალისტურია. (რომანი „ობობის ქსელის ბილიკი“, ნოველები, მათ შორის „სუფთა ჰაერი“). მისი შემდგომი ნაწარმოებები სტილითა და განწყობით ძლიერ ჰგავს სამხრეთ ამერიკულ ლიტერატურას („ბარონი ხეზე“, „არარსებული მხედარი“ და სხვ.) 1956 წელს მისი რედაქციით გამოიცა იტალიური ზღაპრები. გარდაიცვალა 1985 წელს.**

- თქვენმა ბავშვებმა სუფთა ჰაერი უნდა ისუნთქონ, - თქვა ექიმმა, - სადმე, მთაში, მწვანე მდელოზე გაიქც-გამოიქცნენ.

ექიმი ძველ საწოლებს შორის იდგა, ნახევარ-სარდაფის პატარა ოთახში, სადაც მარკოვალდო ცხოვრობდა ცოლ-შვილთან ერთად. ექვსი ბავშვი მხოლოდ ორ საწოლზე იწვა. ოთხი მათგანი ავადმყოფობდა. გადასაფარებლები თავიდან ფეხებამდე ძლივს სწვდებოდათ. ლოყები უვარვარებდათ, თვალები შეშუპებოდათ.

- მდელო, მთავარ მოედანზე რომ არის, იმ სკვერს ჰგავს, არა? - იკითხა მიკელინომ.

- და მთები ცათამბჯენებივით მაღალია? - იკითხა ფილიპეტომ.

- და სუფთა ჰაერი გემრიელია? - იკითხა პეტრუჩომ.

ისინი პირისპირ ისხდნენ. დანჯღრეულ კომოდს იდაყვებით დაყრდნობილნი, გრძელი, თხელი მარკოვალდო და მისი დაბალი, ჯმუხი ცოლი. უნებლიეთ გაასავსავეს ხელები, მერე უღონოდ ჩამოუშვეს და ერთხმად წაიბურდღუნეს:

- რვა სული ვართ, ყელამდე ვალებში, რა გვემოგზაურება!

- უკეთეს შემთხვევაში, ქუჩაში თუ გავიყვანთ ბავშვებს, - აუხსნა მარკოვალდომ.

- ჩვენ სუფთა ჰაერს მაშინ ვისუნთქებთ, როცა გაგვასახლებენ და ღია ცის ქვეშ მოგვიწევს ძილი, - განაგრძო ქალმა.

ერთ შაბათ დღეს ბავშვები მომჯობინდნენ. მარკოვალდომ ისინი სასეირნოდ გორაკებისკენ წაიყვანა. თავიდან ხალხით გადაჭედილ ტრამვაიში იჯანჯღარეს. ბავშვები მგზავრების ფეხების მეტს ვერაფერს ხედავდნენ. თანდათანობით ტრამვაი დაცარიელდა და მათ ფანჯრებიდან შეამჩნიეს, რომ ტრამვაი ბულვარის გასწვრივ მიემართებოდა. ბოლო გაჩერე-ბაზე ჩამოვიდნენ და გზას ფეხით გაუყვნენ.

გაზაფხული ძალებს იკრებდა, მზეც ჯერ არ იყო მცხუნვარე, ხეები უკვე შეფოთლილიყო. ბავშვები დაბნეულები იყურებოდნენ აქეთ-იქით. მაღლა მიდიოდნენ. მწვანე ბილიკით, რომელზეც საფეხურები იყო ამოკვეთილი.

- მამა! ეს როგორ? კიბეა, მაგრამ მაღლა სახლები არ ჩანს.

- ეს არ არის ჩვეულებრივი კიბე. ქუჩას უფრო ჰგავს.

- ქუჩას?.. მაშინ მანქანა როგორ ადის კიბეზე?

ირგვლივ მწვანე, შემომესრილი ბაღები ჩნდებოდა.

- მამა, შეხედე, კედლები სახურავის გარეშე... სახლები ხომ არ დაბომბეს?

- ბაღებია... ეზოებს ჰგავს. სახლი კი შიგნით, ხეებს უკან დგას.

მიკელინომ თავი გააქნია. მამის განმარტებამ ვერ დააკმაყოფილა.

- მე მივხვდი, ამ სახლებში ხეები ცხოვრობენ, არა? - იკითხა ტერეზამ.

უკვე საკმაოდ მაღლა ასულიყვნენ. მარკოვალდოს მოეჩვენა, რომ საბოლოოდ მიატოვა ობის სუნმა, რომელიც გამჯდარიყო საწყობში, სადაც ის ყოველდღე რვა საათის განმავლობაში ტომრებს ეზიდებოდა. თითქოს გაქრა ბნელი ლაქები მის ტენიან, პატარა ოთახში, შხამიანი მტვერიც გაიფანტა, მზის ოქროსფერ სხივებს რომ უშლიდა შემოსვლას, სადღაც დაიკარგა ღამის შეტევითი ხველაც. ბავშვებიც აღარ ჩანდნენ სუსტნი და ფერმკრთალნი.

- მოგწონთ?

- ხო!

- რატომ?

- იმიტომ რომ პოლიციელები არ არიან, ყვავილების მოწყვეტა და კენჭების სროლა შეიძლება.

- ჰაერიც ვისუნთქოთ, ნახეთ, რა სურნელოვანი ჰაერია.

ბავშვები ერთიანად ჰაერის ყნოსვას შეუდგნენ.

- აბა? არაფრის სუნი არ ასდის...

მისეირნობდნენ. ირგვლივ ონავრები დარბოდნენ, შეყვარებულთა წყვილები სეირნობდნენ. შიგადაშიგ მოტოციკლეტისტებიც ხვდებოდნენ.

თითქმის მიაღწიეს გორაკის მწვერვალს. მოსახვევში ქალაქის ხედი გადაეშალათ. სადღაც იქ, ქვემოთ იწვა უფორმო და უზარმაზარი, ქუჩების ნაცრისფერ ქსელში გახლართული. ბავშვებმა უმალ ბალახში კოტრიალი დაიწყეს. ისე გემრიელად და მოხდენილად, თითქოს მთელი ცხოვრება სხვას არაფერს აკეთებდნენ. სუსტმა ნიავმა დაუბერა. საღამოს ბინდი მოახლოვდა. ქალაქი გაანათა მკრთალმა, მეჩხერმა შუქმა. ჩირაღდნები ნელნელა ინთებოდა. მარკოვალდოსაც მოგონებები მოეძალა. იხსენებდა იმ დროს, როცა სრულიად ახალგაზრდა ქალაქში ჩავიდა და სასწაულს ელოდა. მაშინ ის იმედით უმზერდა რეკლამების შუქს და უსმენდა ქუჩის უცნაურ ხმაურს. ქალაქს მერცხლების გუნდმა გადაუფრინა. „ვისაც ძალუძს ზემოდან უყუროს ქალაქს, მას ქალაქი ვერ გასრესს“, - გაიფიქრა მარკოვალდომ, — „მერცხლებს ეკუთვნით ზეცის კოშკები, ჩემნაირნი კი მიწიდან ამოდიან და ჭიაყელებივით დაძვრებიან“.

ის დაალონა ფიქრმა, რომ ქვემოთ უნდა დაბრუნებულიყო. ქუჩების ქსელში თავისი კვარტალი მონახა, გაჭვარტლული კვამლით, რომელიც სახურავებზე მდებარე ვიწრო მილებიდან ამოდიოდა.

აგრილდა. დროა ბავშვებს უხმოს. მაგრამ დაინახა, მთელი გულით ერთობოდნენ ხის დაბალ ტოტებზე ქანაობით. გადაიფიქრა.

მიკელინო მიუახლოვდა და ჰკითხა:

- მამა, რატომ არ გადმოვდივართ აქ საცხოვრებლად?

- სულელო, აქ არ არის სახლები, აქ არავინ ცხოვრობს! - უპასუხა მარკოვალდომ გაღიზიანებით. თავადაც ოცნებებში გაერთო. ოცნებობდა, რომ აქ ეცხოვრა, ქალაქისთვის ზემოდან ემზირა და იქ არასოდეს დაბრუნებულიყო.

- არავინ? - გაიკვირვა მიკელინომ, - და ის სინიორები? შეხედე!

მდელოდან გორაკისკენ ახალგაზრდა და ხნიერი მამაკაცები მოემართებოდნენ. უკლებლივ ყველას ნაცრისფერი პალტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემოსა, თავზე ბერეტი ეხურა, ხელში კი ტროსტი ეჭირა. რამდენიმე ჯგუფად დაყოფილიყვნენ, ხმამაღლა საუბრობდნენ და გულიანად იცინოდნენ.

- ვინ არიან? საით მიდიან? - ჩაეძია მიკელინო, მაგრამ მარკოვალდო პასუხს არ სცემდა. ჩუმად უცქერდა უცნობებს.

ერთ-ერთი მიუახლოვდა. მსუქანი, ორმოციოდე წლის კაცი იქნებოდა.

- საღამო მშვიდობისა! - თქვა მან, - რა ცნობები მოიტანეთ ქალაქიდან.

- საღამო მშვიდობისა, - გამოეხმაურა მარკოვალდო, - თქვენ რა ცნობებს ელით!

- არანაირს, როგორც იტყვიან, ისე გითხარით, - უპასუხა უცნობმა და შეჩერდა, თეთრი, მრგვალი სახე ჰქონდა, მის ლოყებს ზუსტად თვალებს ქვემოთ ალმურმა გადაუარა, - უბრალოდ, მივეჩვიე. მივეჩვიე, ასე ვეკითხები ყველას, ვინც ქალაქიდან ამოდის. ჩვენ უკვე სამი თვეა აქ ვცხოვრობთ. ხომ გესმით?

- და ქვემოთ არასოდეს ჩადიხართ?

- ეეხ, როცა ექიმებს მოეხასიათებათ, - ჩაიცინა, - და კიდევ ამ ბატონს, საჩვენებელი თითი მკერდზე მიიბჯინა და ხრინწიანი ხმით გაიცინა, - უკვე ორჯერ გამომწერეს, თქვეს, რომ მთლიანად განვიკურნე, მაგრამ როგორც კი ქარხანაში ვიწყებ მუშაობას, სისხლისდენა მეწყება. კვლავ აქ მაბრუნებენ. რას იტყვით?

- ისინი? - იკითხა მარკოვალდომ და მდელოზე მიმოფანტულ დანარჩენ უცნობებზე მიუთითა. იმავდროულად მისი მზერა ფილიპეტოს, ტერეზას და პეტრუჩოს ეძებდა.

მსუქანმა გადაიხარხარა და თვალები მოჭუტა.

- საღამოობით ვსეირნობთ... ჩვენ ხომ ადრე ვწვებით დასაძინებლად... ამიტომაც არ შეიძლება საზღვრიდან შორს წასვლა.

- რომელი საზღვრიდან?

- მართლა არ იცით? ეს სანატორიუმის საზღვარია...

მარკოვალდომ მაგრად ჩასჭიდა ხელი მიკელინოს, რომელიც დამფრთხალი უსმენდა უცნობის საუბარს. საღამოს ბინდმა გორაკის მწვერვალს უწია. ნაცრისფერი ჩრდილი, რომელიც ცოტა ხნის წინ მხოლოდ კვარტალს ფარავდა, მთელ ქალაქს და გორაკსაც მოედო. დრო იყო, ქალაქში დაბრუნებულიყვნენ.

მსუქანი დაღონდა.

- აი, ალუბალს კრეფენ.

მარკოვალდომ ხევის პირას მდგარი ალუბლის ხე შეამჩნია, იქვე ნაცრისფერპალტოიანი კაცები იდგნენ, ტროსტებით ხის ტოტებს დაბლა ექაჩებოდნენ და ალუბლის ნაყოფს აგროვებდნენ. ბავშვებიც იქ ტრიალებდნენ, საოცრად კმაყოფილნი, ალუბლებს პირდაპირ უცნობების ხელისგულებიდან იღებდნენ და მათთან ერთად ხმამაღლა იცინოდნენ.

- მიკელინო! - დაუძახა ტერეზამ ძმას, რომელიც უკვე, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მათკენ მორბოდა, - ნახე, რამდენი მწიფე ალუბალია!

- უკვე გვიანია, - თქვა მარკოვალდომ, - აცივდა, სახლში წავიდეთ...

მსუქანმა ტროსტის წვერი ქალაქისკენ გაიშვირა, იქ, სადაც მიყოლებით ინთებოდა ჩირაღდნები.

- საღამოობით... - თქვა მან, - მე ჩემი ჯოხით ქალაქში ვსეირნობ... ამოვირჩევ რომელიმე ქუჩას, ჩირაღდნების გრძელ რიგს და მივყვები ასე ჩემს ჯოხს ჩირაღდნიდან ჩირაღდნამდე. ქალაქში ხეტიალისას მეც გამიხსენეთ და ჩემი ჯოხიც თქვენს კვალს გამოჰყვება...

ბავშვები დაბრუნდნენ. ხელები სანატორიუმის ავადმყოფებისთვის ჩაეჭიდათ.

- რა კარგია, მამა! - თქვა ტერეზამ, - კიდევ მოვიდეთ აქ სათამაშოდ, ხო?

- მამა, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია, რომ აქ, ამ სინიორებთან ერთად ვიცხოვროთ? - იკითხა მიკელინომ.

- უკვე გვიანია! დაემშვიდობეთ სინიორებს. მადლობა გადაუხადეთ ალუბლებისთვის. აბა! წავედით!

ისინი დაიძრნენ უკან, ქალაქისკენ. ხუთივე დაიქანცა. მარკოვალდო ბავშვების შეკითხვებს უპასუხოდ ტოვებდა და მდუმარედ მიაბიჯებდა. ფილიპეტომ მარკოვალდოს ხელში აყვანა სთხოვა, პეტრუჩოც აბობღდა მხრებზე, ტერეზა ხელჩაკიდებული მოჰყავდა, ხოლო უფროსი, მიკელინო, წინ მარტოკა მიაბოტებდა და ფეხებით კენჭებს ფანტავდა.

იტალიურიდან თარგმნა **გაგა ნახუცრიშვილმა**

---

## რჩევები პუტკუნებისათვის

### [illegible]

სამისოდ ბევრი საშუალება არსებობს, სცადეთ თუნდაც ერთი მათგანი:

— თუ ძალიან გინდათ ჭამა, დალიეთ ერთი სუფრის კოვზი უცხიმო რძის ფხვნილი.

— შიმშილის გრძნობა გადაგივლით, თუ შუა თითს ზედა ტუჩსა და ცხვირს შუა არსებულ აკუპუნქტურულ წერტილს დააჭერთ.

— ჭამის წინ დალიეთ ერთი ჭიქა ტომატის წვენი ან მინერალური წყალი.

— ხშირად მიირთვით მცენარეულ ცხიმზე მომზადებული გამჭვირვალე წვნიანები.

— სასურველია, კვირაში 2-3-ჯერ თევზეულის კერძები მოამზადოთ.

— დაბოლოს, ხშირად გამოივლეთ პირში პიტნის წყალი.

### [illegible]

სასმელის შემადგენლობაში შედის: 100მლ ვაშლის, 50მლ ნესვის, ერთი ჩაის კოვზი ტომატისა და ორი სუფრის კოვზი ლიმონის წვენი. თუ ამ ნექტარს 2-3 კვირის განმავლობაში დღეში ერთხელ მიიღებთ, წონაშიც დაიკლებთ და ჯანმრთელობასაც გაიუმჯობესებთ.

### [illegible]

ეს, არცთუ მკაცრი დიეტა პოპულარობით სარგებლობს ფრანგ კინოვარსკვლავებს შორის (სწორედ აქედანაა მისი სახელწოდება). იგი გათვლილია ორ კვირაზე და ჯანმრთელობისთვის უვნებლად რამდენიმე კილოგრამის დაკლების საშუალებას იძლევა. მთავარია, ამ პერიოდში მენიუდან გამორიცხოთ ყველაფერი ის, რაც ბევრ კალორიას შეიცავს, მადას აღვიძებს და ზედმეტი სითხის დაგროვებას იწვევს.

მაშ ასე, საუზმე — შავი ან მწვანე ჩაი (უშაქროდ, დასაშვებია ერთ ჩაის კოვზი თაფლის დამატება).

სადილი — უცხიმო შაშხი ან ორი კვერცხი, ხილი და ბოსტნეული.

ვახშამი — მოხარშული თევზი ან ხორცი ჩაშუშულ ბოსტნეულთან ერთად, უცხიმო კეფირი, ხილის სალათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ხშულცხობილი

ცივ ტაფას მოუსვით ცხიმი, ჩააწყვეთ შიგ რგოლებად დაჭრილი ხახვი, თევზის ნაჭრები, სოკო. ზემოდან ისევ რგოლებად დაჭრილი ხახვი მოაწყვეთ. დაასხით 1/2 ჩაის ჭიქა წყალი. მოასხით მაიონეზი. ფენებს შუა მოაყარეთ მარილი და პილპილი გემოვნებით. შედგით ღუმელში 15-20 წუთით.

## თევზის წვნიანი

ცივ წყალში მოხარშეთ თევზი, ყვავილოვანი კომბოსტო, სოკო, მწვანილი და ხახვი. შეაზავეთ მარილით. თეფშზე გადმოღებისას დაუმატეთ არაჟანი.

## თევზის კატლეტები

ერთი კვერცხი, 70გრ. სოკო, 100გრ. თევზი, მწვანილი, 70მ/ლ კეფირი, მარილი და პილპილი ბლენდერში კარგად ათქვიფეთ. მიღებული მასისგან ამოაგუნდავეთ კატლეტები და ცხიმში შეწვით.

## ყვავილოვანი კომბოსტოს სალათა კიტრითა და პამიდვრით

ყვავილოვანი კომბოსტო მარილწყალში მოხარშეთ, ხელით გაწურეთ და წვრილად დაჭერით. ნაჭრებად დაჭერით კიტრი და პამიდორი. სინზე ფენებად დააწყვეთ პამიდორი, კიტრი, ყვავილოვანი კომბოსტო. თითოეულ ფენას მოაყარეთ მარილი, მწვანე ხახვი, კამა, ოხრახუში, შემდეგ მოასხით მაიონეზი.

## კომბოსტოს მილაკები

თითო კონა ოხრახუში, კამა, მწვანე ხახვი წვრილად დაჭერით, შეურიეთ 200გრ. ხაჭო, სამი სუფრის კოვზი მაიონეზი, 2-3 კბილი ნიორი, მარილი გემოვნებით და კარგად აზილეთ.

ერთი საშუალო თავი ახალი კომბოსტო დაფურცლეთ, მდუღარეში მოწალეთ და საწურზე გადაიტანეთ. თითოეულ ფურცელზე მოათავსეთ ფარში და მჭიდროდ გადაახვიეთ. სუფრაზე მიიტანეთ ცივად. ზემოდან არაჟანი მოასხით.

## კოქტეილი

ერთი გრეიპფრუტი, ერთი შეკვრა ნაყინი, დარიჩინი და შაქრის ფხვნილი გემოვნებით ბლენდერში კარგად ათქვიფეთ და მაღალყელიან ჭიქებში ჩაასხით. მორთეთ ფორთოხლის ნაჭრითა და პიტნის ფოთლებით.

ჟურნალი ქალებისათვის

მთავარი რედაქტორი
მარინე ნაკაიძე

სარედაქციო კოლეგია: მარიკა ბარათაშვილი, ნაზი თარგამაძე, ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი), მანანა იმნაიშვილი, ნანული გუჯაია, ირმა ჩოფიკაშვილი.

დათო აბულაძე, მაკა ჭკადუა (კომპიუტერული უზრუნველყოფა)

გარეკანის პირველ გვერდზე — „მედეა“ — ავტორი გურამ გუნია
მეოთხეზე — „ველლო დ'ოროს“ კოლექცია

რედაქციის მისამართი: 0108, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ.14, V სართ. ტელეფონი: 99-98-71

რეგისტრაციის ნომერი 06/4 – 897 ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

# ილუსტრაციები
# გუჩა კვარაცხელიას
## წიგნიდან „ქალაქი ქალაქში“

ეროვნული
ბიბლიოთეკა







მასალა
იხილეთ
მე-14
გვერდზე









ეროვნული ბიბლიოთეკა





548/42



ფასი 1 ლარი